

ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

სოციალურ მეცნიერებათა სერია

გივი თაყაიძე

ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია

დამუშავებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სოციალური
მეცნიერებების მაგისტრანტებისათვის

„მეცნიერება“
თბილისი
2002

სერიის მთავარი რედაქტორი

მარინე ჩიტაშვილი

**რედაქტორი
კორექტორი**

**ლია კაჭარავა
დალი სულაშვილი**

© ფონდი „ღია სწავლაობა – საქართველო“

ISBN 99928-893-9-0

წინასწარმეტყველება

როდესაც ფონდ “ღია საზოგადოება – საქართველოს” ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა ეს წიგნი დამეწერა, საკმაოდ დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდი. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ინსტიტუტი სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, თავად სოციალური ინსტიტუტის ცნებას სხვა სოციალურ ფენომენებთან შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ინსტიტუციალიზაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, სოციოლოგია გაჩენის დღიდან აღწერს სოციალურ ცვლილებებს, ერთი კონკრეტული საზოგადოების, ან კონკრეტული ინსტიტუტის შიგნით სწრაფ ცვლელადობაზე ყურადღების განსაკუთრებული დაფიქსირება ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მოხდა. გარდა ამისა, რთულია როგორც გადმოცემის მიმართულების არჩევა, ასევე, რომელიმე მიმართულებაში ზედმეტად არ დაფიქსირება, იმდენად, რამდენადაც სოციოლოგიის, როგორც სოციალური ცვლილების შესახებ მეცნიერების, ისტორიის ავტორები ხშირად ტოვებენ და არ აქცევენ ყურადღებას იმ მნიშვნელოვან შემთხვევებს, რომლებიც ჩემს მიერ დასახული ამოცანისათვის, ჩემი აზრით, საგულისხმო უნდა ყოფილიყო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ წიგნის პირველი, ისტორიული ნაწილი დიდად არის დაკლებული პიოტრ შტომპკას წიგნიდან “სოციალური ცვლილების სოციოლოგია”⁴. ამ წიგნიდან აღებულია თხრობის ლოგიკა და ისტორიის გადმოცემის მიმდევრობა. ასევე, გამოყენებულია სმელ-ზერის ნაშრომი “სოციალური სტრუქტურა”¹⁹ და რუდოლფ ანდორკას “საზოგადოების სოციოლოგიურ ანალიზის შესავალი”³³. რაც შეეხება მეორე ნაწილის ტერმინოლოგიას: ცნება “ინსტიტუციური კომპლექსი” ეკუთვნის ნაკლებად ცნობილ ავტორებს მაკიფერს და პეიჯს¹. იმდენად, რამდენადაც ინსტიტუტების ცვლელადობის ტიპოლოგიის ასაგებად ეს ცნება გამოსადეგი იყო, თავს უფლება მივეცი გამომეყენებინა. სოციალური ინსტიტუტების მკვლელობა, მეზო და მიკრო ინსტიტუტებად დაყოფის იდეის

⁴ წიგნის I ნაწილში მითითებული ლიტერატურა იხილეთ 48-49 გვერდებზე, I ნაწილის დასასრულის შემოკვეთით.

ამოსავალი იყო ვალტერ უოლლასის (Walter L. Wallace) სტატიაში "სოციოლოგიის დისციპლინარული მატრიქსის მიმართულებით" მოყვანილი სოციალური ფენომენების მიკრო, მაკრო და მეზოდ დაყოფა.

გარდა ამისა, არ მინდა გაუგებრობა გამოიწვიოს ჩემს მსერ ორი ცნების "მოდერნულობის" და "თანამედროვეობის" გამოყენებამ. "მოდერნულობა" შეესაბამება ტერმინს "Modernity" და აღნიშნავს კაცობრიობის ისტორიის განსაზღვრულ პერიოდს შუა საუკუნეების და აღორძინების შემდეგ. "თანამედროვეობა" შეესაბამება ტერმინს "Contemporarity" და ნიშნავს ახლანდელ ან ცოტა ხნის წინანდელ და ახლანდელ სოციალურ მდგომარეობას. "თანამედროვეობის" ტერმინის შემოტანა გახდა საჭირო, რადგან სოციოლოგიაში და სოციალურ თეორიაში XX საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ მოდერნულობის და მისი შემდგომი დროების განსხვავება და მათი ორ დამოუკიდებელ სოციალურ და ინტელექტუალურ ფენომენად დაფიქსირება ერთ-ერთი ცენტრალური დისკურსია (ამის შესახებ იხ. ქვემოთ ტექსტში).

ბოლოს მინდა მადლობა გადაუხადო ბაიროითის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრას და ამ კათედრის გამგეს პროფესორ არნოლდ ცინგერლეს ამ წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

ბაიროით.

24 ივლისი, 2001 წელი.

ნ ა წ ი ლ ი I

მოდერნულობის და თანამედროვეობის აღწერები

(შესავალი)

სოციალური ცვლილებების შესწავლა სოციოლოგიის ცენტრალური ამოცანაა. სოციალური ცვლილება იმდენად ცხადი მოუღენაა, რომ ადრე თუ გვიან ის ნებისმიერი სოციოლოგიის ცენტრალური საკითხი ხდება. თავისთავად, სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების წარმოშობა უკავშირდება სოციალურ ცვლილებებს – იმ დიდ გარდაქმნებს, რომელიც XIX საუკუნეში ევროპულ საზოგადოებაში მოხდა, როდესაც შესამჩნევად დაიწყო ტრადიციული ევროპული საზოგადოების მოდერნულ საზოგადოებად გარდაქმნა. ანუ, მაქს ვებერის (1864-1920) სიტყვებით რომ ვთქვათ, ტრადიციულ-აგრარული საზოგადოების კაპიტალისტური საზოგადოებით ჩანაცვლება (ვებერი “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული”).

XX საუკუნის პირველ ნახევარში დიდმა სოციალურმა ძვრებმა (პირველი მსოფლიო ომი, რუსეთის რევოლუცია, მეორე მსოფლიო ომი, გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვება და კრაზი) სოციალური ცვლილებების ანალიზი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარი გლობალური კატასტროფებით არ გამოირჩეოდა, სოციოლოგების და ინტელექტუალების შეფასებით მნიშვნელოვანი ცვლილებების სწრაფი პროცესი სწორედ ამ დროს შეესაბამება. XX საუკუნის ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი გლობალური მოუღენაა საბჭოთა კავშირის რღვევა, რომელიც, აღიწერება, როგორც სწრაფი სოციალური ცვლილებების ანარეკლი და კულმინაცია. 1991 წელს ენტონი გიდენსი წერდა: “ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება გამაოგნებელი სოციალური ცვლილებებით, რომელიც რადიკალურად განსხვავდება წინა პერიოდებისათვის დამახასიათებელი ცვლილებებისაგან. საბჭოთა სტილის სოციალიზმის კოლაფსი, ძალაუფლების ბიპოლარული განაწილების პრობლემა, სულ უფრო და უფრო ძლიერი გლობალური საკომუნიკაციო სისტემების ფორმირება, მსოფლიოში კაპიტალიზმის ცხადი ტრიუმფი, მაშინ, როდესაც მსოფლიოს გლობალური

გადანაწილება სულ უფრო და უფრო მწვერდება, ეკოლოგიური პრობლემები, რომლის არეალიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება - ყველა ეს და სხვა საკითხები დგას სოციალური მეცნიერების წინ, როგორც გამოწვევა, და სოციალურმა მეცნიერებამ არ უნდა აარიდოს მას თავი”².

თუკი ტრადიციულ-აგრარული საზოგადოება კაცობრიობის ისტორიის დიდ ნაწილს მოიცავს, მოდერნული საზოგადოების წილი განუზომლად მცირეა. მოდერნული საზოგადოების დასაწყისზე ნათელი შეთანხმება არ არსებობს, მაგრამ, როგორც წესი საწყისად მიიჩნევენ XVI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე პერიოდს (გიდენსი “მოდერნულობის პირობები”³ კუშარი “მოდერნული საზოგადოების წარმოშობა. დასავლეთის სოციალური და პოლიტიკური განვითარების ასპექტები”⁴). მოდერნულობის მიზეზებად ასახელებენ ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებს, რომელმაც ჩამოაყალიბა მოდერნულობის ინსტიტუციური წარჩო: კონსტიტუციური დემოკრატია, კანონზე დამყარებული წესრიგი, და სახელმწიფო-ერების სუვერენულობის პრინციპი.

ოგიუსტ კონტმა (1798-1857), სოციოლოგიის დამაარსებელმა, განსაზღვრა მოდერნულობის, ანუ, ახალი სოციალური წესრიგის ძირითადი ნიშნები. ესენია: 1. სამუშაო ძალის კონცენტრირება ურბანისტულ ცენტრებში; 2. საბუშაოს ორგანიზაცია, რომელშიც წარმმართველია ეფექტურობა და სარგებლიანობა; 3. მეცნიერების და ტექნოლოგიის გამოყენება წარმოებაში; 4. ფარული, ან ღია წინააღმდეგობის წარმოშობა დამპირაჟებლებსა და დაქირავებულებს შორის; 5. სოციალური კონტრასტების და არათანაბრობის ზრდა; 6. ეკონომიკური სისტემა, რომელიც დამყარებულია თავისუფალ წარმოებაზე და ღია შეჯიბრებაზე (კონტი “სოციოლოგია”).

სოციოლოგები, როგორც წესი უპირისპირებენ “წინა-მოდერნულ” და “მოდერნულ” საზოგადოებებს ერთმანეთს და აგებენ პოლარულ მოდელებს. მათ შორის აღსანიშნავია მილიტარიზტული და ინდუსტრიული საზოგადოებების დაპირისპირება ჰერბერტ სპენსერთან, მექანიკური და ორგანული სოლიდარობის დაპირისპირება ემილ დურკაჰიმთან, ტრადიციულ-აგრარული და კაპიტალისტური საზოგადოებების დაპირისპირება ვებერთან.

მაქს ვებერი და ტალკოტ პარსონსი

ამ ორი ტიპის საზოგადოების ყველაზე უფრო სისტემატიზირებული აღწერა და შედარება მოცემული აქვს მაქს ვებერს. ქვემოთ ჩვენ მოვიტანო რანდალ კოლინზის⁵ მიერ შედგენილ ცხრილს, და ასევე, XX საუკუნის ომის შემდგომი წლების ყველაზე უფრო ცნობილ აღწერას, რომელიც

შეიმუშავა ტალკოტ პარსონსმა, რომლის ცხრილის სახით რეკონსტრუქცია ეკუთვნის პოლონელ სოციოლოგ პიოტრ შტომპკას.

ორი ტიპის საზოგადოების ვებერიანული ოპოზიცია:

| | ტრადიციული აგრარული საზოგადოება | კაპიტალისტური საზოგადოება |
|-------------------------|--|--|
| საკუთრების ფორმა | შეზღუდული მემკვიდრეობით სოციალურ სტატუსთან | წარმოების ყველა საშუალებაზე კრძამი საკუთრება და ძალი კონცენტრაცია საწარმოების კონტროლის საშუალებით (მიწა, შენობები, მანქანები, მასალა - ყველაფერი კონტროლდება ერთი აგენტის საშუალებით, და თავისუფლად იცვლება როგორც კრძამი საკუთრება ბაზარზე). |
| სამუშაოს მექანიზაცია | პრაქტიკულად არ არსებობს | მუშაობის მექანიზაცია არის დომინანტური ტექნოლოგია, რაც ზუსტი დათვისის და კაპიტალის აღრიცხვის საშუალებას იძლევა. ეფექტურობა, პროდუქტიულობა, რაციონალური ორგანიზაცია ის პრინციპებია, რომლებიც წარმართავს წარმოებას. |
| სამუშაო ძალის ბუნება | ძირითადად არ არის თავისუფალი (ან პირადი მონაბა, ან მიწასთან მიჯაჭვულობა). | სამუშაო არის თავისუფალი იმპრობის პირობების ან მოთხოვნების შესაბამისად, წარმოების ერთი სახიდან მეორისკენ. ერთი რევიონიდან მეორეში. პირდაპირი მწარმოებლები უფროსად საკუთარ შრომის ხელფასის ფასად, როგორც პროდუქტს ბაზარზე. |
| ბაზარი | ძალიან შეზღუდული (გადასახადების ბარიერთი, ძარცვის საფრთხით, მონეტარული ინსტრუმენტების შეზღუდულობით, ტრანსპორტირების ცუდი საშუალებები. ამის შედეგია ან ადგილობრივი ბაზრები, ან შეზღუდული შორეული ბაზრები. | მიმართულია ლა ბაზარზე და არ არის ტრადიციულად შეზღუდული (კლასობრივი მონაბოლია, საკუთრების შეზღუდვები, პროტექციონიზმი). ბაზარი როგორც განაწილების და მოხმარების ორგანიზებული პრინციპი. |
| უბრატესი კანონები | პარტიკულარული, სხვადასხვანაირად მიესადაგება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს. პატრიმონიალური განაჩენის გამოტანის და იძულების წესი. | უნივერსალურად გამოსაყენებელი, კანონები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავს კონტრაქტების სახეს და უფლებების იძულებით დაცვას. |
| დომინანტური მოტივაციები | თავმოყვრილი წვეული საკირობების დაკმაყოფილების გარშემო. მიღებულია ტრადიციული ცხოვრების და მოგების წესი. როგორც ვებერი ამბობს, "შეტის მიღწევის შესაძლებლობა ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე ნაკლები მუშაობა" | შეზღუდული მოვება (პერმანენტულად მზარდი მოვება) როგორც ეკონომიკური ქცევის გარდაუვალი მოტივაცია. |

ორი ტიპის საზოგადოების პარსონსისეული ოპოზიცია:

| | ტრადიციული საზოგადოება | მოდერნული საზოგადოება |
|----------------------------------|---|---|
| სოციალური სტრუქტურის არტიკულაცია | დიფერენცია, ანუ, სოციალური როლების, ურთიერთობების, ჯგუფების არაარტიკულირებული, ფართო, ყოვლისმომცველი სასაითი. | სპეციფიკურობა, ანუ, როლების დამატებითი სპეციალიზაცია, შრომის განაწილება, ჯგუფის ცხოვრების დადგენილი საზღვრები |

| | | |
|--------------------------------|--|--|
| სტატუსის საფუძვლები | მემკვიდრეობითობა, ანუ, როლები შესრულდება, სტატუსების მიღება, ჯგუფების წევრობა დამყარებულია დაბადებით და მემკვიდრეობით მიღებულ ფაქტორებზე | მიღწევა, ანუ, როლების შესრულება, სტატუსების მიღება, ჯგუფების წევრობა დამყარებულია პირად ძალისხმევაზე და დამსახურებაზე |
| სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმები | პარტიკულარიზმი, ანუ, სოციალურ ურთიერთობებში პარტნიორების, ისევე როგორც როლების შემსრულებლების და ჯგუფების არჩევა, დამყარებულია პოტენციური კანდიდატების უნიკალურ, პიროვნულ ნიშნებზე, რომლებიც აუცილებლად არ არიან სამიზნე საქმიანობის ან ჯგუფების ბუნების რელევანტური | უნივერსალიზმი, ანუ, სოციალურ ურთიერთობებში პარტნიორების, ისევე როგორც როლების შემსრულებლების და ჯგუფების არჩევა, დამყარებულია ზოგად, კატეგორიის რანგში აყვანილ ნიშნებთან, რომლებიც ჯგუფების ამოცანების და ბუნების, ანდა ურთიერთობების პირდაპირ რელევანტურია. |
| შეფასების ფორესირება | კოლექტივიზმი, ანუ, ადამიანების შეფასება იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის, კოლექტივის, ერთობის, ტომების წევრები არიან. ცენტრალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ეკუთვნიან ადამიანები, და არა იმას, თუ რანი არიან ისინი თვითონ. | ინდივიდუალიზმი, ანუ, ადამიანების შეფასება და აღქმა მათი საქმიანობის მიხედვით. ცენტრალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას აკეთებენ ისინი. |
| ემოციების როლი | აფექტურობა, ანუ, ემოციების ჩართვა სოციალურ ცხოვრებაში. | ნეიტრალურობა, ანუ, ემოციური გამოსატყულების აკრძალვა, ფაქტებზე ორიენტირება, სოციალურ ცხოვრებაში რაციონალური კლიმატი. |

მოდერნულობის განსაზღვრებები ამით არ ამოიწურება და არც შეთანხმება იმის შესახებ, რომ ჩვენ დღეს მოდერნულობის ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელიც ზემოთ მოყვანილი ორი აღწერიდან ერთ-ერთით მაინც ხასიათდება, არ არის მიღწეული. მეოცე საუკუნის მერე ნახევარში ინტელექტუალურ სივრცეში გამოიჩინა განსხვავებული აღწერები, რომელთა საერთო ნიშანია იმის განცხადება, რომ მოდერნულობისათვის ტრადიციული და დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები ჩანაცვლებულია ახალი განზომილებებით. მაკვალთად, ფუკოს მიხედვით, დისკურსიული ფორმაციები ანაცვლებენ წარმოების ფორმებს⁷. ბურდიეს მიხედვით, ეკონომიკური ტიპის კაპიტალი ჩანაცვლებულია კულტურული კაპიტალით⁸. ლიოტარის ამბობს, რომ დიდა ნარატივების გაქრობის და უმუშევრობის ფონზე რაციონალიზმი ქრება დიდა ნარატივებთან ერთად და მხოლოდ ჯანყი რჩება განმსაზღვრელი და დომინანტი⁹. ბოდრიარი ამბობს, რომ წარმოება და კვლავწარმოება გადაქცეულია სიმბოლურ აქტად, და ხდება სიმულაციური წარმოების გაბატონება¹⁰. ლემანის მიხედვით, მონოკონტექსტუალური სამყარო აღარ არსებობს, და საზო-

გადოების კვლავწარმოება განაწილებულია სხვადასხვა ფუნქციონალურ სისტემებს შორის, რომელთაგანაც ყოველი ოპერირებს მისთვის სპეციფიკური, სისტემური კოდით. “პოლიკონტექსტუალური” საზოგადოება ნიშნავს, რომ არც ერთ ფუნქციურ სისტემას არ შეუძლია იბატონოს, ან ჩაანაცვლოს სხვა სისტემა¹¹.

ყველა ეს თეორია სოციალურ სამყაროში მიმდინარე რაღაც ისეთი მოკლენების შესახებ მიუთითებს, რაც საშუალებას გააძლევს ყიფიქროთ, რომ ჩვენ მოდერნულობიდან განსხვავებულ დროში ვცხოვრობთ, რომელსაც პოსტმოდერნულობა ჰქვია.

დანიელ ბელი და ალან ტურენი

პოსტმოდერნულობის გამოცხადებას წინ უსწრებდა პოსტინდუსტრიული პერიოდის დადგომის აღწერები II მსოფლიო ომის შემდეგ. პოსტინდუსტრიული საზოგადოების კლასიკური აღწერა შეიმუშავეს ბელმა¹² და ტურანმა¹³. მათი აღწერის მიხედვით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება:

1. ეკონომიკაში მოხდა ძირითადი ვექტორის კიდევ ერთი გადატანა: თუ ინდუსტრიული, ანუ XIX საუკუნის საზოგადოება ხასიათდებოდა მიწათმოქმედებიდან ინდუსტრიული წარმოებისკენ მიმართულებით, II მსოფლიო ომის შემდეგ ინდუსტრიული წარმოებიდან მომსახურეობისკენ მოხდა სოციალური მნიშვნელობის გადანაცვლება: წარმოიშვა ახალი პროფესიების და სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობა, რომელიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული წარმოებასთან. მოქმედების ისეთმა მიმართულებებმა, როგორცაა ვაჭრობა, ფინანსები, მართვა, ადმინისტრირება, განათლება და ა.შ. ახალი მნიშვნელობები შეიძინა.
2. სტრუქტურულ და სტრატეგიკაციულ იერარქიაში გაიზარდა მომსახურე ფენის მნიშვნელობა. ხოლო თვითონ მომსახურე ფენაში – პროფესიული და ტექნიკური ჯგუფების (მეცნიერების, განვითარების დარგში მომუშავეები) და “ჰუმანიტარული მომსახურების” (განათლება, მეცნიერება, კულტურა, სოციალური დაცვა, ჯანდაცვა და სხვა) წონა.
3. ტექნოლოგიაში მოხდა ახალი “ინტელექტუალური ტექნოლოგიების” გაჩენა, რომელიც ინფორმაციის გაცვლის და წარმოების პროცესში სულ უფრო და უფრო მეტად აუცილებელი ხდებოდა, ვიდრე მასალა და ენერჯია.
4. საზოგადოების დინამიკაში თვითმდგრადმა ტექნოლოგიურმა ზრდამ ცენტრალური მნიშვნელობა მიიღო.

5. ყოველდღიური ცხოვრების ღირებულებებში და ყველგანგამჭოლ თემებში აქცენტმა გადაინაცვლა ცოდნაზე და მის მიღებაზე მუდმივი სწავლების სხვაგვარადაა ფორმების საშუალებით.

პოსტინდუსტრიულმა საზოგადოებამ მოიტანა პროტესტის გრძნობა და ის აღწერები, რომლებიც პოსტმოდერნულობაში გადასვლას ითხოვდა და უთითებდა. სოციალური ცხოვრების უკიდურესობამდე მიყვანილმა რაციონალიზაციამ და ინდუსტრიალიზაციამ წარმოშვა ზემოთ ჩამოყალიბებული მოთხოვნები და იმედი, რომ შესაძლებელია სხვა, მოდერნულობიდან განსხვავებულ ვითარებაში ცხოვრება, რომელიც აღადგენს იმ "ყველაფერ კარგს" რაც იყო ტრადიციულ საზოგადოებაში, ან შემოიტანს განსხვავებულს და სოციალური მოწყობის ახალ საფეხურზე გადაგვიყვანს.

ენტონი გიდენსი

მაგრამ ყველა თვალსაზრისი არ არის ასეთი რადიკალური. გიდენსის⁴ მიხედვით ჯერ ადრეა ლაპარაკი პოსტმოდერნიზმზე. ჩვენ ვიმყოფებით გვიანი, ანდა მაღალი მოდერნიზმის ეპოქაში, რომელიც გამოწვეულია მოდერნიზმის მახასიათებლების/თვისებების რადიკალიზაციით და უნივერსალიზაციით. XX საუკუნის ბოლოს არსებული ვითარება განსხვავდება მოდერნულობიდან, ჩვენი დღევანდელი სოციალური სამყარო მაინც მოდერნულობის ნაწილია. მაგრამ, გიდენსი აღნიშნავს, რომ არსებული ვითარება "არ არის ადრეული მიმართულებების უბრალო გაგრძელება. მეტიც, გამოჩნდა თვისობრივად ახალი ფენომენი, რომელიც საფუძველში ცვლის თანამედროვე მსოფლიოს და შეეყვართ გამოცდილების ახალ და ამდღევანდელ სამყაროში".

გიდენსი განიხილავს "მაღალ მოდერნულობას" ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით: ნდობა, რისკი, გაუმჭვირვალობა და გლობალიზაცია.

ნდობის მნიშვნელობა გამოწვეულია დღევანდელ მსოფლიოში "აბსტრაქტული სისტემების" არსებობით, რომელიც ყველაფერს მსჭვალავს. ამ სისტემების პრინციპები და მოქმედების წესები არ არის ცხადი ჩვეულებრივი ხალხისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემებზე ყოველდღიური ცხოვრებაა დამოკიდებული. ეს სისტემებია ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, ფინანსური ბაზარი, ატომური ელექტროსადგურები, სამხედრო ძალები, საერთაშორისო კორპორაციები და ორგანიზაციები, მასმედია. ეს უზარმაზარი, რთული, უპიროვნო სისტემებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ყოველდღიურობაზე. ადამიანები სწავლობენ მათ

გამოყენებას და მათგან დამოკიდებულად ყოფნას. ამიტომ, უპიროვნო პრინციპების, ანონიმური წესების ნდობა სოციალური არსებობის აუცილებელი და გარდაუვალი პირობა ხდება.

მაღალი მოდერნულობის კიდევ ერთი თვისობრივად ახალი ნიშანია რისკის ახალი ფენომენი. რისკი ნიშნავს დაურწმუნებლობას საკუთარ მოქმედებების შედეგებში; ანუ დამანგრეველი შედეგების ვერგამოთვლის შესაძლებლობა, რომელიც ინდივიდუალური ნებისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მოხდეს. პრინციპში, ეს ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი აღმოუფხვრელი თანამგზავრია, მაგრამ მაღალი მოდერნიზმის პირობებში ის ახალ მასშტაბებს და შესაძლებლობებს იძენს. მაღალი მოდერნულობის შემთხვევაში წარმოიშობა საფრთხესთან ერთად ცხოვრების გარდაუვალობა, რომელიც გამოსულია არა მარტო ინდივიდების კონტროლიდან, არამედ დიდი ორგანიზაციების და სახელმწიფოების კონტროლიდანაც. ეს საფრთხე უმაღლესი ინტენსივობისაა და ემუქრება მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს, და პოტენციურად მოლიანად კაცობრიობას. მაღალი მოდერნულობის რისკი განსხვავდება წინა გამოცდილებებიდან როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ დონეებზე. ორივე დონეზე არსებობს რისკის ბევრად უფრო ძლიერი შეგრძნება, ვიდრე წარსულში. ობიექტურ დონეზე შეიმჩნევა:

1. რისკის უნივერსალიზაცია: გლობალური კატასტროფის ახალი შესაძლებელი რისკი საფრთხეს უქმნის ყველას, ფენის, ეთნიკურობის, ძალუფლების განურჩევლად (მაგ. ატომური ომი, ეკოლოგიური კატასტროფა)
2. რისკის გლობალიზაცია: რისკის გარემოს გაერცვლება კაცობრიობის ფართო სფეროებზე, რისკის გარემოში ადამიანების დიდი მასებია მოქცეული (მაგ. ფინანსურ ბაზრებზე მოქმედებს პოლიტიკური არასტაბილურობა, შეიარაღებული კონფლიქტები, ნათხე ფასების გაძვირება, კორპორაციების კრაზი და ა.შ.)
3. რისკის ინსტიტუციონალიზაცია: ისეთი ორგანიზაციების გაჩენა, რომლებსაც რისკი აქვთ მოქმედების პრინციპად ქცეული (მაგ. საინვესტიციო ბაზრები, ან ნედლეულის გაცვლა, სპორტი, დაზღვევა)
4. რისკის რეფლექსურობა: რისკის, როგორც ადამიანთა მოქმედებების მოულოდნელი გვერდითი ეფექტის, ან ბუმერანგის ეფექტის წარმოშობა ან ინტენსიფიკაცია (მაგ. ინდუსტრიალიზაციის შედეგი - ეკოლოგიური საფრთხე, დანაშაული და სამართალდარღვევა, როგორც არასწორი სოციალიზაციის შედეგი, ახალი, ე.წ. "ციფილიზაციის" აუდემოფობები, რომლებსაც მოდერნულობისათვის ტიპური შრომის მოდელები და ცხოვრების სტილი იწვევს).

სუბიექტურად, არსებობენ დამატებითი ფაქტორები, რომლებიც რისკის გამოცდილებას უფრო მწვავედ აქცევენ:

1. საფრთხეების და მუქარის უფრო მწვავე შეგრძნება, რომელიც გამოწვეულია მაგიური და რელიგიური დაცვების და რაციონალიზაციის გაქრობის გამო
2. განათლების დონის ამაღლებით გამოწვეული საფრთხის და მუქარის უფრო საზოგადოებრივი (საერთო) შეგრძნება
3. ექსპერტიზის საზღვრების და “აბსტრაქტულ სისტემებში” განმეორებითი შეცდომების შესახებ ინფორმირებულობის და გაცნობიერებულობის გაზრდა.

ეს ყველაფერი უკავშირდება მეოთხე მთავარ ნიშანს – “გაუმჭვირვალობას”, მაღალი მოდერნულობის პირობებში სოციალური ცხოვრების გაუგებარ, საექვო ბუნებას. ასეთი საექვოობის რამდენიმე წყარო არსებობს:

1. აგების, კონსტრუქციის შეცდომები, რომლებიც ახასიათებს დიდ, კომპლექსურ აბსტრაქტულ სისტემებს.
2. ოპერატორის შეცდომები, რომელიც გარდაუვალია, რადგანაც ადამიანი ჩართულია აბსტრაქტული სისტემების მოქმედებასა და კონტროლში
3. მოულოდნელი და ამოუცნობი, განუსაზღვრელი (ლატენტური) ეფექტების გარდაუვალობა. არა აქვს მნიშვნელობა რამდენად კარგად არის სისტემა აწყობილი და რამდენად განსწავლულნი არიან ოპერატორები: ამ სისტემის ფუნქციონირების შედეგები სხვა სისტემებთან და საერთოდ ადამიანურ მოქმედებებთან მიმართებაში შეუძლებელია სრულად ნაწინასწარმეტყველები იყოს.

სოციალური ცოდნის რეფლექსურობამ, რომელიც, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ის ახსნის საზოგადოებას და აქცევენ მეტ-ნაკლებად გათვლად ფენომენად, შეიძლება იმოქმედოს სოციალური პროცესების მიმდინარეობაზე გაუთვლელი და განუსაზღვრელი ფორმით. “ახალი ცოდნა” (ცნებები, თეორიები, მიგნებები) არ აქცევენ სოციალურ სამყაროს უფრო გამჭვირვალედ, არამედ მოქმედებს მის ბუნებაზე, ხლართავს მას ახალი მიმართულებებით.

4. ძალაუფლების, ღირებულებების და ინტერესების ექსტრემალური დიფერენციაცია საზოგადოების წევრებს და მათ დაჯგუფებებს შორის. ამის შედეგია უკონტროლო რელატივიზმი, რომელიც აქრობს სოციალური ვითარებების განსაზღვრების და შეფასების ელემენტარულ, კონსენსუსზე დამყარებულ მარტივ საშუალებებს.

მაღალი მოდერნულობის მეხუთე თვისება არის თანამედროეობაში მიმდინარე გლობალიზაცია. ანუ, სოციალური ურთიერთობების, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული ქსელების გადაჭიმვა მთელ

მსოფლიოზე. ამის შედეგია, სხვათაგან ერთად, სახელმწიფო-ერების როლის შემცირება, რომლებიც ძლიან მცირენი ხდებიან ცხოვრების დიდი პრობლემების გადასაჭრელად, და ძალიან დიდნი პატარა პრობლემების გადასაჭრელად. უფრო პირველადი სოციალური კავშირებისადმი და ჯგუფებისადმი ერთგულება, რომლებიც მანამდე შეკავებული იყო სახელმწიფო-ერის მიერ, თანდათან კვლავ ჩნდება. ერთსა და იმავე დროს ჩვენ ვხედავთ სოციალური ურთიერთობების გადაჭიმვას, და ამავე დროს, როგორც ამ პროცესის ნაწილს, იმასაც, რომ ადგილობრივი ავტონომია და რეგიონალური კულტურული იდენტურობა ძლიერდება.

გიდენსი ამთავრებს მაღალ მოდერნიზმზე საუბარს იმით, რომ აღწერს იმ ტიპიურ რეაქციებს, რომლებიც ახასიათებს ადამიანებს როდესაც გამჭოლ გაურკვევლობაში და რისკში ათავსებენ საკუთარ თავს:

1. პრაგმატული მიღება, ანუ ბიზნეს-მიდგომა, რომელიც გამოიხატება ყოველდღიურ ამოცანებზე ფოკუსირებით და ცნობიერების მოუსკენრობის ჩახშობა.
2. მდგრადი ოპტიმიზმი, რწმენა, რომ როგორმე ყველაფერი კარგად იქნება და საფრთხეები გაქრება განგების, მეცნიერების და ტექნოლოგიის, ან ადამიანური რაციონალიზმის დახმარებით.
3. ცინიკური ოპტიმიზმი, მცირე (დროითი) პერსპექტივით, და ცხოვრებით სიამოვნების (აქ და ახლა) ჰედონისტური განწყობა, მანამ სანამ საფრთხე დადგება.
4. საფრთხის ჩახშობილი წყაროებისადმი რადიკალური ოპოზიცია, რომელიც ძირითადათ სოციალური მოძრაობების ჩარჩოებში გამოიხატება. ის მიმდინარეობს იმის უოქმელად და დაუდგენლად, რომ მხოლოდ ეს ბოლო ადაპტაცია არის კონსტრუქციული და ამიტომ მოაქვს მოდერნულობის რამდენიმე სახიფათო ასპექტის გადალახვის შანსი.

ულრიხ ბეკი

რისკის საზოგადოების მნშენელოვანი აღწერა, ასევე, ეკუთვნის ურლიხ ბეკს¹⁵. ბეკი, ისევე როგორც გიდენსი, ამბობს, რომ აშუამინდელი მდგომარეობა უნდა აღიწეროს როგორც ახალი მოდერნულობა. თუკი კლასიკურ მოდერნულობა ასოცირდებოდა ინდუსტრიულ საზოგადოებასთან, ახალი მოდერნულობა ასოცირდება რისკის საზოგადოებასთან. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაში აღარ ვცხოვრობთ, არამედ, ისეთ საზოგადოებაში, სადაც ინდუსტრიულობა გამსჭვალულია რისკით.

ბეკი უწოდებს ამ ახალ წარმონაქმნს “რეფლექსიურ მოდერნულობას”: ინდივიდუალიზაციის პროცესმა, რომელიც დასავლეთში დაიწყო, განაპირობა ის, რომ აგენტები უფრო და უფრო თავისუფლდებიან სტრუქტურული შეზღუდვებისაგან, და ამის შედეგად, მათ შეუძლიათ რეფლექსურად ააგონ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ ის საზოგადოებებიც, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. მაგალითად, კლასობრივი ვითარებების მხროვ განსაზღვრის მაგორად, ადამიანები უფრო და უფრო ოპერირებენ საკუთარ თავზე დაყრდნობით. იმდენად, რამდენადაც ადამიანები თავის თავის ანაბარა დარჩნენ, ისინი ხდებიან, იძულებულნი არიან გახდნენ სულ უფრო და უფრო რეფლექსურები. ბეკს მოჰყავს რეფლექსურობის მნიშვნელობის შემდეგი მაგალითი: “ახალი ჩამოყალიბებული ურთიერთობები და სოციალური ქსელები ახლა უნდა აირჩიონ ინდივიდუალურად: სოციალური კავშირებიც, ასევე, რეფლექსური ხდება, ასე რომ ისინი შეიძლება დამყარდეს, შენარჩუნდეს და მუდმივად განახლდეს ინდივიდების მიერ”.

ბეკის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეობას (რეფლექსურ მოდერნულობას) და კლასიკურ მოდერნულობას შორის დიდი განსხვავებაა, რეფლექსური მოდერნულობა ინარჩუნებს მსგავსებებს და საერთო ნიშნებს კლასიკურ მოდერნულობასთან, როგორც მისი გაგრძელება: კლასიკური მოდერნულობის ცენტრალური თემა იყო სიმდიდრე და მისი მაქსიმალურად თანაბარი განაწილება. ახლანდელ მოდერნულობაში (“წინ წასულ მოდერნულობაში”) კი, ცენტრალური თემა არის რისკი და მისი შეჩერების, ნეიტრალიზაციის, მონიტორინგის, წინასწარმეტყველების პრობლემები. კლასიკურ მოდერნულობაში იდეალი იყო თანასწორობა, მაშინ როდესაც თანამედროვე მოდერნულობაში იდეალი არის დაცულობა. კლასიკურ მოდერნულობაში ადამიანები აღწევდნენ სოლიდარობას თანასწორობის პოზიტიური მიზნით, მაგრამ თანამედროვე მოდერნულობაში ეს სოლიდარობა მიიღწევა ნეგატიური მიზნით იყო დაცული საფრთხეებისაგან.

თავისთავად რისკები წარმოშობილია იმავე წყაროებიდან, საიდანაც მოდერნული საზოგადოების სიმდიდრე წარმოიშვა. ანუ, დღევანდელი სასიკვდილო საფრთხეების წარმოშობის საფუძველი ინდუსტრიაა. ბეკი ამბობს, რომ ეს თანამედროვე საფრთხეები არ იზღუდება არც დროით და არც სივრცით (ატომური აფეთქება, მართალია ლოკალურია, მაგრამ დააზიანებს ბევრ სხვა ხალხს და ადგილს, ამავე დროს, მას შეუძლია გამოიწვიოს გენეტიკური დარღვევები, რაც გადაეცემა მომავალ თაობებს)¹⁶.

ამავე დროს, რისკის საზოგადოება არ არბილებს კლასობრივ საზღვრებს, არამედ, პირიქით, ამყარებს მათ. ბეკი წერდა: “რისკის განაწილების

ისტორია აწვენებს, რომ სიმდიდრის მსგავსად, რისკიც შეჭიდულია კლასობრიობასთან, ოღონდ უკუღმა: სიმდიდრე მოთავსებულია იერარქიის წვერზე, რისკები - ფსკერზე. ამიტომ, რისკი, როგორც ეტყობა, აძლიერებს, და არ აუქმებს, კლასობრივ საზოგადოებას. სიღარიბე იზიდავს რისკების მრავალფეროვნებას და დიდ რაოდენობას. ამის საპირისპიროდ, სიმდიდრეს (შემოსავალი, ძალაუფლება, ან განათლება) შეუძლია იყიდოს დაცულობა და თავისუფლება რისკისაგან". რაც შეიძლება ითქვას კლასებზე, იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოებზე.

მაგრამ, საბოლოოდ არაფერ არ არის რისკისაგან დაცული. ამას ბეკი უწოდებს ბუმერანგის ეფექტს: ანუ, უსაფრთხოების ყიდვა და წარმოება თვითონ წარმოშობს ახალ საფრთხეებს, რომელიც მწარმოებლებს უბრუნდებათ.

იმდენად, რამდენადაც წინ წასული მოდერნიზაცია აწარმოებს რისკებს, ის ასევე აწარმოებს რეფლექსურობასაც, რადგანაც, ადამიანები, რომლებიც მინდობილნი არიან საკუთარ თავს და ხდებიან რისკების მსხვერპლნი, იწყებენ რისკების ანალიზს, ფიქრს მათზე. იმიტომ, რომ ისინი აღარ ენდობიან მეცნიერებას და მეცნიერებს.


კლასიკურ მოდერნულობაში ბუნება და საზოგადოება გაყოფილია, წინ წასულ მოდერნულობაში საზოგადოება და ბუნება ღრმადაა შროთიერთდაკავშირებული: ამიტომაცაა, რომ ცვლილებები საზოგადოებაში მოქმედებს ბუნებაზე, ხოლო ცვლილებები ბუნებაში - საზოგადოებაზე. ბეკის ნათქვამი, რომ "საზოგადოება არის ბუნება და ბუნება არის საზოგადოება" იმაედროულად გულისხმობს, რომ ბუნება პოლიტიზირდა, იმიტომ, რომ მოხდა ბუნებისმეტყველების, ისევე როგორც სოციალური მეცნიერების წარმომადგენლების, პოლიტიზაცია.

პოლიტიკის ტრადიციული სამეფო, მთავრობა, კარგავს თავის ძალაუფლებას, მას მერე, რაც ძირითადი რისკები მომდინარეობს "სუბპოლიტიკისაგან", ანუ, დიდი კომპანიებისაგან, დიდი ლაბორატორიებისაგან, და ა.შ. ეს სუბ-პოლიტიკურ სისტემაში ხდება, სადაც "ახალი საზოგადოების სტრუქტურები იწერება პროგრესის და ცოდნის გამდიდრების მიზნით, საპარლამენტო სისტემის გარეთ, არა საწინააღმდეგოდ, მაგრამ, მისი იგნორირებით". ამას ბეკი უწოდებს "პოლიტიკის აშეებას". როდესაც პოლიტიკა აღარ არის ცენტრალური მმართველობის ხელში, არამედ, გადადის სუბ-ჯგუფებისკენ და ასევე ინდივიდებისკენ. ეს უკანასკნელნი შეიძლება აღმოჩნდნენ უფრო რეფლექსურები, ვიდრე მთავრობა, და ამიტომ, უკეთ გაანალიზონ ის რისკები, რომელიც მათ წინაშე დადგება. ასე ქმნის წინ წასული მოდერნულობა უპრეცედენტო რისკებს, მაგრამ, ასევე, უპრეცედენტო რეფლექსიის შესაძლებლობებს ამ რისკების დასაძლევად და გასაწეიტრალებლად.

იურგენ ჰაბერმასი

თანამედროვე სოციალური სტრუქტურის აღწერებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იურგენ ჰაბერმასის¹⁷ სოციალურ თეორიას. ჰაბერმასის თეორიის წყაროებს შორის ასახელებენ მარქსიზმს, ფსიქოანალიზს, ფენომენოლოგიას. მარქსიზმთან კავშირი უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ ისევე, როგორც ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენელი — მარკუზე, ჰაბერმასისთვისაც ყველა საზოგადოება, ტრადიციულით დაწყებული, პოსტკაპიტალისტურის ჩათვლით, არის “კლასობრივი საზოგადოება”. ყველა ამ საზოგადოებას ახასიათებს საკუთარი ორგანიზაციული პრინციპები, მაგრამ პოსტკაპიტალისტური საზოგადოება განსხვავდება იმისაგან, რაც მარქსმა აღწერა. განვითარების შედეგად მივიღეთ საზოგადოება რომელშიც: 1. სახელმწიფოსა და საზოგადოების გაყოფა, რომელიც იყო ლიბერალური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი, ჩანაცვლდა მათი შერწყმით; 2. ცხოვრების სტანდარტი ისე ამალდა, რომ ემანსიპაცია აღარ არის მხოლოდ და პირველ რიგში ეკონომიკური საკითხი; 3. პროლეტარიატის, როგორც კლასობრივი რევოლუციის სპეციალური აგენტის როლი გაუქმდა და დღეს შეუძლებელია ამ ჯგუფებში კლასობრივი ცნობიერება იპოვოს.

ამაზე დაყრდნობით, ჰაბერმასი ამბობს (მარქსის საწინააღმდეგოდ), რომ პოლიტიკური სისტემა ითვისებს მთავარ მარეგულირებელ ფუნქციას სოციალ-კულტურულ და ეკონომიკურ სისტემებთან მიმართებაში. ჰაბერმასი წარმოადგენს ამ სამი სისტემის ურთიერთობას შემდეგნაირად (სმელზერის მიხედვით¹⁸):



სახელმწიფო არსებობს იმ დანამატზე, რომელიც იწარმოება ეკონომიკური სისტემის მიერ, მაგრამ ღრმადაა ჩარსული ეკონომიკის ორგანიზაციაში და მანიპულაციაში რეგულაციის და ინტერვენციის საშუალებით. ამას უწოდებს ჰაბერმასი “მართულ მოქმედებებს”. გარდა ამისა, სახელმწიფო პირდაპირ შედის ეკონომიკაში, მაგალითად, განათლების და წვრთნის პროგრამების უზრუნველყოფით, მატერიალური ინფრა-

სტრუქტურის განვითარების და დაგეგმვის პირდაპირი მართვით (ტრანსპორტი, მშენებლობა), კოსმოსის გამოკვლევის ორგანიზებით და შეიარაღებაში შეჯიბრით. რაც შეეხება სოციალურულ სისტემას (პოპულაციას), სახელმწიფო მოიაზრებს მის ლოიალურობას (ზოგჯერ პასიურს) სამომხმარებლო პროცესების ხელშეწყობით, კრიზისების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით (კეთილდღეობის უზრუნველსაყოფი მოქმედებები) და მასშტაბის [საბოლოო ჯამში] კონტროლით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაბერმასის ნაშრომებში მისი მიმართება სახელმწიფო-ეკონომიკის ადმინისტრაციულ სისტემასთან: ამ აპარატის მიერ კონტროლის და კოორდინაციის ძირითადი ფუნქცია მინდობილია ინსტრუმენტალურ-ტექნიკურ ხელსაწყოებს, რომელიც აწარმოებს ცოდნის ადაპტაციას პოლიტიკას სხვა სახელმწიფო და ეკონომიკურ საჭიროებებთან. ამ მხრივ, პაბერმასის მიხედვით, მეცნიერება არის პოსტკაპიტალისტურ საზოგადოებაში კონტროლის და ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. კონკრეტულად, სოციოლოგია, იმდენად, რამდენადაც მისი ობიექტია საზოგადოება, ხდება მართვის მომსახურე გამოყენებითი მეცნიერება. კვლევის რესურსების ტექნიკური თარგმანი გამოიყენება არა ანალიტიკურ სქემაში, არამედ, ანაცვლებს იმ სოციალურ რეალობას, რომლის სქემატიზირებაც უკვე მოხდა. ამ სახის განვითარება ძირითადია თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში და აპირობებს რაციონალურობის გაუკუღმართებულ გაგებას, რომელიც ფიქსირდება შემეცნებით-ინსტრუმენტალურ ასპექტებზე და ამ მხრივ პარტიკულარისტულია (ვიწრო) და ამიტომ ხელს უშლის რაციონალური დისკურსის ალტერნატიული ფორმების განვითარებას. ამ ყველაფრის მანიფესტაცია ხდება “კულტურული” ანუ, მეცნიერულ-ტექნიკური ფორმით.

მიუხედავად ასეთი აღწერისა, რომელიც სტაბილურად და შეუცვლელად გამოიყურება, პაბერმასი ჩამოთვლის იმ კრიზისებს, რომელიც ემუქრება მის მიერ აღწერილ პოსტკაპიტალისტურ საზოგადოებას: 1. ეკონომიკური კრიზისი, როგორცაა ინფლაცია, ფინანსური ჩაჯარდნები, და წარმოების შეცდომები. 2. რაციონალურობის კრიზისი, როგორცაა დაგეგმვის შეცდომები და ადმინისტრაციული დაშლა, რომელიც ხდება რაოდენობრივად გაზრდილი ჯგუფების და გაზრდილი მოთხოვნების შეხვედრისას. 3. ლეგიტიმურობის კრიზისი, ანუ, სახელმწიფო-ადმინისტრაციული შეცდომები საკუთარი დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით და შეცდომები, რომელსაც ის უშვებს დაქვემდებარებული კლასების ლოიალურობით მანიპულაციისას. 4. მოტოვაციის კრიზისი, ანუ, ისეთი ღირებულებების ეროზია, როგორცაა ინდივიდუალიზმი და მიღწევა, რომელიც აუცილებელია განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოების მუშაობისათვის.

მაგრამ, მეორე მხრით, უკვე სხვა დონეზე, კაბერმასი გამოთქვამს იმედს, რომ შესაძლებელია სხვა სახის რაციონალიზაცია, რომელსაც ის უწოდებს “კომუნიკაციური რაციონალიზაციას”. კაბერმასი ამ ცნებას განსაზღვრავს როგორც “არაძალდატანებითი, გამაერთიანებელი, კონსენსუსის მომტანი ძალის მქონე არგუმენტირებული მეტყველების ცენტრალური გამოცდილება, რომელშიც სხვადასხვა მონაწილეები ძლევენ საკუთარ მთლიანად სუბიექტურ თვალსაზრისებს და რაკი თელიან, რომ რაციონალურად მოტივირებული დარწმუნება ორმხრივობის გარეშე არ არსებობს, დაუმტკიცებენ ერთმანეთს როგორც ობიექტური სამყაროს ერთიანობას, ასევე, მათი ცხოვრებ(ებ)ის ინტერსუბიექტურობას”¹⁸.

“რაციონალიზაცია” აქ აღნიშნავს კონსენსუსის მიღწევის პროცესს, რომელიც ხორციელდება თავისუფალი, დაუმაზინჯებელი ინდივიდების საშუალებით, რომლებშიც დასაბუთების მოთხოვნა შემეცნებით-რაციონალური კი არ არის, არამედ, გამოიხატება მიზეზების ძოჯვანაში, ნორმატიულ დასაბუთებაში და დასაბუთების საბოლოო ინსტანციად გამოცდილების გადაქცევაში. სოციალური სტრუქტურა, რომელიც აღმოცენდება კომუნიკაციური მოქმედებიდან, თავისუფალი საზოგადოების მსგავსია – რომელიც თავისუფალია შემეცნებით-რაციონალური მენტალობის სიმაზინჯებისაგან – ემანსიპირებული საზოგადოება დამყარებულია კონსენსუსზე და გონებაზე, საზოგადოება, რომელსაც შეთანხმებული ჯგუფური მოქმედების უნარი აქვს, და შეუძლია დაამარცხოვოს გამოწვევების ირაციონალიზაცია რეპრესიული ადმინისტრაციულ/რაციონალური სისტემის ბატონობა.

რეცეპტები და დიაგნოზები (XX საუკუნის ინტელექტუალური მიმართულებები)

XIX-XX საუკუნეში რადიკალური სოციალური ძვრები ინტელექტუალების მიერ აღქმული იქნა, როგორც სერიოზული გამოწვევა. ტექსტების ის მრავალფეროვნება, რომელებიც ამ დროს და ამ გამოწვევის გამო შეიქმნა, შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ, დეარქვათ ერთს რეცეპტების, ხოლო მეორეს დიაგნოზის მიმართულება. დიაგნოზის მიმართულების ქვეშ პირობითად გაერთიანებული ინტელექტუალები აღწერენ [სოციალურ] სამყაროს და ცდილობენ არსებული აღწერით გამოითვალონ მომავალი.

რეცეპტის მიმართულების მიმდევრები აღწერენ სამყაროს, აფასებენ მას რადიკალურად უარყოფითად (ხშირ შემთხვევებში ეს განწყობა საერ-

თოა მათსა და დიაგნოზისტების შორის) და ცდილობენ დაადგინონ ის გზა, რომლიც არსებული წინააღმდეგობრივი ვითარებიდან გამოიყენან სოციალურ სამყაროს.

ამ ორი მიმართულების რადიკალურ წარმომადგენლებად შეიძლება დაუასახელოთ პარსონსი (დიაგნოზი) და პაბერმასი (რეცეპტი).

თუმცა, ეს განწყობა არ განეწილა მაინცდამაინც XX საუკუნეში და შეიძლება ითქვას, რომ ნიცშეს შემკვიდრეობაა. დღეს ბევრს საუბრობენ ნიცშეს გავლენაზე XX საუკუნეზე, და კონკრეტულად, ნიცშეს გავლენაზე ვებერზე: ამ მიმართულებას საფუძველი დაედო 80-იან წლებში, საბჭოთა რეჟიმის რღვევის დაწყების შემდეგ, როდესაც, გლობალური პირობების ცვლილების გამო მარქსმა დაიწყო სოციალურ-ინტელექტუალური აქტუალობის კარგვა, და მნიშვნელოვანი ოპოზიცია - მარქსი-ვებერი - რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევარი იკავებდა სოციალურ თეორიაში და სოციალურ ფილოსოფიაში მომუშავე ინტელექტუალების თაგებს, შენელდა¹⁹. ვებერის და ნიცშეს ურთიერთობის კვლევას საფუძველი დაედო პენნისის²⁰ წიგნმა ვებერის შესახებ.

იდეა, რომელიც ნიცშე-ვებერის ურთიერთობას უდევს საფუძველად, არის ნიცშეს და ვებერის მიერ არსებული საზოგადოების შეფასების იგივეობა (ვებერის მიერ კაპიტალისტური საზოგადოების, როგორც რკინის გალიის დაფიქსირება და ა.შ.). ამ კონკრეტული სახელმძღვანელოსათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რეცეპტუალისტი (ნიცშეს) გავლენა დიაგნოზისტზე (ვებერზე). თავად XX საუკუნის ინტელექტუალურ ისტორიაში ნიცშე შესაძლებელია შეფასდეს, როგორც აზროვნების ამ ორი ძირითადი მიმართულების დამწყები, თუმცა, არგუმენტები იმის საწინააღმდეგოდ, რომ ამ მხროვ მარქსის როლი ნაკლებია, ძნელადაა მოსაპოვებელი.

თავი I. თეორიები სოციალური ცვლილებების შესახებ

სოციოლოგიის გაჩენა XIX საუკუნეში გამოწვეული იყო იმ ცვლილებებით, რომელიც ხდებოდა საზოგადოებაში. ცვლილებები იმ დროინდელ სოციალურ ცნობიერებასთან და ისტორიულ გამოცდილებასთან შედარებით იყო სწრაფი, რაც ბუნებრივია, ინტელექტუალებში აჩენდა მოთხოვნას მეცნიერულად აეხსნათ ეს ცვლილებები, და რაც უფრო

მნიშვნელოვანია, შესაძლებისდაგვარად გამოყოფილად მომავალი. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ სოციოლოგია გაჩნდა როგორც დროის მოთხოვნაზე პასუხი და როგორც ჩანს, როგორც მეცნიერება სოციალური ცვლილებების შესახებ.

კლასიკური და ნეოეპოლუციონიზმი

ოგიუსტ კონტი (1798-1857)

სოციოლოგიის დამფუძნებელი კონტი ამბობდა, რომ თანამედროვე საზოგადოება (ანუ, ინდუსტრიულ-ურბანისტულ-კაპიტალისტური) არ არის შემთხვევითი, ის გამომდინარეობს აუცილებლობით მისი წინმსწრები პროცესებისაგან. ამიტომ, შეუძლებელია თანამედროვეობის გაგება და აღქმატური ახსნა, თუ არ გავიგებთ წინარე ისტორიის მექანიზმს.

ამისათვის კონტმა ჩამოაყალიბა “სამი ეტაპის (საფეხურის, სტადიის) კანონი”: ისტორიული ცვლილებების მამოძრავებელი ძალა მდებარეობს გონებაში, ანუ, სულში. ანუ, იმაში, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები სამყაროს, როგორ მოქმედებენ ამ აღქმის და გაგების შესაბამისად. ეს ყველაფერი არის ის ცოდნა, რომელიც აქვს საზოგადოებას და რომელიც განუხრელად იზრდება. საზოგადოების ეს ცენტრალური მომენტი გაელენას ახდენს სოციალური ცხოვრების სხვა ასპექტებზე (როგორიცაა ეკონომიკა, პოლიტიკა, სამხედრო საქმე). კაცობრიობა გადის სამ საფეხურს: თეოლოგიურს, მეტაფიზიკურს და პოზიტიურს. თეოლოგიური მცირე ცოდნის ეტაპია, როდესაც ადამიანები ჯერ ნოეთებს და ცხოველებს “აბრალებენ” ხდომილებების მართვას, შემდეგ მრავალ ღმერთს, შემდეგ ერთ ყოვლისშემძლე ღმერთს. ეს პერიოდი ხასიათდება სამხედრო ცხოვრების დომინანტურობით და ფართოდ გავრცელებული მონობის ინსტიტუტით. მეორე, მეტაფიზიკური ეტაპი, საფეხური დგება როდესაც ადამიანები ანაცვლებენ ღმერთებს აბსტრაქტული მიზეზებით და შინაარსებით, რეალობის ფუნდამენტური პრინციპებით, რომელსაც გონება წვდება. ამ დროს პოლიტიკაში გაბატონდება უმაღლესი ძალა-უფლების, კანონზე დამყარებული წესრიგის და კანონიერი მმართველობის იდეები. მესამე, პოზიტიური პერიოდი მიიღწევა, როდესაც ადამიანები ადგენენ კანონებს ემპირიული სიცხადიდან, დაკვირვებიდან, შედარებებიდან და ექსპერიმენტიდან გამომდინარე. ეს არის მეცნიერების და ინდუსტრიის დრო. რაკი პოზიტიური საფეხური მიღწეულია, განვითარება ხდება დაუბოლოებელი, იმდენად, რამდენადაც მეცნიერება მუდამ წინ მიდის, უფრო მაღალ და მაღალ ხარისხს აღწევს, მაგრამ ვერასდროს ვერ აღწევს საბოლოო ჭეშმარიტებას. განვითარება ხდება

რაოდენობრივი. ასე რომ, კონტის ისტორია არის ცეკლიღებების მიმდევრობა გონებაში და საზოგადოებაში, რომლებიც განვითარების შესაბამისად, შეესაბამება და ირეკლავს ერთმანეთს. ევოლუცია უპირველეს ყოვლისა ცოდნის მიღწევის მეთოდების და ცოდნის მოცულობის ევოლუციაა.

ჰერბერტ სპენსერი (1820-1903)

სპენსერი ფიქრობდა, რომ ევოლუცია საერთო პრინციპია, როგორც ბუნებრივი, ასევე სოციალური პროცესებისთვის. ევოლუცია, სპენსერის მიხედვით, მიმდინარეობს სტრუქტურული და ფუნქციონალური დიფერენციაციის გზით: 1. მარტივიდან რთულისაკენ 2. ამორფულობიდან ნაწილების გამოხატვისკენ (არტიკულაციისაკენ) 3. ერთფორმიანობიდან, პომოგენურობიდან სპეციალიზაციისაკენ, პეტეროგენულობისაკენ 4. ცვალებადობიდან სტაბილურობისაკენ¹.

კაცობრიობის ისტორიაში ევოლუციის ზოგადი კანონი საკეიფიკურად ხორციელდება. სოციალური ევოლუციის მექანიზმი ეყრდნობა სამ პრინციპს. 1. პომოგენური, ერთგვაროვანი პოპულაციების შინაგანი არასტაბილურობა. ადამიანები არაოანაბარი არიან მათი გამოცდილებით, მემკვიდრეობით, გარემო პირობებით და ა.შ. ამიტომ, შეუძლებელია არ დაიწყოს ერთგვაროვანი საზოგადოების დიფერენციაცია მასში როლების, ძალაუფლების, ფუნქციების და სხვა მახასიათებლების გამოყოფით. 2. არსებობს არათანაბრობის გაძლიერების, როლების სპეციალიზაციის გადრმავეების, ძალაუფლების და სიმდიდრის გაყოფის ზრდის ტენდენცია. 3. იმდენად, რამდენადაც მსგავსი პოზიციების (როლების, პრესტიჟის, სიმდიდრის, ფუნქციების მიხედვით) ხალხი მიმართულია გაერთიანებისაკენ, საზოგადოება იწყებს ნაწილებად, კლასებად და ჯგუფებად დაყოფას. იმდენად, რამდენადაც საზღვრები, რომლებიც ამ ჯგუფებს ჰყოფს, ფიქსირდება, პოპულაციის სეგრეგაცია იზრდება და პომოგენურ მდგომარეობასთან დაბრუნება შეუძლებელი ხდება.

ეს მექანიზმი აპირობებს კაცობრიობის ისტორიის საფეხურების განსხვავებას, დაწყებული მარტივი საზოგადოებებიდან (ორმხრივად იზოლირებული, ყველა წევრის ერთგვაროვანი საქმიანობა, პოლიტიკური ორგანიზირების გარეშე) რთული საზოგადოებების (ინდივიდუუმებს შორის შრომის განაწილების ჩანასახები, საზოგადოების სეგმენტებს შორის ფუნქციების განაწილების დასაწყისი, იერარქიული პოლიტიკური ორგანიზაცია) და ორმაგად რთული საზოგადოებების (საკუთარი ტერიტორიის ფლობა, კანონების სისტემა) გავლით, ცივილიზაციამდე (ყველაზე რთული

სოციალური მოღიანობები, სახელმწიფო-ერები, სახელმწიფოების ფედერაციები ან დიდი იმპერიები).

იმისათვის, რომ მიეთითებინა, თუ საით მიდის ეს ევოლუციური პროცესი, სპენსერმა შემოიტანა საზოგადოებების ტიპების პირველი დიხოტომიური, პოლარული დაპირისპირება. ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია სამხედრო და ინდუსტრიული საზოგადოებების იდეალური ტიპების სქემა (სმელზერის მიხედვით²²), ანუ, თუ როგორ გადმოცემდა სპენსერი საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების დასაწყისის და დასასრულის პრინციპებს:

| დამასისათხები ნიშნები | სამხედრო საზოგადოება | ინდუსტრიული საზოგადოება |
|---|--|---|
| ძირითადი მოქმედება | ტერიტორიის დაცვა და დაპყრობა | მშვიდობიანი წარმოება და მომსახურების/პროდუქციის გაცემა |
| ინტეგრაციის პრინციპი | იძულება, ხისტი სანქციები | თავისუფალი, ნებულობითი კოოპერაცია, კონტრაქტები |
| სახელმწიფოს და ინდივიდუუმების ურთიერთობა | სახელმწიფოს ბატონობა, თავისუფლების შეზღუდვა | სახელმწიფო ემსახურება ინდივიდუუმების საჭიროებებს, თავისუფლებებს |
| სახელმწიფოს და სხვა ორგანიზაციების ურთიერთობა | მონოპოლია და სახელმწიფოს დომინაცია | კერძო ორგანიზაციების ავტონომია |
| პოლიტიკური სტრუქტურა | ცენტრალიზაცია, აუტორიტარია | დეცენტრალიზაცია, დემოკრატია |
| სტრატეგიკაცია | მიმავრება, დაბალი მობილურობა, ჩაკეტილი საზოგადოება | მიღწევადობა, მაღალი მობილურობა, ღია საზოგადოება |
| ეკონომიკური მოქმედება | აუტარკია, პროტექციონიზმი, თვითკმარობა | ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, თავისუფალი ვაჭრობა |
| ღონიბანტური ღირებულებები | სიმამაცე, დისციპლინა, ლოიალურობა, მორჩილება, პატრიოტიზმი | ინიციატივა, გამომგონებლობა, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა/სიმართლეზე ორიენტირებულობა. |

ლუის მორგანი (1818-1881)

ამერიკელმა ანთროპოლოგმა ლუის მორგანმა შემოიტანა ევოლუციის იდეის საკუთარი ვარიანტი. ის იყო პირველი იმათ შორის, ვინც ევოლუციის ამოსავალი დაუკავშირა ტექნოლოგიის განვითარების იდეას²³. მორგანს სჯეროდა, რომ ევოლუციის ერთგვაროვნება და განგრძობითობა

დაკავშირებულია ადამიანთა მატერიალურ მოთხოვნების უნივერსალურობასა და მუდმივობასთან. ასეთი მოთხოვნები, რომელიც საერთოა ყველა ადამიანისათვის (საკმეელი, თაქშესაყარი, კომფორტი, უსაფრთხოება და ა.შ.) წარმოშობს მათი დაკმაყოფილების ძებნის სტიმულს. ასე, ტექნოლოგიური ძვრები განპირობებულია იმ მატერიალური მოთხოვნებით, რომლებიც ახასიათებთ ადამიანებს. ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა კი ცვლის საზოგადოების ბუნებას, გაელენას ახდენს ოჯახურ ცხოვრებაზე და ნათესაობის ორგანიზაციაზე, ეკონომიკის და პოლიტიკის ფორმებზე, კულტურულ ღირებულებებზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

კაცობრიობის ისტორია სამ ფაზას გადის: ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია. გადასვლები ხდება მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური აღმოჩენების გამო. ასე, “მარტივი ველურობის” პერიოდში ჩვენ ვხვდებით ნაყოფის შეგროვებას, ხოლო “შუა ველურობაში” – ცეცხლის აღმოჩენას და თევზაობის მეთოდებს. “მაღალი ველურობა” არის მშვილდისრის გამოგონება და ნადირობა. “დაბალ ბარბაროსობაში” თიხის ჭურჭლის გაკეთების ტექნოლოგიაა უმნიშვნელოვანესი, “შუა ბარბაროსობაში” ვხვდებით მოშინაურებას და ახალ მიწათმოქმედების კულტურებს. “მაღალ ბარბაროსობაში” ჩნდება რკინის და რკინის იარაღების წარმოება, რომელსაც რევოლუციური მნიშვნელობა აქვს. საბოლოოდ, ცივილიზაციის დაბადება აღინიშნება ფონეტიკური ანბანის გამოგონებით და წერის ხელოვნებით.

ასეთმა, ანუ, მონომიზუზობრივმა, ტექნოლოგიურმა ახსნამ გაელენა მოიპოვა. ის აისახა მომდევნო მნიშვნელოვან მიმდინარეობებში (მაგ. მარქსიზმი, ნეო-ვეოლუციონიზმი).

ემილ დურკჰაიმი (1855-1936)

დურკჰაიმი იყო ანტირედუქციონისტი. ის უარყოფდა იმის შესაძლებლობას, რომ სოციალური ფენომენის მიზეზები შეიძლება სადმე იყოს, გარდა სოციალური რეალობისა (სოციალურ ფაქტებში). ეს თვალსაზრისი აისახა მის თეორიაში სოციალური ევოლუციის შესახებ. ევოლუციის ძირითად მიმართულებად დურკჰაიმმა განსაზღვრა შრომის განაწილების, ამოცანების, მოვალეობების და როლების დიფერენციაციის ზრდა. ეს ტენდენცია უკავშირდება დემოგრაფიულ ფაქტორებს²⁴: პოპულაციის ზრდა მოქმედებს დემოგრაფიულ სიმჭიდროვეზე და მოაქვს “მორალური სიმჭიდროვის” ზრდა, რაც ნიშნავს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას, სოციალური ურთიერთობების სირთულეს, ანუ, მოქმედებს სოციალური კავშირების ხარისხზე. სპენსერის მსგავსად, დურკჰაიმმაც შემოიტანა

საზოგადოებების ტიპოლოგია რომელიც ეყრდნობა სოციალური კავშირების სხვადასხვა ხარისხს: “მექანიკური სოლიდარობა” გამოძლინარობს ფუნქციების და ამოცანების ერთგვაროვნებიდან და არადიფერენცირებულობიდან, “ორგანული სოლიდარობა” ძლიერ დიფერენცირებული როლების და ადგილების როულ და ორმხროვ თანამშრომლობაზეა დამყარებული. დურკაიმის მიხედვით ისტორია მოძრაობს მექანიკური სოლიდარობიდან ორგანულ სოლიდარობამდე. ქვემოთ მოცემული სქემა განმარტავს ამ დიხოტომიას (შტომპკას მიხედვით):

| თვისება | მექანიკური სოლიდარობა | ორგანული სოლიდარობა |
|--|--|--|
| მოქმედების ხასიათი, ძირითადი სოციალური კავშირი | ერთგვაროვანი, ერთი ფორმის მორალი და რელიგიური კონსენსუსი | ძლიერად დიფერენცირებული კავშირები და ორმხრივი დამოკიდებულება |
| ინდივიდუუმის პოზიცია | კოლექტივიზმი, ფოკუსი ვგუფზე, საზოგადოებაზე | ინდივიდუალიზმი, ფოკუსი აქტონომიურ ინდივიდებზე |
| ეკონომიკური სტრუქტურა | იზოლირებული, აუტარკული, თვითკმარი ვგუფები | შრომის განაწილება, ვგუფების ორმხრივი დამოკიდებულება ერთმანეთზე, ვაცვლა |
| სოციალური კონტროლი | რეგრესიული კანონები, დარღვევების დასჯა (კრიმინალური სამართალი) | რესტიტუციული* კანონები, დამცავი კონტრაქტები (სამოქალაქო სამართალი) |

* ისეთი კანონები, რომელიც მიმართულია პირველადი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენაზე (მაგ. ზარალის ანაზღაურებაზე).

ფერდინანდ ტიონისი (1855-1936)

მსგავსი ტოპოლოგიის პოვნა შეიძლება ტიონისთან. ტიონისმა შემოიტანა “ერთობის” და “საზოგადოების” დაყოფა²⁵. პერსონალური, ინტიმური, პირველადი, თვითმიზნური, რომელიც “ერთობის” ტიპის დახასიათებაა, მოდერნულ “საზოგადოებაში” იცვლება იმპერსონალური, მედიაციური, მეორეული და მთლიანად ინსტრუმენტალური კონტაქტებით. უფრო კონკრეტულად, იხ. ცხრილი (შტომპკას მიხედვით):

| თვისება | ერთობა | საზოგადოება |
|-------------------------|-----------------------|-------------------------------|
| სოციალური ურთიერთობები | ნათესაობა | ეკონომიკური ვაცვლა |
| ტიპიური ინსტიტუტები | ოჯახი | სახელმწიფო და ეკონომიკა |
| ინდივიდუუმის ზატი, სახე | თვითობა | პიროვნება, მოქალაქე |
| სიმპიდრის ფორმა | მიწა | ვულაი |
| ფუნონის ტიპი | ოჯახური სამართალი | კონტრაქტების სამართალი |
| ცენტრალური ინსტიტუტები | სოფელი | ქალაქი |
| სოციალური კონტროლი | სალხური წესი, რელიგია | კანონი და საზოგადოებრივი აზრი |

ტიონისის მიდგომის განსაკუთრებულობა მდგომარეობს ერთობის ნოსტალგიაში. ის არის ევოლუციონისტების იმ იშვიათი ფრთის წარმომადგენელი, რომელიც არ აკეუშირებს ევოლუციის და პროგრესის ცნებებს ერთმანეთთან. მისი აზრით, ევოლუცია მიდის ადამიანური საჭიროებების საწინააღმდეგოდ, ადამიანური პირობების გაუარესებისაკენ, და არა გაუმჯობესებისაკენ.

ლესტერ უარდი (1841-1913)

უარდი თავის “დინამიურ სოციოლოგიაში”²⁶ ამტკიცებდა, რომ ევოლუციის მექანიზმი არ არის მუდმივი და დროთა განმავლობაში ის იცვლება. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ზღვარი, რომელიც შეიძლება დაეინახოთ ევოლუციის პროცესში, სონტანურ, ბუნებრივ ევოლუციას (გენეზისი) და ადამიანურ, მიზეზზე ორიენტირებულ ევოლუციას (ტელეზისი) შორისაა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულია და წარიმართება ადამიანების ცნობიერებით და დასახული მიზნების მიხედვით. ანუ, უფრო კონკრეტულად, ევოლუცია იწყება როგორც “კოსმოგენეზისი”, და მოიცავს სამყაროს წარმოშობას. რაღაც მომენტში, სიცოცხლის წარმოშობის გამო, ჩნდება ახალი ევოლუციური მექანიზმი (“ბიოგენეზისი”) და იწყებს მოქმედებას კოსმოგენეზისთან ერთად. შემდგომ, ადამიანის გაჩენასთან ერთად, ახალი ევოლუციური მექანიზმი ჩნდება (“ანთროპოგენეზისი”) და ერთვება ევოლუციაში კოსმოგენეზისთან და ბიოგენეზისთან ერთად. საბოლოოდ, როდესაც ადამიანი მოექცევა ახალ ორგანიზაციულ ფორმაში, საზოგადოებაში, და წარმოიშობა ახალი მექანიზმი “სოციოგენეზისი”. საბოლოოდ, ოთხი მექანიზმი ერთად მუშაობს, და აკონტროლებს ერთმანეთზე დადებულ შრეებს, რომლებსაც სხვადასხვა წარმოშობა აქვთ კოსმოგენეზისური, ბიოგენეზისური, ანთროპოგენეზისური და სოციოგენეზისური. ბოლო ორი ფაზის დროს ევოლუცია განიცდის ახალ შემობრუნებას: დაგეგმვა, აღქმა, მომავლის კონსტრუირება სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის სოციალური ცვლილებისათვის. ევოლუცია გადადის ახალ, ყველაზე მაღალ დონეზე და ხდება უფრო მრავალგანზომილებიანი და ადამიანური (ჰუმანური).

ევოლუციის კლასიკურ თეორიები მრავალმხრივ გააკრიტიკეს. კრიტიკის სამიზნეებს შორის ყველაზე უფრო პოპულარული იყო შემდეგი ეჭვები:

- არსებობს თუ არა საერთო ისტორიული ლოგიკა?
- განიცდის თუ არა ადამიანების საზოგადოება, როგორც მთლიანი, ევოლუციას?

- მართებულია თუ არა საზოგადოების [მოლიანი] ორგანიზმის ანალოგიით აღწერა?
- გაზვიადებული ხომ არ არის სოციალური ცვლილებების სიხშირე და სოციალური წყობის შეცვლაზე მათი მიმართულება?
- არსებობენ თუ არა სოციალური ცვლილებები, როგორც ასეთი? (ხომ არ არიან ისინი აბსტრაქციით მიღებულია?);
- მართებულია თუ არა ლინეარული ევოლუციის ცნება?
- რეალურია თუ არა მონომიზეზობრივი ცვლილებები?

ყველა ამ და ბევრი სხვა მიზეზის გამო, XX საუკუნის შუა წლებამდე ევოლუციური მოდელი ადარავის ადარ გახსენებია. გარდა ფილოსოფიური და ონტოლოგიური საფუძვლებისა, ნეოევოლუციონიზმის გაჩენას საფუძვლად დაედო აღმოჩენები პალეონტოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, ეთნოლოგიაში და სხვა მეცნიერებებში. ყოველ შემთხვევაში ცხადი გახდა, რომ განვითარების იდეა არ იყო საბოლოოდ გადასაგდები, რადგანაც სხვადასხვა ისტორიული მეცნიერების მონაცემები ლამის ყოველდღიურად ადასტურებდნენ პოპულაციის ზრდის, ტექნოლოგიის და წარმოების წინსვლის ტენდენციებს. და რაც მთავარია, სოციალური სისტემების გართულებას, დიფერენციაციას და ურბანიზაციას.

ტალკოტ პარსონსი წერდა: “ბიოლოგიური და სოციალური მეცნიერების განვითარება ქმნის საფუძველს რომ მივიღოთ საზოგადოების და კულტურის ფუნდამენტური განგრძობითობა, როგორც ცოცხალი სისტემების ევოლუციის უფრო ფართო და ზოგადი თეორიის ნაწილი”.

მაგრამ, ნეოევოლუციონიზმი არ იყო კლასიკური ევოლუციონიზმის უბრალო გამეორება. განსხვავებები მათ შორის შემდეგია:

1. გლობალური ადამიანური საზოგადოებიდან ფოკუსმა გადაინაცვლა იმ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობენ უფრო შეზღუდულ სოციალურ ერთეულებში: ცივილიზაციებში, კულტურებში, გამოყოფილ საზოგადოებებში (ტომებში, სახელმწიფო-ერებში, ა.შ.)
2. ძირითადი ყურადღება საზოგადოებების ტიპოლოგიური და ხასიათებებიდან გადავიდა ევოლუციის მიზეზების მექანიზმებზე. ანუ, ახსნა გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე აუცილებელი საფეხურების აღწერა და ჩამოთვლა.
3. ევოლუციის განსაზღვრებები გახდა აღწერიითი. ნეოევოლუციონისტები მაქსიმალურად ცდილობდნენ არ შეეფასებინათ სოციალური პროცესები როგორც პროგრესი.
4. ტექსტები იგებოდა უფრო “ალბათ”, “შესაძლებელია” კონსტრუქტების საშუალებით, ვიდრე დეტერმინისტული და დარწმუნებული ფორმით.
5. იყო შინაგანი კავშირი ევოლუციონიზმის სხვა მიმართულებასთან, დარვინიზმთან, რომელიც ვითარდებოდა დამოუკიდებლად და დიდი სისწრაფით.

ნეოფოლუციონიზმის ყველაზე უფრო ცნობილი წარმომადგენლები არიან გერჰარდ და ჯინ ლენსკები და ტალკოტ პარსონსი.

გერჰარდ და ჯინ ლენსკები

ლენსკების აზრით, მათი თეორია (ეკოლოგიურ-ვეოლუციური მიდგომა) ბიოლოგიაში ევოლუციურ მიდგომასთან ერთად იზიარებს ინტერესს ცელილების პროცესისადმი – კერძოდ, ძირითად, ხანგძლოვ, განვითარებად და ადაპტირებად ცელილებებისადმი – და ასევე, ინტერესს მასთან შეჭიდულ - შეჯიბრების და კონფლიქტის პროცესებისადმი. ბიოლოგიაში ეკოლოგიურ მიდგომასთან მას აქვს საერთო ინტერესი პოპულაციების შიგნით და პოპულაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მიმართ, და პოპულაციის და მათი გარემოს დამოკიდებულების მიმართ²⁷.

ლენსკების აზრით, კაცობრობის ისტორიაში ხანგძლივი მიმართულებების/ტენდენციების არსებობა სრულიად ცხადია. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ტენდენცია ტექნოლოგიური წინსვლაა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს “ტექნოსტაისის” და რეგრესიის შემთხვევითი მოვლენები, ის ცელილების უპირატესი და მთავარი მიმართულებაა. სოციოკულტურული ევოლუცია არის ტექნოლოგიური წინსვლა და მისი შედეგებია. ტექნოლოგიური ცელილების ძირითადი იდეა, შინაარსი იმ ინფორმაციის მოცულობის და ხარისხის ცელილებაა, რომელიც გარემოს კონტროლისთვისაა გამოსადეგი. “შე ვიხრები დარწმუნებისაკენ, რომ ყველა, ან უმეტესი მიმართულების საფუძველი ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც ხსნის ყველა დანარჩენს. ეს არის ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოცულობის ზრდა, კონკრეტულად, კი იმ ინფორმაციის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მატერიალური სამყაროს მანიპულირება”.

ადამიანების წარმოშობა ცხოველთა სამყაროდან არის წინსვლა სწავლაში და ინფორმაციის გაცელაში. ინფორმაციის ძირითადი, საბაზო ფორმა წმინდა გენეტიკურია, უმაღლესი ფორმა ინდივიდუალური სწავლებაა. გენეტიკურ დონეს შემდეგ მისდევს ნიშნებით კომუნიკაცია (ინფორმაციის გაზიარება იმათთვის, ვინც იმ წუთას არის გვერდით), და საბოლოოდ, სიმბოლოების მნიშვნელობებით კომუნიკაცია, ინფორმაციის კოდირება, შენახვა და გაზიარება მათთვის რომლებიც აუცილებლად არ არიან გვერდით, არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც (ინფორმაციის გადაცემა თაობებიდან თაობებზე). სიმბოლური სისტემები აძლევენ ადამიანს საშუალებას რადიკალურად ახალი გზებით მოახდინოს ადაპ-

ტაცია და პქონდეს ურთიერთობა ბიოფიზიკურ გარემოსათან. სიმბოლური სისტემები გენეტიკური სისტემების ფუნქციური ანალოგებია. ჩანს, რომ მომავალში, ინფორმაცია, რომელიც ექნება ადამიანს, მისცემს მას საშუალებას ცნობიერი კონტროლი გაუწიოს საკუთარ ევოლუციას. ეს დააგვირგვინებს “ევოლუციის ევოლუციის” პროცესს.

სოციალური ცხოვრების ყველა სხვა ასპექტი მკაცრად შეჭიდულია ტექნოლოგიასთან. ევოლუციის განმსაზღვრელები იერარქიის მიხედვით ასე ლაგდება: ტექნოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, განაწილების სისტემა. მართალია, ლენსკები უშეებენ სხვა ხაზის არსებობასაც, რომელიც მოქმედებს ტექნოლოგიაზე საზოგადოების მხრიდან, მაგრამ, ზოგადათ, ტექნოლოგიური წინსვლა მთავარი განმსაზღვრელია ძირითადი მიმართულებების თანაუარსკვლავედში – პოპულაცია, ენა, სოციალური სტრუქტურა და იდეოლოგია – რომლებიც საზღვრავს კაცობრიობის ისტორიის ძირითად მიმართულებებს.

ასე რომ, კაცობრიობის ევოლუციური ფაზები იყოფა ტექნოლოგიის კრიტერიუმის მიხედვით: 1. ნადირობა და შემგროვებლობა (7000 ძვ.წ.-მდე) მებადლობა (პორტიკულტურული ფაზა) (7000-დან 3000-მდე ძვ.წ.), აგრარული (3000 ძვ.წ.-დან 1800 ახ. წ.) და ინდუსტრიული (1800 ახ.წ.-დან დღემდე). ადგილობრივი ეკოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იყოს ალტერნატიული ხაზები, რომლებიც უხვევს ევოლუციის ძირითად კურსს. ზოგიერთმა საზოგადოებამ შეიძლება განაეითაროს ეკვივალენტური, მაგრამ განსხვავებული ტექნოლოგიები, ეფექტურობის იგუე დონეზე, რაც შეიძლება გაიზომოს, საზოგადოების მთლიანი პროდუქტის ღირებულების გაყოფით ადამიანურ ენერჯიაზე, რომელიც იხარჯება პროდუქტის წარმოებაზე.

ტალკოტ პარსონსი (1902-1979)

პარსონსი ანსხვავებს ორ ძირითად პროცესს, რომელიც ხდება ნებისმიერ სოციალურ სისტემაში: ინტეგრაციული და კონტროლის პროცესები, რომლებსაც აქვს კომპენსატორული ეფექტი: ისინი აღადგენენ წონასწორობას დარღვევის შემდეგ, და იცავენ საზოგადოების განგრძობითობას და რეპროდუქტიულობას. მაგრამ, გარდა ამისა, არსებობენ სტრუქტურული ცვლილებების პროცესები, რომლებიც ეხება ღირებულებების და ნორმების ძირითად სისტემებს. სტრუქტურული ცვლილება არის იმ ღირებულებების ცვლილება, რომელიც აკონტროლებს სისტემის ერთეულებს შორის ურთიერთობებს²⁸.

სტრუქტურული ცვლილებები ევოლუციურ მოდელს მიჰყვებიას პროცესის ყოველი შემდგომი ფაზა გამოირჩევა სირთულის ზრდით, რაც თავის მხრივ გამოიხატება სისტემის შიგნით სპეციალიზირებული ერთეულების რაოდენობის გაზრდით, რასაც მოსდევს თანამშრომლობის, ორგანიზაციის და კოორდინაციის ახალი ფორმების აუცილებლობა. სოციოკულტურული ევოლუცია, ისევე, როგორც ორგანული ევოლუცია მიმდინარეობს შედარებით მარტივიდან უფრო რთული ფორმებისაკენ. ანუ, მთავარი მიმართულება ზოგადი ადაპტიური შესაძლებლობის გაძლიერებაა. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადი მიმართულებაა, რომელიც არ მოიცავს სპეციფიკური ევოლუციური ტრაექტორიის მრავალფეროვნებას. ევოლუცია არის არა მონოლინეარული, არამედ მულტილინეარული. ევოლუციის ყოველი დონე მოიცავს განსხვავებული ფორმების და ტიპების დიდ მრავალფეროვნებას.

არსებობს ევოლუციის ოთხი ბაზისური მექანიზმი: დიფერენციაცია, ადაპტაციური გაუმჯობესება, ჩართვა და ღირებულებების განზოგადება (გენერალიზაცია). 1. დიფერენციაციის მექანიზმი, ანუ, სტრუქტურულად და ფუნქციურად ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება. დიფერენციაცია სტრუქტურის ერთეულის ან სისტემის დაყოფაა ორ ან მეტ ერთეულად, ან სტრუქტურად, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან და სისტემისათვის ფუნქციურად მნიშვნელოვანია; 2. ადაპტირებადი გაუმჯობესება ყოველი ახალი ერთეულის ეფექტურობის ზრდაა, მათი უფრო სპეციალიზირებული და ეფექტური მოქმედება ადრეული, უფრო ერთგვაროვანი ერთეულების მოქმედებასთან შედარებით. ადაპტაციური გაუმჯობესება ის პროცესია, რომლის მიხედვითაც უფრო მეტი რესურსებია ხელმისაწვდომი, ანუ, ახალი ერთეულების ფუნქციონირება თავისუფალია იმ შეზღუდვებისაგან, რომელიც ჰქონდა მათ წინმსწრებ ერთეულებს; 3. ჩართვა ის მექანიზმია, რომელიც საჭიროა ახალი ერთეულების და სისტემების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, მათი ჰარმონიული ოპერირებისათვის ახალ კონტექსტში; 4. ღირებულებების განზოგადება საჭიროა მაშინ, როდესაც ხდება ახალი ნორმატიული სტანდარტების ფორმულირება, იმისათვის, რომ ახალი ერთეულები ჩაერთონ საზოგადოებაში და მათ მოქმედებას ლეგიტიმური საფუძველი ჰქონდეს. ეს მექანიზმი მუშობს სოციალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ოთხეფ ეს მექანიზმი მოქმედებს ერთად, და ყოველი ცვლილება ამ ოთხი (და სხვა) პროცესის შედეგია.

ევოლუციას აქვს შემდეგი ეტაპები-საფეხურები: პრიმიტიული, განვითარებული პრიმიტიული და მოდერნული. პრიმიტიული ეტაპი არის მაშინ, როდესაც საზოგადოება მთლიანდ ჰომოგენული და ერთგვა-

როუნია. განვითარებულ პრიმიტიულ საფეხურზე ხდება ქვესისტემებად დაყოფა: პოლიტიკური ფუნქციები გამოეყოფა რელიგიურს, ხოლო საეკლესიო და საერო ღირებულებები დიფერენცირდება. საზოგადოებაში მონაწილეობა სტრატეფიცირდება, და უფრო მეტი ყურადღება ექცევა მიღწევებს, ვიდრე სოციალურ წარმოშობას. ხდება დამწერლობის გაჩენა, ინფორმაციის აკუმულირება და გადაცემა. საბოლოოდ, “საზოგადოების მოდერნული ტიპი წარმოიშობა ერთ ევოლუციურ არენაზე, რომელიც ევროპის არეალია.. “ მოდერნულობის ძირითადი, განმასხვავებელი ნიშნებია: 1. საზოგადოებაში ოთხი ქვესისტემის სრული დიფერენციაცია: ადაპტაციური, მიზანზე ორიენტირებული, ინტეგრაციული და მოდელის შემანარჩუნებელი; 2. ეკონომიკის დომინანტური როლი, რომელიც ხასიათდება მასობრივი წარმოებით, ბიუროკრატიული ორგანიზაციით, ბაზრის ყველგან განმსჭვალურობა და ფული, როგორც გაცვლის გენერალიზებული არენა და მედიუმი; 3. კანონის სისტემის, როგორც სოციალური კოორდინაციის და კონტროლის ძირითადი მექანიზმის განვითარება; 4. სტრატეფიკაცია, რომელიც დამყარებულია მიღწევის უნივერსალურ კრიტერიუმზე; 5. სოციალური ურთიერთობების იმპერსონალური, მედიაციური, რთული ქსელების გავრცელება.

პარსონსმა თავისი მსჯელობა ევოლუციაზე დაამთავრა დასკვნით ჩვენს დროში უნდა გამოჩენილიყო “წამყვანი საზოგადოება”, რომელიც დაასრულებდა ევოლუციურ პროცესს, და ეს საზოგადოება ამერიკის შვერთებული შტატებია. “აშშ-მ, “პირველმა ახალმა ერმა” უნდა ითამაშოს დაახლოებით იგივე როლი, რასაც ინგლისი ასრულებდა XVII საუკუნეში”.

დიფერენციაციის და მოდერნიზაციის თეორიების კრიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ დიფერენციაციის და მოდერნიზაციის თეორიები ძალიან მომხიბვლელად და უეჭველად გამოიყურება, მათ წარმოშვეს კრიტიკის მთელი ტალღა:

დიფერენციაციის თეორიის წინააღმდეგობები შემდეგია:

1. კრიტერიუმები – ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ძალაუფლების ფაქტორი. ანუ, კითხვა, თუ ვისთვისაა ეფექტური დიფერენციაცია (ანუ, ვისი კრიტერიუმის მიხედვით)? თუ ამ კითხვას ჩაუდრამაედებით მოედვართ იდეასთან, რომ ძალაუფლება არჩევს დიფერენციაციის მიმართულებას და შეუძლია დაბლოკოს სხვა მიმართულებები. ამდენად, დიფერენციაცია კი არ ხდება, არამედ, ძალაუფლება აწარმოებს მას, შესაბამისად, შრომის განაწილებას, და ზოგადად, სოციალური ფორმების წარმოებას და კვლავწარმოებას.

2. დედოფერენციაციის მრავალი შემთხვევა - მიუხედავად იმისა, რომ დედოფერენცია ზოგადად ამართლებს და ხსნის ისტორიის ძირითად ხაზს, ისტორიაში არსებობს დედოფერენციაციის და ფუნქციების შერწყმის მრავალი შემთხვევა (ცივილიზაციების დაცემა, ქალაქების და სოფლების ფუნქციების გამარტოება-შერწყმა, და სხვა). გარდა ამისა, მოდერნულ სამყაროშიც არის დე-დედოფერენციაციის საინტერესო შემთხვევები, როგორცაა, მაგალითად, თანამედროვე მოქალაქის როლი, რომელიც მსჭვალავს ყველა სხვა სოციალურ დაყოფას.

მოდერნიზაციის თეორიის წინააღმდეგობები შემდეგია:

1. პრაქტიკული წინააღმდეგობები: XX საუკუნის შუა წლების შემდეგ გაიკვია, რომ მოდერნიზაციას ხშირად არ მოაქვს ის შედეგები, რომელსაც ისახუდა მიზნად. მოდერნიზაციის არასასურველ შედეგებად მიჩნეული იყო ომები, ახალი ფუნდამენტალისტური რელიგიები, ნაციონალიზმის სხვადასხვა სახე, რეგიონალიზმის გაჩენა და სხვა. გარდა ამისა, აშკარა იყო, რომ ქვესისტემების დონეზე იზრდებოდა გადახრები და დანაშაულებები. მრავალი შემთხვევების აზრით, ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ სფეროში მოდერნიზაციას განვითარება არ მოუტანია.
2. თეორიული წინააღმდეგობები: ამ მხრე მოდერნიზაციის საფუძვლის, ვოლუციური მოდგომის გაზიარება აღმოჩნდა ძნელი. თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებების მოდერნიზაცია იწყება სხვადასხვა ადგილიდან, რაც გავლენას ახდებს მათ კურსზე. გარდა ამისა, ტრადიციულობის და მოდერნულობის მკვეთრი განსხვავება დადგა ეჭვის ქვეშ. ახალი ქვეყნების მოდერნიზაციის დაწყებამ აჩვენა, თუ რა დიდი როლი აქვს ტრადიციას, როგორ შენარჩუნდება და ხანდახან როგორ ძლიერდება იგი მოდერნიზაციისას. შემოთავაზებულ იქნა ჩანაცვლებულიყო მიზანზე მიმართული კონტექსტი გლობალური, გარეთ მიმართული ფონით, რომელიც კრიტიკოსების აზრით, რეალობას უფრო შეესაბამისებოდა. დაბოლოს, დასაუღეთზე ორიენტირებული კონცეფცია არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, აღინიშნებოდა, რომ ბევრი მოდერნული სახელმწიფო და საზოგადოება არ ვითარდება ვეროპული სახელმწიფო-ერების მიმართულებით.

ისტორიული ციკლების თეორიები

სანამ კაცობრიობის ისტორიის ცვლილებების კანონზომიერებებზე დეტალურად საუბარს, უნდა აღინიშნოს ისტორიული ციკლების თეორიები, რომლის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები არიან შპენგლერი, ტონიბი, პარეტო, სოროკინი.

ოსვალდ შპენგლერი (1880-1936)

თავის ნაშრომში “დასავლეთის დაისი” შპენგლერი აღნიშნავდა, რომ არ არსებობს ისტორიის ლინეალური პროგრესი. შპენგლერი მიუთითებდა “მაღალი კულტურების” (ეგვიპტური, ბაბილონური, ინდური, ბერძნულ-რომაული, ჩინური და ა.შ.) ბედს, და ამბობდა, რომ ისინი იბადებიან (მცენარეებივით განსაზღვრულ მიწაზე), და კედებიან, როდესაც სრულად ახორციელებენ თავიანთ შესაძლებლობებს. ისტორია ასეთი კულტურების “კოლექტიური ბიოგრაფიაა”.

არნოლდ ტონბი (1889-1975)

ტონბიმ დაწერა 12 ტომიანი ნაშრომი “ისტორიის შესწავლა”²⁹. ტონბის მიხედვით, ისტორიის, როგორც მეცნიერების, საგანი არის არა ერთეული სახელმწიფო-ერი, არა კაცობრიობა, როგორც მთლიანობა, არამედ, ის, რაც არის მათ შორის, ანუ, ის, რასაც აქვს უფრო მეტი არსებობის ხანგძლივობა, ვიდრე ცალკეულ საზოგადოებებს, მაგრამ უფრო მცირე, ვიდრე მთლიანად კაცობრიობას. ეს არის ცოფილიზაცია. ყოველ ცოფილიზაციას აქვს თავისი სპეციფიკური დომინანტური ნიშანი. ეს ნიშნებია, მაგალითად, ესთეტიკა ელინისტურ ცოფილიზაციაში, რელიგია ინდურში, მეცნიერება და მექანიკური ტექნოლოგია დასავლეთის ცოფილიზაციაში. ცოფილიზაციები წარმოიშობა შემდეგი პირობების გამო: შემოქმედებითი უმცირესობის არსებობა და არც ძალიან კარგი, და არც ძალიან ცუდი გარემო პირობები. ცოფილიზაციების დაცემა სამი მომენტის ურთიერთდამთხვევაა: უმცირესობის შემოქმედებითი ძალის დაკარგვა, უმრავლესობის წინააღმდეგობა უმცირესობისადმი, და როგორც ამის შედეგი, საზოგადოების მიერ სოციალური ერთიანობის დაკარგვა.

ვილფრედო პარეტო (1848-1923)

პარეტოს საზოგადოება წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც სისტემა, რომელიც როგორც მთლიანად, ასევე მისი შემადგენელი ნაწილებიც, გადიან წონასწორობის, დესტაბილიზაციის, წონასწორობის დაკარგვის და ახალი წონასწორობის განმეორებად ციკლებს. არსებობს საერთო სოციალური ციკლი, და არსებობენ სეგმენტული ციკლები: პოლიტიკურ-მილიტარისტული, ეკონომიკურ-ინდუსტრიული, იდეოლოგიურ რელიგიური, და ყოველი მათგანი “შიგნით” იმეორებს აღნიშნულ ციკლს³⁰.

პიტირიმ სოროკინი (1889-1968)

სოროკინმა კაცბრიობის ისტორია სამ ეტაპიან ციკლებად დაჰყო. ეს ეტაპებია იდეაციური, იდეალისტური და გრძნობადი. ისტორია განუხრელად მიმდინარეობს ამ ციკლების მიხედვით. თანამედროვე საზოგადოება არის ყველაზე უარესი, და შესაბამისად, გრძნობადი. მაგრამ, სოროკინის ეს პესიმისტური თეორია ოპტიმიზმის საფუძველსაც იძლევა. ანუ, რაკი ახლა გრძნობადი დროა, მომავალში დადგება იდეაციური ხანა³¹.

ისტორიული მატერიალიზმი

კარლ მარქსის (1818-1883) ისტორიულ მატერიალიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციალური ცვლილებების თეორიის ისტორიაში. XX საუკუნის განმავლობაში, როგორც ორთოდოქსი (საბჭოთა კავშირი), ასევე არაორთოდოქსი (დასავლეთი) მარქსისტები აბსოლუტურად განსხვავებულ ინტერპრეტაციებს იძლეოდნენ. თავად მარქსის ნაწერები დღემდე საინტერესოდ რჩება სოციოლოგებისათვის. ქვემოთ მოკლედ განხილულია შტომპკას მიერ მარქსის ინტერპრეტაცია:

შტომპკა მარქსის ნააზრევში გამოპყოფს სამ დონეს: მოქმედება-ინდოიდუალური დონე (პიროვნების, როგორც არა სუბსტანციური, არამედ რელაციური არსების თეორია), სოციოსტრუქტურული დონე (კლასთა თეორია) და მსოფლიო-ისტორიული დონე (სოციოეკონომიკური ფორმაციების თეორია). ასეთი რეკონსტრუქციის საფუძველზე მარქსი წარმოგვიდგება როგორც სოციალური ცვლილების სამი ტიპის მიზეზობრიობის დამდგენი.

შესაბამისად, კლასთა თეორია, რომელიც ასე პოპულარული იყო საბჭოთა კავშირის დროს, ამ კონკრეტული რეკონსტრუქციით არის მხოლოდ ერთი “ფენის” აღწერა და არაფრით არ ასახავს მთლინად მარქსს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი თანამედროვე ავტორი (მაგ. ანდორკა³²) მარქსისეულ გაუცხოების ცნებას აკავშირებს ანომიის ცნებასთან (აცხადებს მის წინამორბედად).

თავი II. სოციალური სტრუქტურების (ინსტიტუტების) წარმოშობის და ცვლილებების თეორიები

ბაძს ვებერი

სოციალური სტრუქტურა, რომელიც წარმოიშობა საზრისის მქონე ინტერაქციიდან.

ვებერის მიხედვით, სოციალური მოქმედება შეჭიდულია იმ სუბიექტურ მნიშვნელობასთან, რასაც მასში დებს აქტორი, ანუ, ის, ვინც მოქმედებს. მოქმედება განისაზღვრება, იმდენად, რამდენადაც მოქმედი ინდივიდუმი ანიჭებს სუბიექტურ მნიშვნელობას საკუთარ მოქმედებას – იქნება ის ფარული თუ ღია, შეცდომა თუ დათმობა. მოქმედება არის სოციალური იმდენად, რამდენადაც “მისი სუბიექტური მნიშვნელობა ანგარიშს უწევს სხვების ქცევას და და ამიტომ მიმართულია მისი მიმართულებით”. (ანუ, სოციალურის მიმართულებით). ამ ამოსავალმა უბიძგა ვებერს გავგო სოციოკულტურული ფენომენი სხვაგვარად, ვიდრე ეს არის მიღებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში [საკუთარი საგნის მიმართ], და მიექმენა მეთოდოლოგიური განაზრებები იმის გზების ახსნას, რომლებითაც ეს “ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური” ფენომენი შეიძლება ყოფილიყო ნაწევდომი “გაგების” პროცესის საშუალებით. ე.წ. “ობიექტური” სტატისტიკაც კი არ შეილება გაგებული იქნეს მხოლოდ როგორც “სოციალური მოქმედების მიმართულების გაგებადი (წედომადი) სუბიექტური მნიშვნელობა”³².

აქედან გამომდინარე, ვებერთან საკმაროდ პრობლემატური უნდა იყოს სუბიექტური მნიშვნელობებიდან საერთო მნიშვნელობებზე, ანუ, ინსტიტუტებზე გადასვლა. ვებერთან ეს პრობლემა წყდება იდეალური ტიპების ცნებით, რომელიც იძლევა საშუალებას მოხდეს გადასვლა სუბიექტური მნიშვნელობებიდან ზოგად დებულებებზე და მდგომარეობებზე. იდეალური ტიპი ხასიათდება, როგორც კონსტრუქცია, ან სქემა, რომელიც წარმოიშობა მკვლევარის ნააზრეში, მაგრამ აქვს საფუძველი ემპირიულ სამყაროშიც. იდეალური ტიპის ვებერისეული განსაზღვრება შემდეგია: “ის ყალიბდება ერთი ან რამდენიმე ერთმხრივი თვალსაზრისის აქცენტუაციის და ბევრი დიფუზიური, დისკრეტული, მეტ-ნაკლებად სახეზე არსებული და შემთხვევითად არ არსებული კონკრეტული ინდივიდუალური ფენომენების სინთეზით, რომლებიც (ფენომენები) შეადგენენ იმ ერთმხრივი გამოკვეთილი თვალსაზრისების მიხედვით გაერთიანებულ, ანალიტიკურ კონსტრუქციას”. იდეალური ტიპების კონკრეტული მაგა-

ლითები, ვებერის მიხედვით არიან დიდი მსოფლიო რელიგიები და მათი შიდა ვარიაციები, მმართველობის ტიპები, ბიუროკრატია, რაციონალური ბურჟუაზიული კაპიტალიზმი. ვებერის მიხედვით, იდეალური ტიპი მიმართულებას უსახავს რეალობის გაზომვას, შედარებას და უფლებას აძლევს მკვლევარს მიაღწიოს ისტორიული ფენომენის და მისი კემპირების ზოგად ანალიზს.

ვებერის ამ თეორიის კრიტიკა ვერდნობა იმას, რომ არ არის ცხადი და ერთგვარი, თუ როგორ ჩნდება სტრუქტურა, ინსტიტუტი. ამ პრობლემას სხვადასხვანაირად უპასუხებს სამი თანამედროვე თეორია: სიმბოლური ურთიერთქმედების, ეთნომეთოდოლოგიის და სოციალური კონტროლის თეორიები.

სიმბოლური ურთიერთქმედება **სიმბოლური ურთიერთქმედება**

სიმბოლური ურთიერთქმედების მეთოდოლოგიური საფუძვლის ჩამოყალიბებისას ბლუმერმა³³ გააკეთა აქცენტი იმაზე, თუ რა არ არის სიმბოლური ურთიერთქმედება:

1. ადამიანის ქცევა არ უნდა გაეიგოს, როგორც შედეგი, რომელსაც აპირობებს ფსიქოლოგიური ფაქტორები – სტიმული, განწყობები, ცნობიერი თუ არაცნობიერი მოტივები და ა.შ. ბლუმერმა უარყო როგორც ბიპვეორიზმი, ასევე ფსიქანალიზი, ერთი და იგივე მიზეზით როდესაც მკვლევარი ცდილობს ეს ფაქტორები დაუკავშიროს სპეციფიკურ ქცევას, ის ამით უგულვებელყოფს საგნების მნიშვნელობას იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მოქმედებენ.
2. ასევე, ადამიანის ქცევა არ უნდა გაეიგოს, როგორც ისეთი სოციალური ფაქტორების შედეგი, როგორცაა სტატუსის მოთხოვნები, სოციალური როლები, ნორმები და ღირებულებები და ა.შ. ბლუმერის წინააღმდეგობა ამისადმი იგივეა: ამ შემთხვევაში ინდივიდუუმი გაიგება, როგორც პასიური ტურჭელი, რომელსაც მსჭვალავს ძალები, რომლებიც არ აძლევს ინდივიდუუმს საშუალებას მიაინტოს ამ ძალებს მნიშვნელობა, გაეღენა იქონიოს მათზე, და ამით მიაინტოს ინდივიდუალობა და მნიშვნელობა საკუთარ მოქმედებას.
3. საგნების მნიშვნელობა – ისეთი უბრალო საგნებისაც კი, როგორებიცაა სკამი და მაგიდა – არ შეიძლება ვიპოვოთ თავად საგნის ობიექტურ დახასიათებაში. მნიშვნელობის წარმოშობაში განსაკუთრებული ადამიანური ელემენტია ჩართული. ამ მიდგომით ბლუმერი უარყოფდა როგორც პოზიტივისტურ, ასევე რეალისტურ ფილოსოფიურ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც სტრუქტურის და წესრიგის ფესვები ბუნებაშია.

4. იგივე ნიშნით, საგნების მნიშვნელობები არ დადგინდება მათდამი განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მიმართებებით – ისეთი მიმართებები, როგორცაა მუხსიერება, მოტივები, განწყობები. სტრუქტურირების ასეთი წესიც მცდარია ბლუმერისათვის, რაც საბოლოოდ ზღვარს აეღებს ბლუმერს, ფილოსოფიურ სუბიექტივიზმს და ფსიქონალიტიკურ პერსპექტივას შორის.

მნიშვნელობის ცნება ძირითადად სიმბოლური ინტერაქციის თეორიისათვის: მისი წყაროა ადამიანებს შორის ინტერაქციის, ურთიერთმოქმედების პროცესი. ინდივიდები ურთიერთქმედებენ ერთმანეთს შორის, ქმნიან და იღებენ მნიშვნელობებს, მოქმედებენ მათ შესაბამისად. დამატებითი ელემენტი ამ პროცესში არის ის, რომ ურთიერთქმედებაში ჩართული ინტერპრეტაციის პროცესს აქვს ინტრანიდივიდუალური კომპონენტი, ანუ, ინდივიდუუმები ერთეულებიან კომუნიკაციებში, ინტერპერსონალური ურთიერთქმედების გარემოში აკეთებენ არჩევას, შესწორებებს, მითითებებს, დასკვნებს. პროცესი განსაკუთრებით რთულია, და შეიცავს სხვისი მნიშვნელობების წაკითხვას, მნიშვნელობების გადახედვას ამაზე დაყრდნობით, მიხედვრას, ქცევის შესაბამისად, რა წაკითხვა აქვს სხვას, და შემდეგ, სხვის ქცევის/აღქმების ამ მიხედვრებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ამ თვალთახედვით ძალიან ძნელია სტრუქტურის ერთიან იდეაზე გასვლა. ამის საპირისპიროდ, სიმბოლური ინტერაქციის თეორია არ ტოვებს არანაირ საშუალებას დაეინახოთ მაკროსტრუქტურები (მაგ. სახელმწიფო). ერთადერთი, რაც შესაძლებელია, ეს არის იმის დადგენა, რომ საზოგადოება წარმოიშობა სხვადასხვა მნიშვნელობების “ურთიერთშესაბამებისაგან”, რომლებიც საყოველთაოდ გაზიარებულნი იქნენ, და ამით ინსტიტუციონალიზაციის საფუძველი შექმნეს. მაგრამ ამ თეორიაში არ ხდება კონკრეტული დიფერენციაციის პროცესების ახსნა ან მასზე გასვლა.

ეთნოგეოგრაფია

გარფინკელის²⁴ ამოსავალი ნეგატიური პუნქტი, ანუ, ის თუ როგორ უარყოფს ის სხვა თეორიებს, ჰგავს ბლუმერის იდეებს:

გარფინკელი აკრიტიკებდა ორ თეორიულ მიდგომას: როლების თეორიას და ფსიქოლოგიურ დეტერმინიზმს:

1. როლების თეორიის მიხედვით, არსებობს როლების, მოლოდინების და ინსტიტუტების დამოუკიდებელი – ტრანსცენდენტული თუ არა – სოციალური რეალობა, რომელიც განყენებულია ინდივიდუუმისაგან

(იმდენად, რამდენადაც ინდივიდუუმები მოქმედებენ ამ წარმართველი ძალების შესაბამისად, და ამიტომ მათი ქცევა სტრუქტურირებულია, და იმდენად, რამდენადაც მათ სწამთ ამ ძალების, მათი განწყობები და ღირებულებები სტრუქტურირებულია);

2. ნებისმიერი ფსიქოლოგიური დეტერმინიზმის თეორია განიხილავს ინდივიდუუმების მიერ მოქმედების არჩევანს, როგორც ფსიქონალიტიკური ბიოგრაფიიდან, ისტორიიდან და მენტალური ფუნქციებიდან გამომდინარე;

ეს ორი მიდგომა, გარფინკლის აზრით, წარმოადგენს ინდივიდუუმს როგორც “ზედაპირულ სულელს”, რომელიც მეტ-ნაკლებად არარეფლექსიურად უპასუხებს დაფიქსირებულ მოლოდინებს და განსაზღვრულობებს. ამის საპირისპიროდ ეთნომეთოდოლოგიას შემოაქვს უფრო თავისუფალი, პრაქტიკული, იმპროვიზაციის უნარის და მსჯელობის უნარის მქონე ინდივიდუუმის ცნება, რომელიც ალტერნატიული მოქმედებების და “რაციონალიების” დიდი მრავალფეროვნების წინაშე დგას: ეთნომეთოდოლოგიის ამოცანაა გამოიკვლიოს ის არჩეული მოქმედების მიმართულებები, მნიშვნელობა, რომელიც ამ მოქმედებას მიენიჭა, და ის გზები, რომლითაც გაგებები “მიღებულია” და მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურია. ფენომენოლოგიური ტრადიციის მიხედვით, სოციალური რეალობის სტრუქტურა არის არა მოცემული, არამედ მუდმივად კონსტრუირდება, რეკონსტრუირდება და კვლავიწარმოება.

ამ ღონეზე ეთნომეთოდოლოგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარე (კულტურული და ნორმატიული დეტერმინაცია) ასევე შიდა (ფსიქოლოგიური დეტერმინაცია) სტრუქტურაზე ნაწილობრივი უარის თქმა და ურთიერთქმედების პროცესის მაგორად ისეთი გაგების შემოტანა, რომლის მიხედვითაც ქცევის მიმდინარეობის დიდი მრავალფეროვნებაა ხელმისაწვდომი (ამიტომ მისი წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია).

ანოზიის თეორიები

სოციალური სტრუქტურის ცვლილებების აღწერასთან ერთად სოციოლოგიაში ყურადღება მიექცა სოციალური გადახრის (დევიაციის) თემას. სტრუქტურის ცვლილების ძირითად საფუძვლად დასახელდა გადახრა (დევიაცია), რომელსაც დევიანტები ანზორციელებენ. მაგრამ მანამდე დევიაციის თეორია შეიქმნა როგორც სოციალური გადახრის სიხშირის განმარტება. დევიაციის კლასიკური თეორია ეკუთვნის ღურკჰაიმს³⁵ და მერტონს³⁶. ანოზიის თეორიები განმარტავენ დევიაციების სიხშირეს როგორც მაკროსაზოგადოების სტრუქტურის დამახასიათებელ

თვისებას. გარდა ამისა, არსებობს თეორიები, რომლებიც ყველა დევიაციური ქმედებისათვის საერთო საფუძველს აგებს.

ემილ დურკჰაიმი

დურკჰაიმი ამბობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვითმკვლელობის წყარო თვითმკვლელის სულში, ანდა მის უშუალო გარემოცვაში უნდა ვეძებოთ, თვითმკვლელობების სიხშირის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თვისებით. ამ მიზნით ჩამოაყალიბა მან ანომიის თეორია. ანომია სოციალური მდგომარეობაა, როდესაც საზოგადოების ქცევის ნორმები კარგავს ერთმნიშვნელოვანებას და განსაზღვრულობას. ეს პროცესი ძლიერდება საზოგადოების ცვლილების გამძაფრებასთან ერთად. ანომია ფართო აზრით მიმართულია თვითმკვლელობების გაზრდისაკენ, იმდენად, რამდენადაც ცხადი მოქმედების წესების გაქრობა ადამიანის ცხოვრებაში დაძაბულობას, სტრესს იწვევს.

ანომიის ცნების შემდგომ განვითარებაში დურკჰაიმი ამბობს, რომ საზოგადოების ცვლილების სწრაფი, ანდა, უფრო მეტიც, დამანგრეველი მიმდინარეობა აუცილებლად ქმნის სტრესულ სიტუაციას, იწვევს სოციალიზაციის მოუწესრიგებლობას და მთლიანად ნორმების და ღირებულებების მხრე კრიზისს. ეს ანომიის მდგომარეობაა. ამ მდგომარეობაზე საზოგადოების წევრები რეაგირებენ დევიაციური ქცევით.

რობერტ მერტონი

მერტონი იკვლევდა დევიაციური ქმედებების სიხშირეს ამერიკული საზოგადოების იერარქიაში. ყველა დევიანტური ქმედების წესი მოდის ცალკე მდგომი ინდივიდისაგან, ძირითადად ღარიბებისაგან. გამოძინარე იქიდან, რომ ანომია დევიანტის საფუძველია, მერტონმა გამოიმუშავა ანომიის ცნება, რადგან აქვს, როგორც და რატომ არის ანომია ამ ფენაში უფრო ხშირი. მერტონის მიხედვით, ანომია არ არის უბრალოდ ნორმების შესუსტება, არამედ წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიღებულ მიზნებსა და დაშვებულ საშუალებებს შორის. მაგალითად, ამერიკულ საზოგადოებაში მატერიალური წარმატება, სიმდიდრე და კარიერა საყოველთაოდ მიღებული მიზანია. ამ მიზნების მისაღწევი ნებადართული საშუალებებია სწავლა, მუშაობა და ეკონომია. ხშირად ღარიბი ფენის წარმომადგენელს არ შეუძლია მიაღწიოს მიზანს დაშე-

ბული საშუალებებით. ამიტომ ანომია ამ ფენაში უფრო ხშირია. ანომიაზე არის რამდენიმე რეაქცია, რომლებიც ასევე ეწოდება, რომ მიზნები და დაშვებული საშუალებები თითქოს მიღწეულია. ეს ოთხი ანომიის რეაქცია, კონფორმულობასთან ერთად ამ სქემით შეიძლება გადმოიცეს (ანდორკას³⁷ მიხედვით):

| ინდივიდების ქცევის ტიპები | მიზანი | დაშვებული საშუალება |
|---------------------------|--------|---------------------|
| 1. კონფორმულობა | + | + |
| 2. ინოვაცია | + | - |
| 3. რიტუალიზმი | - | + |
| 4. დამალვა | - | - |
| 5. ჯანყი | + - | + - |

პლიუსი ნიშნავს მიღებას, მინუსი მიუღებლობას. პლიუს-მინუსი ნიშნავს, რომ მოჯანყე პიროვნება ვერ იღებს ვერც მიზანს და ვერც საშუალებას, მაგრამ მის შემთხვევაში საკუთარ მიზნებს და საშუალებებს აქვს ადგილი. მერტონისეული ტიპების დახასიათება არ არის ჩვეულებრივი. მაგალითად, ყოველდღიურ მეტყველების ენაზე რომ ვთარგმნოთ, ნოვაცია ნიშნავს კრიმინალს, რიტუალიზმი ნიშნავს საზოგადოების ნორმების ულაპარაკო მიყოლას (ამიტომაც არ გამოიყურება როგორც დევიანტი). დამალვა ნიშნავს სულთ ავადმყოფობას, ნევროზს, ალკოჰოლიზმს, ექსტრემალურ შემთხვევებში — თვითმკვლელობას.

სოციალური კონტროლის და სტრუქტურის უმჯობესი თეორია

პარსონსმა სტრუქტურის³⁸ წყაროდ დაადგინა ღირებულებებზე და ნორმებზე შეთანხმება და ასევე, განსაზღვრა სოციალიზაციის მექანიზმი, ანუ, საერთო ღირებულებების, ნორმების, სოციალური ობიექტების ინტერნალიზაცია, იმის გათვალისწინებით, რომ მოსალოდნელი თანხმობა თვითრეგულაციის მექანიზმია. მაგრამ, ამავე დროს, პარსონსი აცნობიერებდა, რომ ორივეგან, როგორც ინდივიდუალურ აქტორებში, როგორც პიროვნებებში, ასევე, იმ ვითარებებში, რომლებშიც ისინი მოქმედებენ, არსებობს ფაქტორები, რომლებიც მიმართულია წონანსწორების დარღვევაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც გადახრის, ან არაკონფორმულობის (უთანხმობის) ტენდენცია იზრდება, და ამ დროს მოქმედებაში ერთვება განსაკუთრებული მექანიზმი, რომელსაც შეიძლება სოციალური კონტროლის მექანიზმი დაერქვას.

პარსონსის გადაზრის (დევიაციის) მოდელი ვერდნობა იმას, რომ ყველა ინტერაქციულ როლურ ვითარებაში არსებობს ამბივალენტობის (საწინააღმდეგოდ მოქმედების) წყარო, როგორც ინტერაქციაში ჩართულ სხვა მოქმედთან მიმართებაში, ასევე, იმ ღირებულებების და ნორმებთან მიმართებაში, რომელიც არეგულირებს ინტერაქციას. ამ ამოსაჯალზე დაყრდნობით, და იმის გათვალისწინებით, რომ დევიაციას შეუძლია შეასრულოს, როგორც აქტიური, ასევე პასიური როლი, პარსონსმა ააგო იმ მიმართულებების კლასიფიკაცია, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს დევიაციურ ქმედებას. დამატებითი სტრუქტურის სიაში, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს დევიაციის წარმოშობას, არის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა გარკვეული როლების პირობებში, ნორმების განუსაზღვრელობა და როლების კონფლიქტი.

რა თქმა უნდა, აქ დგას სტრუქტურის შენარჩუნების და ხელშეწყობის საკითხი. “ჩვენი ყურადღება დაფიქსირდება დევიაციური ტენდენციების წინასწარ გაგებაზე და შეწინააღმდეგებაზე.. .. და იმ პროცესებზე, რომლებიც ეწინააღმდეგება და აბრუნებს სისტემას ძველი წონასწორობის მდგომარეობაში”. პარსონსი აღწერს იმ სტრატეგიებს, რომლებიც ამ მიმართულებით ეხმარება სისტემას. ნაკლებად ექსტრემალურებს შორის არის დახმარების გაწევა და დევიაციური ქცევისათვის ‘ყველაფრის უფლების’ აკრძალვა, რომელსაც, ამავე დროს უნდა ახლდეს პოზიტიური აზრით გაცემა (ამის პროტოტიპი, პარსონსის აზრით, ფსიქოთერაპიის ინსტიტუციონალიზაციაა). ამ კონკრეტული ინსტიტუციონალური სტრატეგიების უკან იგულისხმება ისეთი მოქმედებები – როგორებიცაა ინსტიტუციონალური პრიორიტეტების დადგენა, პოტენციური კონფლიქტური მოქმედებების დაგეგმვა რომელიც არბილებს კონფლიქტს, კერძოდ, როლების კონფლიქტს. ისეთი რადიკალური მოქმედებების ინსტიტუციონალიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, ახალგაზრდული კულტურა, სხვა საქმეა. განსაკუთრებულ ექსტრემალურ დონეზე შესაძლებელია დევიანტების იზოლაციის (პოსპიტალიზაცია და ციხე) სტრატეგია.

მაგრამ, პარსონსი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ დევიაცია შეიცავს მნიშვნელობების გამო ბრძოლასაც. ზოგჯერ დევიაციური “ლიბერალური” ახალგაზრდობა შეიმუშავებს ღირებულებებს და მსოფლმხედველობას, რომელიც ეწინააღმდეგება მათი მშობლების “ფუნდამენტალიზმს”. ამ შემთხვევაში, როდესაც დევიაცია კოლექტიური ხდება, მაგ. რელიგიური კულტი, ან რადიკალური პოლიტიკური ჯგუფი, შესაძლებელია ეს ბრძოლა გადაიზარდოს ფართო კონფლიქტში და ცვლილებებში. როგორც პარსონსი წერდა: “სტრუქტურირებული დევიაციური მოქმედების ტენდენცია, რომელიც წარმატებით არ კაპირდება სოციალური სისტემის

კონტროლის მექანიზმების მიერ, სოციალური სისტემის სტრუქტურის ცვლილების ერო-ერთი მთავარი წყაროა”.

მარკირების თეორია

ეს თეორია, რომელიც ასევე განიხილავს დევიაციას, და რომლის წარმომადგენლებიც არიან ედვინ ლემერტი³⁹, ირენგ გოფმანი⁴⁰ და პოუარდ ბეკერი⁴¹, ძირითადად, კონტროლის იმ ტრადიციის წინააღმდეგ წარმოიშვა, რომელსაც საფუძველი დაუდო პარსონსმა. მათი არგუმენტებია:

1. პარსონსი, ისევე როგორც უმეტესობა, ვინც მუშაობს დევიაციის თემაზე, განიხილავს დევიაციას უპირატესად ქცევის, დახასიათების, ან, დევიანტურობის პირობების (იმან, რამაც გამოიწვია კონკრეტული დევიანტის წარმოშობა) ცნებების საშუალებით. იმდენად, რამდენადაც დევიაცია სოციალურ ინტერაქციაში არსებობს და იმდენად, რამდენადაც ის ფასდება რაღაც არსებული ღირებულებებით და ნორმატიული მოლოდინებით, ამოსაული არ არის არც დევიანტის ქცევა, და არც სხვების რეაქცია, სოციალური კონტროლის აგენტების ჩათვლით. იმდენად, რამდენადაც მარკირების თეორიის წარმომადგენლები აკეშირებდნენ “დევიანტად” გადაქცევას მარკირებასთან, ძირითადი პუნქტი მდგომარეობს შემდეგში: დევიანტის მარკირება ზდება და ისაზღვრება იმათი ძალაუფლების მიერ, ვისაც სოციალური კონტროლის პოზიციები უჭირავს (ექიმები, მოსამართლეები, კანონ-ადმსრულებლები და ა.შ.). ამიტომ, დევიაციის პრობლემა უფრო ზუსტად განისაზღვრება, როგორც მნიშვნელობების გამო ბრძოლა, და უფრო ზუსტად – ბრძოლა ძალაუფლებისათვის, რომელშიც უფრო მეტი ძალაუფლების მქონე საბოლოოდ აკისრებს სხვებს საკუთარ განსაზღვრებას, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიების მრავალფეროვნება შეიძლება გამოიყენებულ იქნეს დევიანტებად მარკირებულების მიერ, როგორც მნიშვნელობების შეტრიალება ან მათი საშუალებით მანიპულირება.

2. პარსონსის ძირითადი წუხილი იყო დაკეშირებული დევიაციის შედეგებთან დიდი სისტემასთან კეშირში: როგორ ირდევს მასში წონასწორობა, რას მიმართავს ის წონასწორობის აღსადგენად როგორ შეიძლება დევიაცია იყოს სისტემის რადიკალური ცვლილების საფუძველი. ამის საწინააღმდეგოდ, მარკირების თეორიის უმეტესობისათვის ძირითადია თუად მარკირებულები – დევიანტები: როგორ ისაზღვრებიან ისინი, როგორც საკუთარი თავის მხრივ, ასევე სხვების მხრივ; და როგორ აგრძელებენ ამის შემდეგ ცხოვრებას, როგორც დევიანტები.

3. სტრუქტურის შენარჩუნებასთან მიმართებაში, ორი პერსპექტივა გამოიყოფა: როგორც აღინიშნა, პარსონსის ამოსავალი იყო წონასწორობის შენარჩუნება, ასე რომ ძირითადი ყურადღება ექცეოდა “მწკრივში დაბრუნების” ფენომენს. მარკირების თეორია, ამის საწინააღმდეგოდ, ამოდის იმ ტენდენციიდან, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების მქონეები ქმნიან ახალ სტრუქტურებს დევიანტებისათვის ნაკლები ქვე-კლასის სტატუსის “მინიჭებით”, რომლის შენარჩუნებაშიც ძალაუფლების მქონეები დაინტერესებულები არიან. ამ შემთხვევაში, მარკირების თეორია უფრო სტრუქტურის დომინანტური შენარჩუნების თვალსაზრისზე დგას, ვიდრე სტრუქტურის კონსენსუსის (თანხმობის) მიხედვით შენარჩუნების თვალსაზრისზე.

რეალობის სოციალური კონსტრუქცია

ბერგერის და ლუკმანის ამ წიგნის⁶ მიზანია აჩვენოს, თუ როგორ ხდება ერთხელ წარმოქმნილი სოციალური სტრუქტურა დამოუკიდებელი სოციალური რეალობა და სოციალური ცხოვრების განმსაზღვრელი და საფუძველი. ავტორების სურვილი იყო გაეგოთ “სოციალური და ინდივიდუალური ცხოვრების დიალექტიკა. ამ არჩეულ მიმართულებაში ისინი მიუთითებდნენ მრავალფეროვან წყაროებს – მარქსს, პარსონსს, სიმბოლური ურთიერთქმედების თეორიას.

ამ თეორიის ამოსავალი სიმბოლური ურთიერთქმედების თეორიაა: ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდილება პირისპირ ურთიერთქმედებაა, რომელიც ხასიათდება შემდეგნაირად: “ეს არის პირისპირ ყოფნა, რომელშიც სხვა წარმომიდგება, ცხად აწმყოში, რომელიც გაზიარებულია ორივე ჩვენგანის მიერ. მე ვიცი, რომ ასეთივე ცხად აწმყოში წარმოუდგები მე მას. ჩემი და მისი “აქ და ახლა” მუდმივად ეჯახებიან ერთმანეთს იმ დროში, სანამ პირისპირ ყოფნა გრძელდება. როგორც შედეგი, ადგილი აქვს ჩემი და მისი ექსპრესიულობის (გამოხატვის ფორმის, გამოხატვის) მუდმივ მიმოცვლას. მე ვხედავ მის ღიმილს, შემდეგ მისი ღიმილის შეწყვეტას, როგორც რეაქციას ჩემი კოპების შეკვრაზე, შემდეგ კვლავ ღიმილს და ასე შემდეგ. ჩემი ყოველი ექსპრესია მიმართულია მასზე, და პირიქით. ექსპრესიული აქტების ეს მუდმივი ორმხრივობა ერთდროულად არის შესაძლებელია ორივე ჩვენგანისათვის”.

ამით ბერგერი და ლუკმანი წარმოადგენენ იმას, რაც მათი ანალიზის ძირითადი პოსტულატია: ურთიერთქმედებაში რუტინიზაციის და გამარტივების საჭიროებას: “ადამიანების ორგანიზმების შინაგანი არასტაბილურობა წარმოშობს აუცილებლობას, რომ ადამიანი ქმნის სტაბილურ გარემოს მის [თავისი ორგანიზმის] სამართავად”.

ადამიანის საჭიროება ჰაბიტუაციისათვის არის ურთიერთქმედების შინაგანი საჭიროება და მართალია, ის წინ უსწრებს ინსტიტუციონალიზაციას, მაგრამ ხდება ინსტიტუციონალიზაციის საფუძველი. როდესაც საერთო აზრები და ჩამოყალიბებულია, იწყება “ექსტერნალიზაცია”; იმდენად, რამდენადაც ეს აზრები ობიექტური რეალობის სახელით იწყებს მოქმედებას, განსაკუთრებით მათ მიმართებაში მომავალ თაობებზე (სოციალიზაციის გზით). ამდენად, ჰაბიტუაცია ინსტიტუციონალიზირდება როგორც “ასე ხდება, ასეთია საგნების ყოფნის წესი”. ბერგერმა და ლუკმანმა წარმოადგინეს ინსტიტუციონალიზაციის გამრავლება ბევრ სპეციალიზირებულ სფეროში, როგორცაა განსაზღვრული როლების წარმოშობა, მაგრამ ამავე დროს ისინი ამტკიცებდნენ, რომ სხვადასხვა ინსტიტუციური სფეროები “გადაბმულია”: ამის მიზეზი ამავე დროს ფსიქოლოგიურიცაა, და მისი საფუძველი კოგნიტურ შესაბამისობაშია: “მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები შეიძლება დაიყოს, მნიშვნელობები მიემართება იმისაკენ, რათა მინიმალურ თანმიმდევრულობა მაინც ქმნდეთ. როდესაც ინდივიდუმი ფიქრობს საკუთარი გამოცდილების წარმატებულ მომენტებზე, ის ცდილობს მოათავსოს მათი მნიშვნელობები ურთიერთშესაბამის და ურთიერთშეთანხმებულ ბიოგრაფიულ ქსელში”.

ისტორიული დროის განმავლობაში, შერჩეული მნიშვნელობები და ცოდნები, უმეტესად ენობრივი რეპრეზენტაციის ფორმით, გადის “მაობიექტივირებელი დალექვის” პროცესს საზოგადოების წევრების ცნობიერებაში. ანუ, ის მიდის გარეაღრუბის (რეიფიკაციის), გზით, ანუ, “ხდება ადამიანური ფენომენის ისეთი წარმოდგენა, თითქოს ისინი საგნები იყვნენ”. ინსტიტუციური რეალობა გამაგრებულია, ძალიან ფართო აზრით, ლეგიტიმაციებით, რომელიც ხდება ენაში, ისტორიაში, ცოდნაში, მითოლოგიაში, თეოლოგიაში, რომელიც ადგენს ამ რეალობას როგორც ბუნებრივს და სწორს, და აწარმოებს მანქანას, რომელიც მოაგვარებს ურთიერთობას ალტერნატიულ (დევიაციურ) სიმბოლურ სამყაროებთან. სიმბოლური სამყაროს შენარჩუნების სპეციალისტები (რელიგიური ლიდერები, კანონის წარმომადგენლები) წარმოიშობიან როგორც სიმბოლური წესრიგის ლეგიტიმურობის გამამაგრებელი შემდგომი გზა.

დიალექტიკის მეორე მხარეს გადასვლით ბერგერი და ლუკმანი ყურადღებას უთმობენ ობიექტური რეალობის გაერცელებას და გამყარებას სოციალიზაციის გზით პირველადი სოციალიზაცია, როდესაც ბავშვები იღებენ ფუნდამენტურ წესებს, რეალობის აღქმებს, იდენტიფიკაციის გზებს, და მეორადი სოციალიზაცია, როდესაც ხდება სპეციფიკური სწავლა და მოზადება სპეციფიკური დიფერენციალური როლებისათვის. მაგრამ, სოციალიზაციის (რომელიც არასოდეს მთავრდება) გარდა, საჭიროა მაინსტიტუტიციონებელი საშუალება “რეალობის-შემანარ-

ჩუნებელი” რუტინისათვის, რაც ძირითადად მდგომარეობს საუბარში. “შესაძლებელია” შეჭედო ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებას, როგორც საუბრის აპარატიდან გამომდინარე მოქმედებებს, რომელიც მუდმივად ინარჩუნებს, ცვლის, რეკონსტრუირებას უკეთებს სუბიექტურ რეალობას”. შენარჩუნება კრიზისის პერიოდში მოუხმობს სოციალური კონტროლის უფრო შინაგან და ინტენსიურ საშუალებებს, რომელშიც რიტუალს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ბერგერი და ლუკმანი განიხილავენ როგორც იზოლაციის შესაძლებლობას, როდესაც დევიანტს მიაწერენ სპეციალურ ჯგუფს (იდიოტი, ნაბიჭვარი და ა.შ.), ასევე, იმ ვითარებებს, როდესაც ხდება “დევიაციის კოლექტივიზაცია”, ანუ, ტრანსფორმაცია ისეთი მექანიზმების საშუალებით, როგორიცაა რელიგიად გარდაქმნა, და სხვა.

თავი III. თეორიები სოციალური ინსტიტუტების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მთელი სოციოლოგია შეიძლება განვიხილოთ, როგორც თეორიები სოციალური ინსტიტუტების შესახებ, თავად ინსტიტუტების განსაზღვრებაზე დაფიქსირება და მისი დამუშავება როგორც წესი, იშვიათად ხდება. ამის მიზეზი, ალბათ, უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ინსტიტუტი იმდენად ზოგადი ცნებაა, რომ მასში შესაძლებელია ყველაფრის მოაზრება, და შესაბამისად, აბსოლუტიზმში ჩაუარდნა, რომელსაც შედეგად გამოუყენებელი ცნებების შექმნა მოსდევს. ქვემოთ აღწერთ სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრის სამ მაგალითს:

არნოლდ გელენი

აუთარება სოციალური ინსტიტუტის ცნებას “შეების”, “გაადვილებების”, ცნებასთან კავშირში⁴⁵. ძირითადი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილებისათვის, როგორც ადამიანების ჯგუფებმა, ასევე ცალკეულმა ადამიანებმა გარკვეული კულტურით განსაზღვრული ქცევის წესები კანონად უნდა მიიღოს. ამით ცალკეული ადამიანს “უადვილდება” მოთხოვნების დაკმაყოფილების ოპტიმალური ფორმების ყოველდღიური ძიება. ამ მხრივ, სოციალური ინსტიტუტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორგანიზირებული, კულტურით განსაზღვრული გზა ძირითადი სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

უილიამ ზამნერი და ჩარლზ ქულეი

ზამნერი⁴⁴ წეს-ჩვეულებებს ანუ, სოციალურ ადათებს განიხილავდა, როგორც ელემენტარულ სოციალურ ფენომენებს, რაც წარმოადგეს კოლექტიური ქცევის შედეგს როგორც წარსულში, ასევე აწმყოში და მომავალში. ცალკეული ინდივიდუუმი მოქმედებს სოციალური ადათების ზეწოლით, იძულებით და ადარ აცნობიერებს თავის მოქმედებებს. ამ თვალსაზრისის ამოსავალია კოორდინაცია და ძალადობა, მაგრამ ამავე დროს სოციალური ქცევის გაუცნობიერებლობის ასპექტიც.

ამის საწინააღმდეგოდ, ქულეი⁴⁵ უფრო კონკრეტული ადამიანის მხარზე იყო. ინდივიდუუმი აფიფარებს პირველად ჯგუფში საკუთარ სპეციფიკურ ქცევის წესს. პირველად ჯგუფს ფორმულირებული კი არა აქვს საკუთარი ქცევის კანონი, არამედ ჯგუფის წევრს მიუთითებს ჯგუფის მოლოდინებზე. ამ პირველად ჯგუფებში სხვა რადაცისაკენ შემობრუნება სოციალური იძულების ფორმაა, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ სოციალური ადათების და მოთხოვნების საშუალებით.

ეს თვალსაზრისები აგებს ინსტიტუტებს ერთი მხროვ ადათებზე, ხოლო მეორე მხროვ პირველად ჯგუფებზე დაყრდნობით. ზამნიერისთვის ინსტიტუტის და ადათის განსხვავება მხოლოდ ფორმალური კოპერაციის და გაცნობიერების უფრო მაღალ ხარისხშია. ქულეი კი ამბობს, რომ პირველადი ჯგუფები არა მარტო ანდივიდუუში ახდენენ გაელენას, არამედ “სოციალური ინსტიტუტებისთვისაც” მნიშვნელოვანი არიან. ამ უკანასკნელს ის უწოდებს სოციალური კულტურის სპეციალიზირებულ, კარგად ჩამოყალიბებულ და რიგიდულ ნაწილს.

ბრონისლავ მალინოვსკი

მალინოვსკიმ⁴⁶ ინსტიტუტის ცნების კვლევა დააფუძნა პრიმიტიული საზოგადოებების ანთროპოლოგიურ კვლევებს, რომლებსაც თვითონ ატარებდა: კულტურის საფუძველერთიანობა, მიმდინარეობის მნიშვნელოვანი ხარისხი, დამოუკიდებლობა და უნივერსალურობა, მალინოვსკის მიხედვით, ადამიანთა ქცევის ორგანიზირირებული სისტემა, ანუ, ინსტიტუტია. ყოველი ინსტიტუტი კონცენტრირდება რაიმე ფუნდამენტურ საჭიროებაზე და მიჰყავს კონკრეტული ადამიანი როგორც ამ მოთხოვ-

ნიღების დაკმაყოფილებისას კენ ასევე, კოოპერაციული ქცევის კენ (ჯგუფი), ავითარებს, აღწევს გარკვეულ კონსენსუსს და მუშაობს შესაბამისი ტექნიკით.

როდესაც მალინოვსკისეულ ინსტიტუტის გაგებაზე ვლაპარაკობთ, იმ ფენომენების გვერდით, როგორებიცაა ქცევის ფორმა, სოციალური როლი, ჯგუფი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველ ინსტიტუტს შემდეგი ელემენტები ახასიათებს:

1. ძირითადი და მნიშვნელოვანი საჭიროებები საზოგადოებაში კმაყოფილება ინსტიტუტის საშუალებით.
2. როგორც დაკმაყოფილების საშუალება, ინსტიტუტში აღიწერება ქცევის განსაზღვრული წესი.
3. ქცევის ეს წესი ორგანიზირდება სოციალურ როლებში, და ამ როლების მატარებლები გრძნობენ, იციან რომ გარკვეული ქცევა, არის "მოუალეობა", ანდა "თანამდებობა".
4. იმდენად, რამდენადაც ინსტიტუტები მოწოდებულია დააკმაყოფილოს ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები, არსებობს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის გარკვეული კავშირი.
5. მართალია, ინსტიტუტები ინდოიდუუმების და სოციალური ჯგუფების მნიშვნელოვანი საჭიროებებისათვის არსებობს, მაგრამ დიდი ჯგუფისათვის, საზოგადოებისათვის ისინი ასეთივე განმსაზღვრელია.

მერი დუგლასი

ანთროპოლოგმა მერი დუგლასმა თავის ინსტიტუტების თეორიაში მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს ცოდნის საფუძველი და კალექტიური ქმედება. სოლიდარობა და კოოპერაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ინდოიდები იზიარებენ აზროვნების საფუძველებს, მიდგომებს. დუგლასის თეორიული ნაშრომის⁷ მიზანია აჩსნას შემეცნების, კოგნიტურობის როლი სოციალური კავშირების ჩამოყალიბებაში, და ასევე, როგორ არის კოგნიტურობა სოციალურად კონტროლირებადი.

ინსტიტუციური აზროვნება, ისევე როგორც ინდოიდის აზროვნება, დამყარებულია ანალოგიაზე. ინსტიტუტები, რომელთაც აქვს პრეტენზია ძალაუფლებაზე, ბუნების მოდელებზეა დაფუძნებული. ინსტიტუტები აწარმოებს ფილტრებს, რადგან გადაარჩიონ ის, რაც უნდა ახსოვდეთ ინდოიდებს, და რა უნდა დაჟიწყდეთ. კატეგორიზაციის და დამახსოვრების ყველაზე უფრო მარტივი აქტიც კი ინსტიტუციურებულია.

ინსტიტუტი არ აზროვნებს დამოუკიდებლად, არც თავისით არ იქმნება და არც რამე საკუთარი მიზნები აქვს. იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვქმნით

ჩვენს ინსტიტუტებს, ჩვენ ვაქცევთ ერთმანეთის იდეებს საერთო ფორმაში, რადგან დაუშვებელია მათი ლეგიტიმურობა საზოგადოების უმეტეს წევრს.

მერი დუგლასის მიხედვით დამაჯერებელი არ არის ის აზრი, რომ ინსტიტუტები ახორციელებს რუტინულ, დაბალი დონის, ბანალურ აზროვნებას. უფრო სარწმუნოა საპირისპიროს დაჯერება.

მერი დუგლასი, როგორც ანთოპოლოგი, ამტკიცებს, რომ აზრი, რომ პრიმიტიული ადამიანები ალბათ ფიქრობდნენ და აზროვნებდნენ ინსტიტუტების კარნახით, ზოლო ჩვენ, მოდერნული ადამიანები მნიშვნელოვან საკითხებს ინდივიდუალურად ვწყვეტთ, შეცდომაა. მერი დუგლასს მოჰყავს მაგალითები, რომ ჩვენ აზროვნებასაც ინსტიტუტები “აკეთებენ”.

მერი დუგლასი ეყრდნობოდა ლურკაიმს და ფლექს (Ludwik Fleck): “მათთვის ნამდვილი სოლიდარობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდები იზიარებენ აზროვნების კატეგორიებს. ის, რომ ასეთი გაზიარება შესაძლებელია, მიუღებელია ბევრი ფილოსოფოსისათვის. ეს ეწინააღმდეგება რაციონალური ქცევის თეორიის აქსიომებს, რომლის მიხედვითაც ყოველი, ვინც ფიქრობს და აზროვნებს, მიღებულია, როგორც სუვერენული ინდივიდი. მაგრამ რაციონალური არჩევნის თეორია, რომელიც ამ აქსიომატური სტრუქტურებიდანაა განვითარებული, აწყდება გადაულახავ წინააღმდეგობას სოლიდარობის იდეასთან შეხვედრისას.. .. კარგია თუ ცუდი, ინდივიდები რეალურად იზიარებენ ერთმანეთის აზრებს და საკუთარი არჩევანის გარემოსთან პარმონიზაციასაც ახდენენ, და მათ არა აქვთ სხვა გზა, მიიღონ დიდი გადაწყვეტილებები, თუ არა იმ ინსტიტუტებში, რომლებსაც ისინი აშენებენ”.

- ¹ Maciver, R.M., Page Charles H. Society. An Introductory Analysis. London, Macmillan & Co. 1964.
- ² Giddens Antony, Introduction to Sociology. 1991. New York, Norton
- ³ Giddens Antony, The consequences of Modernity. 1990. Cambridge, Polity Press
- ⁴ Kumar, Krishnam, The Rise of Modern Society. 1988. Oxford, Basil Blackwell
- ⁵ Collins, Randall, Theoretical Sociology. 1988. San Diego, Harcourt Brace Jovanovich
- ⁶ Sztompka Piotr, The Sociology of Social Changes. 1994. Oxford & Cambridge, Blackwell.
- ⁷ Foucault, Michel, The Order of Things. 1970, London, travistock
- ⁸ Bourdieu, Pierre. Distinction. 1986. Cambridge, MA. Harvard University Press.
- ⁹ Lyotard, Jaen-francois. The Postmodern Conditions. Minneapolis. University of Minnesota Press.
- ¹⁰ Baudrillard, Jean. Selected Writings. University Chicago Press. 1985.
- ¹¹ Luhmann, Niklas. Social Systems. 1995. Stanford, California.
- ¹² Bell, Daniel. The Coming of Post-Industrial Society. 1974. London, Heinemann
- ¹³ Touraine, Alane. The Post-industrial Society. 1974. London, Wildwood
- ¹⁴ Giddens, Antony. The Consequences of Modernity. 1990. Cambridge, Polity Press.
- ¹⁵ Beck, Ulrich. Risk Society. Towards a New Modernity. 1992. London. Sage Publications.
- ¹⁶ Ritzer, George. Postmodern Social Theory. 1997. New York. McGraw-Hill.
- ¹⁷ Habermas, Jurgen. Theory and Practice. 1973. Boston, Beacon Press
- Habermas, Jurgen. Legitimation Crisis. 1975. Boston, Bacon Press.
- ¹⁸ Habermas, Jurgen. Theory of Communicative Action. 1984. Boston, Beacon Press.
- ¹⁹ Turner, Bryan S. Classical Sociology. 1999. New Dehli. Sage Publications.
- ²⁰ Hennis, W. Max Weber. Essays in Reconstruction. 1988. London. Allen & Unwin.
- ²¹ Spencer, Herbert. On Social Evolution. 1972. Chicago University press
- ²² Smelzer, Neil (editor). Handbook of Sociology. 1988. New Dehli, Sage publications.
- ²³ Morgan, Lewis. On the Origins of Family, Private property and the State 1884.
- ²⁴ Durkheim, Emile. The Division of Labor in the Society. New York. Free Press.
- ²⁵ Tonnies, Ferdinand. Gemeinschaft und Gesellschaft. 1887.
- ²⁶ Ward, Lester. Dynamic Sociology. 1883.
- ²⁷ Lenski, Gerhard E., and Lenski J. Human Societies: An Introduction to Macrosociology. 1976. New York. McGraw Hill.
- ²⁸ Parsons, Talcott. Societies: Evolutionary and Comparative Perspectives. 1966. Englewood Cliffs. Prentice Hall
- The System of Modern Societies. 1971. Englewood Cliffs. Prentice Hall.
- ²⁹ Toynbee, Arnold. Study of History. 12 vol. 1934-1961. Oxford University Press.

-
- ³⁰ Pareto, Vilfredo. *Tractato di Sociologia generale*. 1916.
- ³¹ Sorokin, Pitirim. *Social and Cultural Dynamics*. 1937.
- ³² Weber, Max. *Economy and Society*. 1968. New York. bedminster Press.
- ³³ Blumer, Herbert. *Symblic Interactionism: Prespective and Method*. 1969. Englewood Cliffs. NJ. Prentice-Hall.
- ³⁴ Garfinkel, Erving. *Studies in Ethnomethodology*. 1967. Englewood Cliffs. NJ. Prentice-Hall.
- ³⁵ Durkheim, Emil. *Der Selbmord*. Fr. am Main. Suhrkamp. 1973
- ³⁶ Merton, Robert. *Social Structure and Anomie*. in *Americal Sociological review*. 1959
- ³⁷ Andorka, Rudolf. *Einfurung in die soziologische Gesellschaftanalyse*. Opladen. Leske+Budrich. 2001.
- ³⁸ Parsons, Talkott. *The Structure of Social Action*. 1937. New York. McGraw Hill.
- The Social System*. 1951. Glencoe. IL. Free Press.
- ³⁹ Lemmert, Edwin. *Social Problems and the Sociology of Deviance*. In: *Karl Marx on Sociaty and Social Change*. 1973. Chicago University Press.
- ⁴⁰ Goffman, Erving. *Asylums: Essays on the Social Situation of Mental patients and Other Inmates*. 1961. New York. Doubleday/Anchor.
- ⁴¹ Becker, Howard. *Outsiders*. 1963. New York. Free press.
- ⁴² Berger, Peter and Thomas Luckmann. *The Social Construction of Reality*. 1967. Garden City. NY. Doubleday.
- ⁴³ Gehlen, Arnold. *Urmensch und Spatkultur*.
- ⁴⁴ Sumner. *Folkways*. 1907.
- ⁴⁵ Cooley, C.H. *Social organization*. 1909.
- ⁴⁶ Malinowski. *Culture*. 1931.. In: *Encyclopaedia of the Social Sciences*. 4 bd.
- ⁴⁷ Douglas, Mary. *How Institutions Think?* 1986. Syracuse University Press.

ნ ა წ ი ლ ი II

ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია

თავი I. ინსტიტუტის განსაზღვრება

შესავალი

როგორც ვნახეთ, ინსტიტუტების განსაზღვრებები და მითითებები სოციალურ ინსტიტუტებზე დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. ამიტომ, უფრო მოხერხებული იქნება ინსტიტუტების შესახებ ნააზრვეის რამენაირი სისტემატიზაცია მოახდინოთ, და ამაზე დაყრდნობით შევეცადოთ გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები.

სოციალურ ინსტიტუტში მთავარი ელემენტებია ღირებულებები, რომელიც მიღებულია (ან დადგენილია) საზოგადოების უმრავლესობის მიერ, როგორც გარკვეული მოთხოვნილებების შესრულების ლეგიტიმური მიმართულება, და ქცევის წესები, რომელიც ასევე დადგენილია საზოგადოების მიერ, როგორც კონკრეტული ინსტიტუტის შესაბამისი ღირებულების განხორციელების დაშვებული მისაღწევი საშუალებები.

ბუნებრივია აქ ჩნდება კითხვა: ვის მიერ დაშვებული და ვის მიერ ლეგიტიმირებული? ამ კითხვაზე მე შევეცადები გავცე პასუხი, როდესაც ვისაუბრებთ ინსტიტუტების ტიპოლოგიაზე.

სოციალური ინსტიტუტი მუშაობს როგორც “საზოგადოების” ნაწილი და საფუძველი, მაშინ, როდესაც მისი წევრები მიზნად ისახავენ როგორც ლეგიტიმურ მისაღწევ მიზნებს, ასევე, ლეგიტიმური მიზნების მისაღწევ ლეგიტიმურ საშუალებებს. თუკი რომელიმე ეს ნაწილი არ სრულდება, მაშინ საქმე გვაქვს გადახრასთან, ანუ, დევიანტურ ქცევასთან. თუმცა, რამდენად არის დევიანტური ქცევა ინსტიტუტის დამშლელი და არა პირიქით, შემაკავებელი და გამამყარებელი, საკამათოა.

იგივე შეიძლება ითქვას დევიანტური ქცევის შესახებ, რაც ზემოთ აღვნიშნე ლეგიტიმურ ქცევასთან მიმართებაში; ანუ, ვისი თვალსაზრისით არის ქცევა დევიანტური და ვინ ადგენს დევიანტის დევიანტობას?

სოციალურ ინსტიტუტი და ჯგუფი, ორგანიზაცია, ასოციაცია, რიტუალი

თეორიები ინსტიტუტსა და სხვა სოციალურ დაჯგუფებებს შორის განსხვავების შესახებ სხვადასხვაა. მათ შორის პოლარულებად შეიძლება შემდეგი თვალსაზრისები მიიჩნიოთ:

1. ინსტიტუტი წინასწარ მოცემული სტრუქტურაა, ხოლო კონკრეტული დაჯგუფება, ორგანიზაცია, ასოციაცია – მისი განხორციელება, სტრუქტურის კონკრეტული ფორმა (მალინოესკი, გელენი, დურკაიმი, დუგლასი)¹.
2. ასოციაციაში არსებული წესები და ღირებულებები წარმოადგენენ ინსტიტუტებს, ანუ, ინსტიტუტი არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზაციაში (ანუ, ასოციაციები, ორგანიზაციები, საზოგადოებები ქმნიან თავის თავში ინსტიტუტებს როგორც მოქმედების წესებს/ნორმებს) (მაკეური, პეიჯი)².
3. ინსტიტუტი ეს არის კონკრეტული ჯგუფების და ორგანიზაციების წევრების ქცევებისაგან აბსტრაქცია³ (კონცეპტუალური კონკრეტიზაცია), ან უბრალოდ, ადამიანთა ქცევებისა, ასე რომ, ის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერების კონსტრუქტია (რანდალ კოლინზი, ბერგერი, ლუკმანი)⁴.

სამოყე ამ თვალსაზრისის ფესვები თვითონ სოციალური ინსტიტუტების ბუნებაშია. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ამას ცხადს გახდის: ქვემოთ ვნახავთ, თუ რამდენად შეესაბამება ზემოთ მოყვანილი სამი განსაზღვრება სოციალური ინსტიტუტების კონკრეტულ ფორმებს:

¹ Korte, Hermann und Schafers, Bernard (Hrsg). Einführung in Hauptbegriffe der Soziologie. Leske+budrich. Opladen 1998. ანდა, დურკაიმის პოზიცია: ინსტიტუტები “მოქმედების, ფაქტის და შეგრძნების წესებია, რომლებიც ინდივიდუუმის გარეთა და იძულების ძალაუფლება აქვს და რომლის ძალითაც ისინი ინდუვიდუუმს თავს ეხვევა”.

“თუ ჩვენ ეფიქრობთ რამეზე, როგორც ორგანიზებულ ჯგუფზე, ეს ასოციაციაა, თუ როგორც პროცესზე, ეს ინსტიტუტია” (Maciver R.M., Page Charles H. Society. An introductory Analysis. Macmillan & CO LTD. London. 1964).

³ აქ ურიგო არ იქნება რანდალ კოლინზის ციტატის მოყვანა წიგნიდან “მაკროსოციოლოგიის მიკროსაფუძვლების შესახებ”: “სოციალური ჩვენები, ინსტიტუტები და ორგანიზაციები მხოლოდ ინდივიდების ქცვიდან მიღებული აბსტრაქციებია..... თუ ეს აბსტრაქციები იღებს მუდმივ სახეს, იმიტომ, რომ ინდივიდები, რომლებიც მათ აკეთებენ, იმეორებენ მათ ხშირად მიკრო დონეზე”.

⁴ Wossner, Jakobus. Soziologie. Einführung und Grundlegung. Bohlau Verlag, Köln, Wien. 1986.

სოციალური ინსტიტუტების ფორმები

“ოჯახი”

ადამიანი დაბადებიდანვე ხედება კონკრეტულ ოჯახში ან ოჯახის სუბსტიტუტში. მისთვის არსებობის სხვაგვარი დასაწყისი შეუძლებელია. შესაბამისად, როგორც ემპირიული აღქმის დონეზე, ასევე თეორიულადაც, ადამიანი ხედავს ოჯახს, როგორც რაღაც სტრუქტურას, რომელსაც კონკრეტულად ბევრი ჯგუფი ახორციელებს: მისი ოჯახი, მეგობრის, მეზობლის ოჯახი და სხვა. შემდეგ ის თვითონ, თუკი გადასწყვეტს ოჯახის შექმნას, ირჩევს ოჯახს, როგორც უკვე არსებული ოჯახის სტრუქტურის კონკრეტულ, მისეულ განხორციელებას. ანუ, თუკი სოციალური ინსტიტუტის განმსაზღვრელად ავირჩევთ ასეთი პოზიციის ადამიანს, შევეცდებით მასზე დაყრდნობით შევიქმნათ საერთოდ სოციალური ინსტიტუტებზე წარმოდგენა, მაშინ მივიღებთ, რომ ოჯახი, როგორც ინსტიტუტი წინასწარმოცემული სტრუქტურაა, ხოლო ყველა კონკრეტული ოჯახი, ა, ბ, გ, ამ სტრუქტურის კონკრეტული ფორმებია. ამ მხრივ, ასეთი ტიპის ინსტიტუტი ტრადიციის საფუძველია, შედეგი და თავად ტრადიცია. ტრადიცია ამ შემთხვევაში ისაა, რაც ოჯახის აგენტებს და აქტორებს აძლევს ლეგიტიმური მოთხოვნების და ლეგიტიმური შეფასებების გაკეთების საშუალებას. ოჯახის ასეთი გაგება დამახასიათებელია იმისათვის, ვინც “ირჩევს დაოჯახებას”, ანუ, ვინც არის კონკრეტული ოჯახის შემქმნელი და წამყვანი პირი.

ამავე დროს, ოჯახი, როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზაცია კონკრეტული ოჯახის არამთავარი კონკრეტული წევრის⁵ აზრით, არის ორგანიზაცია, ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც თავის შიგნით აგებს (კონსტრუირებას უწევს) არსებობის წესებს.

ამავე დროს, დამკვირვებლისათვის ოჯახი აბსტრაქტია. დამკვირვებელში იგულისხმება ის, ვინც თავისი მდგომარეობით, პოზიციით, როლით გამოყოფილია ოჯახიდან, მაგრამ მასთან კავშირი აქვს: ვინც, მაგალითად, კანონს წერს ოჯახის შესახებ, ანდა, ვისაც თავისი მსოფლმხედველობის გამო არ მოსწონს ოჯახის არსებული ფენომენი და საკუთარ თავს გამოყოფს მისგან, გვერდზე აყენებს, მეცნიერი, რომელიც ოჯახს იკვლევს და ა.შ.

⁵ ანუ, იმ წევრის აზრით, რომელიც არ ასრულებს ოჯახში მთავარ როლს. ეს შეიძლება იყოს ბუშეი, მოზარდი, ნათესავი, მოსამსახურე და ა.შ.

“სახელმწიფო”

თუკი სოციალური ინსტიტუტის მოდელად ავირჩევთ სახელმწიფოს, ანდა, როგორც მას ხშირად უწოდებენ – ძალაუფლება-პოლიტიკას, მაშინ მივიღებთ, რომ სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, მათთვის, ვინც მასში მთავარ როლს ასრულებს⁶, კონკრეტული დიდი ორგანიზაციაა, რომელიც თავის შიგნით აგებს (კონსტრუირებას უწევს) სხვადასხვა ლეგიტიმურ ინსტიტუტებს – პარლამენტს, არმიას, პოლიციას, ზოგადად ძალაუფლებას, როგორც კონკრეტული სახელმწიფოსათვის შესაბამის კონკრეტულ ინსტიტუტს. ეს ნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტში მთავარი მოქმედი პირებისათვის არ არსებობს ძალაუფლება-პოლიტიკის სოციალური ინსტიტუტი(ები) ზოგადად, ის ყოველთვის არის კონკრეტულ დიდ ორგანიზაციაში, სახელმწიფოში შექმნილი ამ სახელმწიფოს კონკრეტული მოქმედებ(ებ)ისათვის. ანუ, როგორც ამ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების მარგუალირებელი და წარმმართველი ლეგიტიმირებული ნორმატიული და არანორმატიული წესების ერთობლიობა. ამ შემთხვევაში, ინსტიტუტი არის ორგანიზაციის არსებობის წესი, ანუ, ორგანიზაცია, როგორც პროცესი, სოციალური ინსტიტუტია.

ამავე დროს, სახელმწიფო მათთვის, ვინც მასში არ წარმოადგენს ძირითად აქტორს, მაგალითად, ვინც მხოლოდ მიერთებულია მისი ინსტიტუტების მუშაობას, და ეს ინსტიტუტები მასზე მხოლოდ ზემოქმედებენ⁷, წინასწარარსებული, ტრადიციული ფენომენია, რომლის კონკრეტული ფორმებია კონკრეტული ინსტიტუტები და მოქმედებები. ხოლო დამკვირვებლისათვის⁸ სახელმწიფო არის აბსტრაქცია იმ მოქმედებებიდან რომელიც სახელმწიფოში ხორციელდება.

⁶ ანუ, პოლიტიკოსი, მაღალი დონის სახელმწიფო მოხელე, არჩევნების აქტიური მონაწილე და ა.შ.

⁷ ხელფასის, სოციალური დაცვის, სხვა გზით ანუ, როდესაც არ არის მისი მხრიდან არც სურვილი და არც მცდელობა აქტიური როლი შეასრულოს ინსტიტუტის მუშაობაში.

⁸ ტერმინი “დამკვირვებელი” ამ ტექსტში გამოიყენება “ოჯახის” მაგალითში აღწერილი მნიშვნელობით დამკვირვებელში იგულისხმება ის, ვისაც თავისი მსოფლმხედველობის გამო არ მოსწონს სოციალური ინსტიტუტის არსებული ფენომენი, ის, ვინც, მაგალითად, კანონს წერს სოციალური ინსტიტუტის შესახებ, ის, ვინც იკვლევს ამ კონკრეტულ სოციალურ ინსტიტუტს და ა.შ.

“სამოქალაქო საზოგადოება”

თუკი სოციალური ინსტიტუტის მაგალითად ავირჩევთ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებას, ან ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნის ეკლესიას, ან რომელიმე ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკურ სისტემას, უნახავთ, რომ რიგ შემთხვევებში, მართალია მათი ლეგიტიმაცია ხდება ნორმატიულ დონეზე, მაგრამ ეს ნორმატიული აქტები არაფერს არ ამბობს იმ მოქმედების წესზე, ანდა, ღირებულებებზე, რომელთა მიხედვითაც ეს ინსტიტუტები იმართება და მუშაობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ეკლესიის⁹, სამოქალაქო საზოგადოების და ეკონომიკური ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფო იფარგლება ჩარჩოს შემოღებით. დანარჩენი, ანუ, რა სახის ინსტიტუტია ის, როგორ მოქმედებს, რა საკითხებს მიაპყრობს ყურადღებას, ვის მოუწოდებს ჩაერთოს თავის მოქმედებებში და ა.შ. ანუ, კონკრეტული სოციალური ინსტიტუტის კონკრეტული სახე, რობა დგინდება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის მოქმედებებს ეწვეიან მათი წარმომადგენლები, მათი აქტიური, მთავარი წევრები და როგორი სიხშირით რომელ მიზანმიმართულ მოქმედებას იმეორებენ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოციალური ინსტიტუტი იქნება აბსტრაქცია აგენტების¹⁰ მოქმედებებიდან, და მისი კონკრეტული სახე იქნება დამოკიდებული გარკვეული მოქმედებების გამოვლენის, გარკვეული აქტივობის ჩატარების სიხშირეზე. და ეს აბსტრაქცია შეიცვლება მოქმედების სიხშირის შეცვლასთან, ან შენელებსთან ერთად.

ისევე, როგორც წინა ორ შემთხვევაში, ეკონომიკური სისტემა, სამოქალაქო საზოგადოება და ზოგ შემთხვევაში ეკლესია, გვევლინება ორგანიზაციად პასიური მიმდებისათვის¹¹. ხოლო დამკვირვებელისათვის, იმდე-

⁹ ეკლესიასთან მიმართებაში შეიძლება არ დამეთანხმონ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ვითარების ექსპერტები. მაგრამ მათი საწინააღმდეგო არგუმენტი იქნება ის, რომ ის ფორმა, რომლითაც დღეს საქართველოში არსებობს ეკლესია (სახელმწიფო რელიგიად ქცევის სურვილის და რელიგიური ექსტრემისტების დაჯგუფებების ჩათვლით) სწორედ ის ინსტიტუციური ფორმაა, რომელიც იღებს შინაარს და კონკრეტულ მოქმედების სტრუქტურას (ინსტიტუციურ განხორციელებას) მისი წევრების მიერ გარკვეული მოქმედებების ხშირი გამოვლენის აბსტრაქციით.

¹⁰ მთავარი მოქმედი პირების, ეინც ახორციელებს კონკრეტული ინსტიტუტების მუშაობას, აკონტროლებს მას

¹¹ “პასიური მონაწილე” როლის მნიშვნელობაა სოციალური ინსტიტუტის ისეთა წევრი, რომელიც მართალია ინსტიტუტის წევრია, მაგრამ არ ღებულობს მონაწილეობას ინსტიტუტის მართვაში, რაც განსაზღვრულია როგორც წესი, მისი ინსტიტუციონალური სტატუსით და ინსტიტუტის ზემოქმედებების მხოლოდ მიმდებარე გვევლინება. “პასიურობა” არ ნიშნავს, რომ ეს წევრი ფიზიკურად პასიურია. ის შეიძლება პიპერაქტიური იყოს, მაგრამ მაინც რჩებოდეს პასიურ წევრად.

ნად, რამდენადაც არსებობს ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოების და ეკლესიის უამრავი კონკრეტული ფორმა, ასეთი სოციალური ინსტიტუტების ყოველი კონკრეტული ფორმა გარკვეული ზოგადობის, წინასწარმოცემული სტრუქტურის განხორციელებაა.

დასკვნა

როგორც ვხედავთ არსებობს სოციალური ინსტიტუტების სულ მცირე სამი ფორმა. ანუ, სოციალურ ინსტიტუტები შეიძლება სამნაირად განსაზღვრო. ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ განსაზღვრებებში თითოეული მაგალითისთვის სამნაირი განსაზღვრებაა შესაძლებელი, და ყველა ეს განსაზღვრება იწარმოება გარკვეული კუთხიდან—როლიდან. ეს როლი არის სამი: 1. “ცენტრალური” – “აგენტი”; 2. “დამკვირვებელი”; 3. “პასიური მონაწილე” (ე.ი. ვისაც ეჭება ინსტიტუტის მუშაობა, მაგრამ ვისთვისაც ინსტიტუტის ეს მუშაობა ცალმხრივია, ანუ, ვინც მხოლოდ იღებს შედეგებს და გზავნილებს²⁾).

მეორე და მესამე შემთხვევისათვის გასაგებია რა პოზიციით არის მოცემული განსაზღვრებები. ასევე, უკვე განისაზღვრა, რას ნიშნავს ცენტრალური როლი, ანუ, აგენტის პოზიცია:

“ცენტრალური” არის ინსტიტუტის ძირითადი მოქმედი პირების, ანუ, აგენტების პოზიცია. ანუ, ჩვენს შემთხვევებში, ოჯახის აგენტები იქნებიან ოჯახის აქტიური, “მთავარი” წევრები, სახელმწიფოს – პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოხელეები, არჩევნების აქტიურად მონაწილეები. ეკონომიკური სისტემაში, ეკლესიაში და სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაში – აქტიური წევრები, ბიზნესმენები, მორწმუნეები და ა.შ.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრება შესაძლებელია სამნაირად, სამი პოზიციის გამოყენებით (როგორც წინასწარმოცემული სტრუქტურების, როგორც ორგანიზაციის მოქმედების პროცესების და როგორც კონკრეტული მოქმედებებიდან აბსტრაქციების [ცნობიერების კონსტრუქციების]). ანუ, სოციალური ინსტიტუტების მიმართ სამი პოზიცია შეიძლება არსებობდეს: იდეალისტური, რეალისტური და კონცეპტუალისტური³⁾. ამ სამი პოზიციიდან

²⁾ იხ. ამავე წიგნის I ნაწილში ჰაბერმასისეული საზოგადოების აღწერის სქემა.

³⁾ აქ მინდა აუხსნა, რატომ შეეარჩიე ეს სახელები ინსტიტუტების ფორმებისათვის: შუა საუკუნეებში ცნობილმა კამათმა იდეების ბუნების შესახებ სამ ნაწილად დაყო მოკამათები: იდეალისტებად, ვინც ამბობდა, რომ 1) იდეები არსებობს ღმერთში, და ღმერთი მათ მიხედვით ქმნის საგნებს, 2) კონცეპტუალისტებად, ვინც ამბობდა, რომ იდეები საგნებიდან და მოვლენებიდან ჩვენს მიერ კონსტრუირებული აბსტრაქციებია, და 3) რეალისტები, ვინც ამბობდნენ, რომ იდეები არის თავად საგნებში.

ერთ-ერთი მაინც, რომელიმე ინსტიტუციური ფორმის შემთხვევაში არის ცენტრალური¹⁴, ანუ, აგენტის პოზიცია.

ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც აღწერს სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრებებს-არსებობის ფორმებს პოზიცია/როლებთან მიმართებაში. აშკარად ჩანს, რომ სამი პოზიციის შემთხვევაში სოციალური ინსტიტუტები სამივე მიდგომით აღიწერებიან:

| კონკრეტული სოციალური ინსტიტუტი | "ოჯახი" | "სამოქალაქო საზოგადოება", "ეკონომიკური სისტემა", "ეკლესია" | "სახელმწიფო" |
|--------------------------------------|------------------|---|------------------|
| მდგომი აგენტი ¹⁵ | იდეალისტური | კონცეპტუალისტური, | რეალისტური |
| დამკვირვებელი | კონცეპტუალისტური | იდეალისტური | კონცეპტუალისტური |
| პასიური მოძღვრ- მონაწილე | რეალისტური | რეალისტური | იდეალისტური |

მიდგომების/როლების ასეთი დაყოფა რა თქმა უნდა პირობითია. ისინი უმეტესად ერთ ადამიანში შეიძლება გააერთიანოთ. ანუ, ერთი პიროვნება, ერთი სისტემა, შეიძლება იყოს აგენტი ოჯახთან მიმართებაში, დამკვირვებელი ეკლესიასთან მიმართებაში და პასიური მონაწილე სახელმწიფოსთან მიმართებაში.

¹⁴ ამ შემთხვევაში სრულიად გასაგებია ინსტიტუტის სამი სხვადასხვა განსაზღვრების არსებობა. ყოველი შემუშავებული იყო აგენტის პოზიციაში რომელიმე ინსტიტუციონალური ფორმის მიმართ, ზოლო სხვების მიმართ – დამკვირვებლის ან პასიური მონაწილის მდგომარეობაში. ამიტომაც შედეგად მივიღეთ სამი სხვადასხვა განსაზღვრება.

¹⁵ როდესაც აქაც და სხვაგანაც ამ წიგნში "აგენტის" შესახებ ვლაპარაკობ, ეგულისხმობ სოციალურ აგენტს, რომელიც ცენტრალურია ინსტიტუტისათვის, და განსხვავდება სიტუაციური, ანუ, ფსიქოლოგიური აგენტისაგან. ფსიქოლოგიური აგენტი არის მდგომარეობა, როდესაც ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ რაიმე სიტუაციაში, ვითარებაში, კონკრეტულ მომენტში წამყვანი, პირობების მოკარნახე, მთავარი მოქმედი პირი ხდება არა სოციალური აგენტი, არამედ სხვა: სიტუაციური აგენტი შეიძლება იყოს ბავშვი (რომელიც უზურპაციას უწყევს თავის მშობლებს დაძინების დროს), მოსარწმუნო (რომელიც შეაქვს სარწმუნო სახელმწიფო მოხელის, ან სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში ის კი არ არის სოციალური აგენტი, არამედ ადვოკატი), მოქალაქე (რომელსაც წითელი ჯვრის განცხადების თანახმად მიაქვს ძველი ტანსაცმელი მეზაჰე ქვეყნების მაცხოვრებლებისათვის). თუკი დავაკვირდებით აქ აღწერილ სიტუაციურ აგენტების ტიპებს, ენახეთ, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში იღებენ სიკეთებს, სარგებელს და გზუნილებს ინსტიტუტების მუშაობისაგან, და თვითონ მასში არ ასრულებენ ცენტრალურ როლებს.

ცხრილში მოცემული კონკრეტული სოციალური ინსტიტუტების დასახელებების განაწილება არ არის აუცილებელი, და შეიძლება სხვადასხვა კულტურაში საზოგადოებაში, რეგიონში სხვადასხვა იყოს. ზემოთ მოცემული დანაწილება სპეციფიკურია საქართველოსათვის, და ალბათ, ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნისათვის¹⁶.

მაგრამ, გარკვეული ვითარებების გამო, აგენტები ხანდახან იცვლიან პოზიციას, მიდგომას. მაგალითად, ოჯახის აგენტი ხდება კონცეპტუალისტი, ანდა, სახელმწიფოს აგენტი - კონცეპტუალისტი, ან, სამოქალაქო საზოგადოების, ეკლესიის, ეკონომიკური სისტემის აგენტი - რეალისტი¹⁷. ასეთ შემთხვევაში, თუ აგენტების სიმრავლე საკმარისია¹⁸, ხდება ინსტიტუციონალური ცვლილება და ინსტიტუტი იცვლის ტიპს და ფორმას.

მაგრამ, ზემოთ მოყვანილი სოციალური ინსტიტუტების აღწერა გამოსადგეია, როდესაც გაინტერესებს ინსტიტუციონალური ცვლილებები. იმისათვის, რომ არსებულ საზოგადოებაში აღიწეროს ინსტიტუტების არსებული სისტემები, ამისათვის საჭიროა ინსტიტუციური ტიპების ცნების შემოტანა, რომელიც ფორმალურად ემთხვევა ინსტიტუციურ ფორმებს, მაგრამ მოხერხებულია ინსტიტუციური კომპლექსების აღსაწერად.

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდებოდა დაუქმყოფილებლობის გრძნობა ამ თავის სათაურთან დაკავშირებით არსად ამ მსჯელობაში არ გვიხსენებია ჯგუფი, ასოციაცია, რიტუალი. საქმე იმაშია, რომ ისევე, როგორც ორგანიზაცია, ჯგუფიც, ასოციაციაც და რიტუალიც ინსტიტუტის სხვადასხვა განზომილებებია. ანუ, ყველაფერი დამყარებულია ძირითადად მონაწილის პოზიციაზე: ანუ, ჯგუფად, ასოციაციად და რიტუალად “შეფასება” და შემდეგ ამ შეფასების ლეგიტიმაცია, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ ინსტიტუტის აღწერის მხრივ არანაირი სიახლე არ შემოაქვს.

ანუ, შეიძლება ვთქვათ, რომ კონკრეტულად “რიტუალი” ორგანიზაციის არსებობის წესია, რომელიც დამკვირვებლის მიერ ფასდება,

¹⁶ ასეთი მიდგომის მოპირილობა იძლევა საშუალებას გამოიყენოთ ის რადიკალურად განსხვავებული საზოგადოებების შემთხვევაში: დაწყებული ჯერ კიდევ არსებული “პირველყოფილი” საზოგადოებებიდან, სადაც ძალაუფლება/პოლიტიკა სქემაში მოცემული აღწერებიდან ალბათ, “ოჯახის” თუ დაემთხვევა, და დამთარებული Bბეკის “რისკის საზოგადოებით”, სადაც ძალაუფლება-პოლიტიკა შეიძლება აღიწეროს, როგორც ზემოთ მოცემულ სქემაში “სამოქალაქო საზოგადოების” და ეკონომიკური სისტემების” იდენტური.

¹⁷ რაც ამ შემთხვევაში როიალისტიკის ტოლფასია.

¹⁸ ზოგიერთ შემთხვევაში კი, როგორც ვნახეთ, სიმრავლეს არა აქვს მნიშვნელობა.

როგორც “რიტუალი”. ამის არგუმენტი იქნება თუნდაც ის, რომ შესაძლებელია “ინსტიტუციონალიზაცია” ყველაზე უფრო რთული დესკრიფციის შემთხვევაშიც კი აღიწეროს როგორც “რიტუალიზაცია”. მსგავსი დებულებების ფორმულირება შეიძლება ყველა იმ სოციალური ფენომენის მიმართ, რომელსაც ისტორიულად ინსტიტუტს უპირისპირებდნენ.

თავი II. სოციალური ინსტიტუტების ტიპები

შესავალი

ინსტიტუტების ეს საში ფორმა, საში განზომილება, როგორც ვნახეთ, სხვადასხვაგვარად მოქმედებს, იწყებს არსებობას და შესაბამისად, “საზოგადოების”¹⁹ მიმართ სხვადასხვანაირი თვისებები უნდა ჰქონდეს.

ინსტიტუტები, მართალია, ერთის მხრივ ქმნის მისაღწევ მიზნებს (ღირებულებებს) და ადგენს მოქმედების წესებს, მეორე მხრივ, სწორედ ამ დადგენების გამო, ისინი შემაკავებლები და მაკონტროლებლები არიან. თანაც ეს შეკავება და კონტროლი არ არის ერთმნიშვნელოვანი და ყველა ფორმის ინსტიტუტის შემთხვევაში არა აქვს თანაბარი ძალა. შეიძლება ინსტიტუტის ღირებულებები იყოს ძალიან ძლიერი და შემზღვეველი, მაგრამ მოქმედების წესები და სანქციები იმდენად სუსტი, რომ ასეთი ინსტიტუტი წარმოადგენდეს კონტროლის, სტაბილურობის და მოქმედების წესების სიმკაცრის მინიმალურ დონეს. შესაძლებელია, პირიქით, ღირებულებები იყოს ზოგადი და ფართო, მაგრამ ამ სიფართოვის დამცველი ზომები, წესები და სანქციები ძლიერი და გადაულახავი. ამ შემთხვევაში ასეთი ინსტიტუტი წარმოადგენს სტაბილურობის, კონტროლის და მოქმედების წესების სიმკაცრის მაქსიმალურ დონეს. ზემოთ მოყვანილი აღწერებიდან პირველის მაგალითად ჩვენს გარემოში შეიძლება დავასახელოთ ოჯახი, ხოლო მეორის – ძალაუფლება-პოლიტიკა (ზოგიერთი ინტერპრეტაციით – პოსტკაპიტალისტური სახელმწიფო).

¹⁹ მე აქ ვარჩიე “საზოგადოება” ბრჭყალებში ჩამესვა, იმდენად, რამდენადაც სოციალურ მეცნიერებაში და სოციოლოგიაში ის თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად ხდება რეგულატორული ცნება, შესაბამისად მაქსიმალურად ყოვლისშემკველი და ამიტომ, კონკრეტული შინაარსის არმქონე.

როგორც ზემოთ აღწერილი სოციალური ინსტიტუტების ფორმებიდან ენახეთ, არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც, “ცენტრალური” პოზიციის მიხედვით, მთლიანად დამყარებულია არიან აგენტების კონკრეტულ აქტივობაზე. აქ შეზღუდვები არ არსებობს, ქვეყნის ზოგადი კანონმდებლობის გარდა. ამიტომ, ამ ფენაში ხდება ამ შეზღუდვების და წარჩოების თვითდადგენა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფენა შუალედურია შეზღუდვების მაქსიმალურ და მინიმალურ დონებს შორის. ამიტომ, შეიძლება “ბუნებრივი” დაუარქვათ კონტროლის²⁰ ქვედა და ზედა დონების აგენტების მიმართებას გადაქციონ თავისი ინსტიტუტები შუალედურ ინსტიტუტებად. [ამის შესახებ, დაწერილებით იხილე თავში ცვლილებების შესახებ].

ინსტიტუტების ამ სამ ტიპს შეიძლება დაუარქვათ მიკრო, მაკრო და მეზო ინსტიტუტები.

მიკროინსტიტუტები

ინსტიტუტები, რომლებიც კმნის მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის მინიმალურ დონეს (ანუ, რომელთაც არა აქვთ საშუალება ინსტიტუტის კონკრეტულ განხორციელებაში ბევრი ადამიანი გააერთიანონ).

მაკროინსტიტუტები

ინსტიტუტები, რომლებიც კმნის მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის მაქსიმალურ დონეს (ანუ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა ღირებულებებით და წესებით გააერთიანონ “საზოგადოების” წევრების მაქსიმალურ რაოდენობა).

²⁰ აქ კიდევ ერთხელ მინდა აღენიშნო შეზღუდვების ბუნება, რომელიც ტრადიციულ (იდეალისტურ) და სახელმწიფოს (რეალისტურ) დონებს ახასიათებს: იდეალისტურ დონეზე შეზღუდვების მოთხოვნა არის მკაცრი, მაგრამ განხორციელების და კონტროლის მხარე – სუსტი. რეალისტურ დონეზე შეზღუდვა ყველაზე უფრო მცირეა, მაგრამ განხორციელების და კონტროლის მხარე შესაძლებლობის ფარგლებში აბსოლუტურია. ამიტომ, ბუნებრივია, შესაძლებელია არსებობდეს სწრაფეა იდეალისტური დონიდან ნაკლები დაწესებული შეზღუდვების სამყაროში მოქცევისაკენ, ხოლო რეალისტური დონიდან, ნაკლებად მკაცრი რეპრესიის დონეზე მოხედრისაკენ.

მეზონისტიტუტები

ინსტიტუტები, რომლებშიც არსებობს ბალანსი, წონასწორობა შეზღუდვებს და სანქციებს შორის. ანუ, ღირებულებაც (მისი ფორმა) და რეპრესიის ძალაც დამოკიდებულია ამ ინსტიტუტების წევრების შეთანხმებულ მოქმედებაზე. ანუ, პოტენციურად შეზღუდვის მოთხოვნა და რეპრესიის იარაღი თანაბარი ძალისაა. შესაბამისად, ეს ინსტიტუტები წარმოადგენს მოქმედების, კონტროლის და სტაბილურობის შუალედურ დონეს²¹.

დასკვნა

თვითონ სოციალური ინსტიტუტების განაწილება ამ სამ ტიპს შორის ყველა საზოგადოებისათვის და სახელმწიფოსათვის არ არის ერთნაირი. მაგალითად, თუკი განვიხილავთ ადრეულ ტრადიციულ-აგრარულ საზოგადოებას, ენახეთ, რომ მასში განათლების მიღება ხდება ოჯახში, ანუ გადადის მამიდან ვაჟიშვილზე, დედიდან ქალიშვილზე, ამ შემთხვევაში, განათლება იქნება მიკროინსტიტუტი²². თანამედროვე დასავლეთ ვეროპაში, როდესაც უმაღლესი განათლება სახელმწიფო პოლიტიკის საზრუნავია და მისი მოქმედების წესები პოლიტიკურად ისაზღვრება, უმაღლესი განათლება მაკროინსტიტუტია²³. აშშ-ში, სადაც უმაღლესი განათლება ძირითადად ბაზარზეა მიბმული და უმეტესად კერძოა, უმაღლესი განათლება მეზონისტიტუტია²⁴.

საბჭოთა კავშირში თავიდან იყო სურვილი ყველა ინსტიტუტი მაკროდ გადაექციათ (ოჯახის ჩათვლით), ანუ, ყველა ინსტიტუტი მოექციათ რეალისტურ ფორმაში. საბოლოოდ ეს სრულად არ განხორციელდა, მაგრამ ოჯახის საბჭოთა ინსტიტუტი ძლიერ იყო შეჭიდული ძალაუფლება-პოლიტიკასთან²⁵.

²¹ აქ შეიძლება სპეკულაციას მოეცეთ გზა, და ეთქვას, რომ ამ დონეზე შესაძლებელია ვილაპარაკოთ სოციალური თავისუფლების, ანუ, გადაწყვეტილების თავისუფლების შესახებ.

²² აქვს იდეალისტური ფორმა

²³ აქვს რეალისტური ფორმა

²⁴ აქვს კონცეპტუალური ფორმა

²⁵ თუმცა, საკამათოა, რა არის ტოტალიტარული სახელმწიფო ამ კლასიფიკაციის მიხედვით მაკროინსტიტუტი თუ მიკროინსტიტუტი? ამ ერთი შეხედვით პარადოქსული გამონათქვამის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტორები მეტყველებს: 1.

იმისათვის, რომ ამ შეჭიდულობის ბუნებაში გავერკვეთ, უნდა შემოვიტანოთ კიდევ ერთი ცნება.

თავი III. ინსტიტუციური კომპლემენტები

ინსტიტუციური კომპლექსი ის სოციალური შემთხვევაა, როდესაც რამდენიმე ინსტიტუტი შეჭიდულია ან კანონის, ან ტრადიციის (დაუწერლად), ან ორივეს ძალით. ანუ, როდესაც კონკრეტულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში ერთ-ერთი ინსტიტუტის თანაობა (და სეინ) თავისთავად ნიშნავს მეორის თანაობასაც. (მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში: ძალაუფლება/პოლიტიკა - ეკლესია, ძალაუფლება/პოლიტიკა - ეკლესია - ოჯახი, განათლება - ოჯახი).

სხვადასხვა ინსტიტუციური კომპლექსი შეიძლება აღიწეროს ერთი და იგივე ინსტიტუტების სახელებით. მაგრამ სხვადასხვა საზოგადოებაში ეს სახელები, გამომდინარე კომპლექსის ბუნებიდან და თვითონ ინსტიტუტის ფორმიდან, სხვადასხვა რამეს აღნიშნავს. ინსტიტუტებს, რომელთაც ჩვენი გარემოს ისტორიის განმავლობაში არ შეუცვლიათ თავიანთი

ღირებულებები და შესაბამისად აკრძალუები ტოტალიტარულ სახელმწიფოში სტრატეგიციერებულია, იერარქიული, ზუსტად გაწერილი. II. მართალია, რეპრესიული მექანიზმი ერთი შეხედვით ძლიერია, მაგრამ, ის ყოველთვის ზორციელდება დამკვირვებლების და პასუხი მიმღებების მიმართ (რეპრესია ხდება არა აგენტების, არამედ ყოფილი აგენტების მიმართ). III. აგენტებს შეუძლიათ გვერდი აუარონ რეპრესიულ აპარატს თავისი ძალაუფლების გამოყენებით.

თუმცა, მეორე მხრე, უნდა ითქვას, რომ საბოლოოდ, ტოტალიტარული რეჟიმის განვითარება ბოლოს აღწევს მაკრომდგომარეობას, იმდენად, რამდენადაც მისი ღირებულებების და აკრძალეების საზღვრები ფორმალისდება და უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური ხდება. რეპრესიული აპარატი რჩება იგივე ღონეზე. სწორედ “უმეტეს და გაურკვეველ შემთხვევებში” ნეიტრალურობა, ხოლო რადაც შემთხვევებში “ძველი დროის გახსენება” ხდება ტოტალიტარული რეჟიმის, როგორც ინსტიტუტის რდევის საფუძველი - წარმოიშობა ტოტალური ანომია: ერთი და იგივე შემთხვევის ორი და შეიძლება რამდენიმე ინტერპრეტაცია ხდება. წინამდებარე ტექსტის ენაზე რომ ვთქვათ, იზრდება და ბოლოს აბსოლუტური ხდება იმ შემთხვევების/ხლომილებების რიცხვი, რომლის მონაწილეებიც იძულებულნი არიან თანაბრად და ერთდროულად იყენენ რეალისტებიც, კონცეპტუალისტებიც და იდეალისტებიც (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ თავში: “ინსტიტუციონალიზაცია. ადამიანი, როგორც სააგენტო”).

ფორმა, და ჯერჯერობით შეტწილად ასეთად რჩებიან, არის ოჯახი – მიკროინსტიტუტი, და სახელმწიფო (ძალაუფლება/პოლიტიკა) – მაკროინსტიტუტი. ჩვენი გარემოს, ჩვენი ცივილიზაციის სხვა ინსტიტუტები, როგორც ისტორიის განმავლობაში, ასევე მოდერნულობაში და თანამედროეობაში იცვლის როგორც ფორმას, ასევე ტიპსაც. ინსტიტუციონალური კომპლექსის კონკრეტული ტიპის საშუალებით შეიძლება განსაზღვროს სახელმწიფოს და საზოგადოების ტიპი. ასევე, ინსტიტუციონალური კომპლექსის ტიპი განსაზღვრავს ერთის მხრივ, რა ფორმა აქვს მასში შემავალ ინსტიტუტებს, ხოლო მეორე მხრივ, ინსტიტუტის ფორმა განსაზღვრავს ინსტიტუციონალური კომპლექსის ტიპს.

ქვემოთ ჩამოთვლილია ინსტიტუციონალური კომპლექსის რამდენიმე მაგალითი:

ინსტიტუციონალური კომპლექსების მონაცვლეობა, როგორც ისტორია

დავიწყოთ მარტივი მაგალითით. გვაქვს ინსტიტუციონალური კომპლექსი – სახელმწიფო-ეკლესია. ეს არის შემთხვევა, როდესაც ინსტიტუციონალურ კომპლექსში გაერთიანებული არიან სახელმწიფო და ეკლესია. თუმცა, ეს ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს, რომ ასეთი კომპლექსი ნიშნავს დიქტატურას, ან თეოკრატias. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების სახელმწიფოები ძირითადად ასეთი კომპლექსით ხასიათდებოდა, მაგრამ, ასეთივე კომპლექსით ხასიათდებოდა სულ ცოტა ხნის წინათ (და უმეტეს შემთხვევებში ეხლაც) ევროპის განვითარებული სახელმწიფოები. ეს კომპლექსი სრულიად ტოტალიტარულია, როდესაც “სახელმწიფო-ეკლესიას” დაემატება “ეკონომიკა”, “განათლება” და “ოჯახი”. ამ შემთხვევაში, ანუ, როდესაც ინსტიტუციონალური კომპლექსია “სახელმწიფო-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება-ოჯახი” გვაქვს საქმე დიქტატურასთან და თუ “ეკლესია” ფიგურირებს ამ კომპლექსში, მაშინ თეოკრატიულ სახელმწიფოსთან. საბჭოთა კავშირში “ეკლესია” იყო ჩანაცვლებული “პარტია/იდეოლოგიით”. თანაც, ამ შემთხვევაში ყველა ეს ინსტიტუტი, რომელიც გაერთიანებულია ამ კომპლექსში – მაკროთი ისაზღვრება და ინსტიტუტების უმრავლესობა მაკრო ტიპისაა. ასეთ შემთხვევაში უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ სახელმწიფო/საზოგადოების ტიპზე: იმდენად, რამდენადაც მაკროინსტიტუტები ბევრია ამ კომპლექსში, მაკროინსტიტუტების შემკერული ღირებულებები (შეზღუდვები) ვერ იქნება ზოგადი, რადგანაც ისინი ბევრ

კონკრეტულ სფეროს უნდა შეეხონ. ხოლო რეპრესიის და შეზღუდვის იარაღი რჩება ძლიერი. ამიტომ, ასეთი კომპლექსები ერთი მხრით რა თქმა უნდა, მაკროდომინანტური სისტემაა, მაგრამ აღწერის დროს ემსგავსება მიკროსისტემას, იმ განსხვავებით, რომ რეპრესიის იარაღი და საშუალება იმასთან შედარებით, რაც მიკროინსტიტუტის გააჩნია, განუზომლად ძლიერია და ყოვლისმომცველი. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, მაკრო და მიკრო ინსტიტუტების თვისებები გაერთიანებულია. ამიტომ, ასეთ კომპლექსებს მაკრო-მიკრო ინსტიტუტების კომპლექსი შეიძლება დაუარქვათ.

კაცობრიობის ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინსტიტუციონალური კომპლექსების გართულება და დიფერენციაცია:

ანუ, წინამოდერნული პერიოდი შეიძლება დაეახასიათოთ, როგორც “სა ხელმწიფო-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება-ოჯახი” – სადაც “ძალაუფლება/პოლიტიკა-ეკლესია-ეკონომიკა-განათლება” მაკროინსტიტუტებია, ხოლო ოჯახი მიკრო²⁶. ისტორია შეიძლება წარმოვიდგინოთ,

²⁶ თუმცა ეს სქემა, ისევე, როგორც ყველა სქემა არ არის აბსოლუტური: რა თქმა უნდა, წინამოდერნულ პერიოდში იყო მეზონსტიტუტებიც (გილდიები შუა საუკუნეების ფროპაში, ინტელექტუალური და რელიგიურ-ინტელექტუალური ჯგუფები, ვაჭრების ასოციაციები და ა.შ.) მაგრამ, წინა მოდერნული პერიოდის ადრეულ ხანაში ისინი იმდენად სუსტები არიან, რომ ძნელია მათი ცალკე გამოყოფა მიკროინსტიტუტებიდან. თანაც, ისინი უმეტესად არსებობდნენ მაკრო-ინსტიტუტების ნებით და ხელშეწყობით ძლიერი მეზონსტიტუციური ფორმები, თუკი წარმოიშობდნენ, იმდენად, რამდენადაც აგენტებისათვის პოტენციურად ყველაზე მისაღები იყო მაკროფორმა, გადადიოდა მაკროინსტიტუტის ფორმაში. ამის მაგალითია, თუნდაც ქრისტიანობის გავრცელება და ასევე, შუა საუკუნეებში უნივერსიტეტის წარმოშობა: შუა საუკუნეების პირველი უნივერსიტეტი შეიქმნა ბოლონიაში XIII საუკუნეში (იხ. The Rise of Universities. by Charles Homer Haskins. 1923. Ithaca, New York). თუიდან, უნივერსიტეტი სახელითაც (universitas (ლათ.) - ნიშნავს ერთიანობას, გაერთიანებას) და ფორმითაც წარმოადგენდა პროფესორთა, ანუ, ოსტატთა და სტუდენტთა გილდიების გაერთიანებას. გილდიაში ოსტატებს ჰქონდათ დიდი უფლებები, ხოლო შვირდები, როგორც წესი უუფლებობისათვის იყვნენ განწირულნი (სანამ თვითონ გახდებოდნენ ოსტატები). მიუხედავად იმისა, რომ ბოლონიაში ჯერ სტუდენტთა გილდია შეიქმნა, და შემდეგ პროფესორების, ქალაქი პროფესორების გილდიას უჭრა მხარს და უფლებები ძირითადად პროფესორებს ჰქონდათ უნივერსიტეტის, როგორც გილდიების გაერთიანების წარმოშობის დასაწყისი გამოიწვია 1163 წლის პაპის ბრძანებამ, რომლის მიხედვითაც მაღალი წოდების სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ სწავლება. ამ ბრძანებამ გააულო სადემარკაციო ხაზი საეკლესიო სკოლებს და უნივერსიტეტებს

შორის და მისცა დასაბამი უნივერსიტეტების არსებობას. გილდიის გარდა სხვა ინსტიტუციური ფორმა იმ დროს არ არსებობდა, ამიტომ, ახლად შექმნილი უნივერსიტეტი (ბოლონიის) მოექცა გილდიის ინსტიტუციურ ფორმაში. მაგრამ თუ ოსტატები (პროფესორები) აკმაყოფილებდნენ გილდიის მოთხოვნებს და კმაყოფილები იყვნენ გილდიის წევრობით, სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში ყოფნა წარმოადგენდა პრობლემას; მიუხედავად იმისა, რომ მათ ცალკე გილდია ჰქონდათ, ისინი მაინც აღიქმებოდნენ როგორც შვეირდები და ქალაქის მხრიდან არანაირი შეღავათები არ ჰქონდათ (ბინას რენტის ფასი, სხვა სახის მომსახურება):

1. ისინი იყვნენ საშუალო ან მაღალი ფენის ოჯახებიდან გამოსულები, და არ მოსწონდათ საკუთარი თავის შვეირდებისათვის გატოლება.
2. საეკლესიო სკოლები, სადაც ადრე ხდებოდა განათლების მიღება, არ იყვნენ გილდიის ფორმის, ისინი უფრო მაკროინსტიტუტებს წარმოადგენდნენ.
3. სტუდენტები როგორც წესი იყვნენ უცხოელები, და მათი ჯგუფები უპირისპირდებოდნენ ქალაქის მმართველობას, რომელიც მათ უყურებდა როგორც შვეირდებს და შვეირდებივით ექცეოდა (მაგ. დასაწყისში იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტები გაროზგეს). ამიტომ, უკმაყოფილება სტუდენტებს შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, და ბოლოს მიადგინა შეიარაღებულ დაპირისპირებას ქალაქის მოსახლეობას და სტუდენტებს შორის. პროფესორები ქალაქს უჭერდნენ მხარს. ბოლოს და ბოლოს, კონსტანციის საბჭოს საგანგებო გადაწყვეტილებით, სტუდენტებს მიენიჭათ სპეციალური უფლებები, რომელიც მათ ბოლონიაში განსაკუთრებულ პირობებში აყენებდა (პროფესორების არჩევა, გაგდება, ბინებზე, წიგნებზე ფასის დადგენა ქალაქთან შეთანხმებით და ა.შ. ix. Universities in Politics. Case study from the late Middle ages and early Modern period. The John Hopkins Press. Baltimore and London. 1972), ასევე, უნივერსიტეტი გახდა კლერიკალური წრეების განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი. თუმცა, ასეთი კონკრეტული წარმატება პასიური წევრების გააგენტების მიმართულებით მხოლოდ ბოლონიაში აღინიშნება. სხვა ქვეყნებში, მართალია, ამ ფაქტმა იქონია გამოძახილი, მაგრამ ასეთი რადიკალური ფორმა არ მიუღია. მაგრამ ამის შემდეგ ყველა უნივერსიტეტი ამ ფაქტის გათვალისწინებით იქმნებოდა. უნივერსიტეტის ფორმის მეორე რადიკალური გამოვლინება იყო ოქსფორდი, როგორც მილიანად პროფესორების უნივერსიტეტი (ბოლონიას ამის საპირისპიროდ "სტუდენტები ს. უნივერსიტეტს" უწოდებდნენ). თუმცა, ფაქტია, რომ ბოლონიის უნივერსიტეტის სტუდენტების, ანუ, სოციალური სტატუსის მიხედვით პასიური წევრების გამოსკვლვამა გადაწყვეტილი იქნა: როლი შეასრულა: ინსტიტუციონალურ ცვლადებაში.

ეს აღწერილი შემთხვევა მაკროდომინანტობის ტიპური მაგალითია. შემდეგ, თანდათან, მეზონინსტიტუტები იკრებენ ძალას, და უკვე მოდერნულობის დადგომასთან ერთად, ნელ-ნელა მაკროინსტიტუტებთან ერთად იანაბარ მდგომარეობას იკაიებენ. კაპიტალიზმის წარმოშობა, სამოქალაქო აქტიუბის სპეციფიკური საბუ, საზოგადოებრივი აზრის წარმოშობა - ეს ყველა-ფერი არის მეზონ დონის თანდათანობით გააქტიურების ნიშნები.

როგორც მიმართულება მაკროდომინანტური ინსტიტუციონალური კომპლექსებიდან მეზოდომინანტური ინსტიტუციონალური კომპლექსებისაკენ. ანუ, როდესაც “ძალაუფლება/პოლიტიკა” დარჩება ერთადერთ მაკროინსტიტუტად, ხოლო “ოჯახი” ერთადერთ მიკროინსტიტუტად. დანარჩენი ყველა (ეკლესია, განათლება, ეკონომიკა და სხვა) გახდება მეზონინსტიტუტი.

ასევე, შეიძლება განვიხილოთ წინაისტორიული პერიოდი (რა თქმა უნდა პიპოთუტური), რომელიც შეიძლება აღიწეროს, როგორც მიკროინსტიტუტების დომინანტობიდან მოძრაობა მაკროინსტიტუტების დომინანტობისაკენ: “დასაწყისში” განათლება, ოჯახი, ეკონომიკა, შეიძლება ეკლესიის სუბსტიტუტიც, იყვნენ მიკროინსტიტუტები. შემდეგ, განვითარების ტენდენცია წვიდა მიკროინსტიტუტების მაკროებად ქცევისაკენ. რა თქმა უნდა, ისტორიაში იყო გამონაკლისებიც; ანუ, ყველა ინსტიტუტი, არ იყო მხოლოდ მიკრო და მაკრო ტიპების. მაგრამ მეზონინსტიტუტები, ახალი დროის დადგომამდე, ყოველთვის იყო უფრო ცოტა, ვიდრე მაკროინსტიტუტები. მაგალითისათვის საკმარისია გილდეების სოციალური ფაქტის მოხმობაც. თუმცა, საკითხაია, ის უფრო მიკროინსტიტუტის ფორმაზე იყო ორიენტირებული. თუ მეზოზე. ასევე, გა-მეზო-ების ნიშნებია XVII საუკუნიდან ბაზრობების, საგაჭრო გზების, სალონების, და ა.შ. გაჩენა²⁷.

დღეს მსოფლიოში არსებული ტენდენცია შეიძლება აღიწეროს, როგორც განვითარება მეზოდომინანტურობისაკენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები, ეკონომიკური ჯგუფები, ძალაუფლების პოტენციური და აქტუალური მქონეები²⁸ კი – მიისწრაფიან იმისაკენ, რომ გახდნენ მეზონინსტიტუტები, ანუ, მოექცნენ თვითრეგულირებად სამყაროში, განსხვავებით მაკრო და მიკრო სამყაროებიდან. თუმცა, განვითარებად ქვეყნებში ხშირია ამ პროცესის შეტრიალების მცდელობები: მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არსებული მცდელობები რომელიმე ეკლესიას მიანიჭონ განსაკუთრებული უფლებები, ანუ, აქციონ მაკროინსტიტუტად, ანდა, ეკონომიკური სისტემების ძლიერი რეგულაციის სურვილი, რაც არცთუისე ლიბერალურ კანონებში გამოიხატება. ასევე, ამავე ქვეყნების პოლიტიკოსების სურვილი სახელმწიფო ორგანიზაციების მხრიდან აკონტროლონ და რეგლამენტი-

²⁷ იხ. Habermas, Jürgen. *Structural Transformation of the Public Sphere*. Chicago Uni. Press. 1995

²⁸ იხ. ამ წიგნის პირველ ნაწილში ბეკის “რისკის საზოგადოება”. ბეკის მიხედვით, რისკის (თანამედროვე) საზოგადოებაში ძალაუფლება გადადის დიდი ასოციაციების და ფირმების ხელში, რომლებიც კი არ უპირისპირდა არსებულ “ოფიციალურ ხელისუფლებას” არამედ იგნორირებს მას.

რებული გახადონ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა, ანუ, გადააქციონ საკუთარი ორგანიზაციის პროცესად. თუმცა, ეს მოქმედებები ალბათ დროებითია, და თავად აგენტების სურვილს საბოლოოდ წინ ვერაფერი გადაეღობება (ამის შესახებ იხილეთ ინსტიტუციონალური ცვლილებების თავში).

განვითარებული ევროპის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არის მაკროდომინანტური სისტემების რელიქტები შემორჩენილი, მიმდინარეობს ამ სისტემების გარდაქმნა მეზოდომინანტურ სისტემებად. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც სასკოლო ელემენტარულ დონეზე რელიგიური განათლების წილი საკმაო იყო²⁹ თანდათან უარს ამბობენ დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმებში კონკრეტული რელიგიის შეტანაზე და მიმართულება რელიგიების ისტორიაზე აქეთ ადებულ³⁰. ამის გამართლება უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ოჯახი უკვე აღარ არის ტოტალურად მიჯაჭვული ეკლესიაზე; თუ აქამდე სკოლა რელიგიური სწავლებით ემარებოდა ბავშვებს გარკვეულიყვენ იმ რიტუალებში თუ მოქმედებებში რომლებსაც ოჯახში ან ოჯახთან ერთად ასრულებდნენ, არსებული ტენდენციების მიხედვით სკოლა მალე ხელს შეუშლის ბავშვების ოჯახში ურთიერთობას რელიგიური სწავლებით, როგორც ოჯახისათვის უცხო და უჩვეულო ელემენტის კულტივირებით.


როდესაც ინსტიტუციონალურ კომპლექსებზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ინსტიტუტებიც შეიძლება იყოფოდეს “ქვეინსტიტუტებად”. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია უფრო დრმა ანალიზის წარმოება, თუ როგორ გამოდიან ერთი ზეინსტიტუტის ფარგლებიდან ქვე-ინსტიტუტები, და როგორ შედიან სხვა ზეინსტიტუტებში. რაც შეიძლება განაირობებელი იყოს ტიპის შეცვლით (ანუ, მაგ. მაკროს მეზოთი, ან მეზოს მაკროთი, როგორც ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის შემთხვევაშია ზემოთ მოყვანილ მაგალითში. ასევე, მაკროდან ნაწილობრივ გამოსვლის და მეზოში შესვლის მაგალითია არჩევითი შერიფის თანამდებობა აშშ-ში³¹).

²⁹ ანუ, რელიგია იყო [ნაწილობრივ მაინც] მაკროინსტიტუტი და გაერთიანებული იყო ინსტიტუციონალურ კომპლექსში ძალაუფლებასთან და სასკოლო განათლებასთან – შესაბამისად ოჯახთანაც.

³⁰ იხ. ფინეთის დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმა. *Framecurriculum for comprehensive school*. 1999.

³¹ თავისთავად არჩევითობის ფაქტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მეზოდომინანტურობისკენ მიმართულება. თუმცა, ალბათ არა აბსოლუტური, რამდენადაც აქ უნდა გავითვალისწინოთ არჩეულის მიერ მიღებული ძალაუფლების ხარისხი, ძალაუფლების ქარიზმა და ა.შ. — ამიტომ, არჩევითობა ალბათ მაკრო-მეზო ინსტიტუციური კომპლექსის ნაწილად უნდა განვიხილოთ.

ქვემოთ სქემის სახით მოცემულია ინსტიტუციური კომპლექსების განვითარება ისტორიულ პერიოდებთან მიმართებაში:



რა თქმა უნდა, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში არ იყო ასეთი მკვეთრი და გამოყოფილი, არამედ ტალღოვანი და თანდათანობითი. წყვეტილი ხაზი აღნიშნავს გადასვლის პირობით ტალღას.

როგორც აღენიშნეთ, შესაძლებელია გადახრებიც როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გადახრის შემთხვევაშიც კი ძალაუფლება ეწევა მეზონისტიტუტების არსებობის იმიტაციას.

სქემაზე მეზონისტიტუტის გაგრძელება კონუსური ფორმით მიუთითებს, რომ მიმდინარე და მომავალი პროცესი არის მეზონისტიტუციური ფარგლების გაფართოება და მაკრო და მიკრო ინსტიტუტების შემცირება. მაგრამ ეს პროცესი ალბათ საბოლოოდ არასოდეს განხორციელდება (დაწვრილებით, იხ. ბოლო თავი “მაკრო-მეზო და მიკრო-მეზო ინსტიტუციონალური კომპლექსები თანამედროვე სოციალურ სისტემებში”).

ევროპოცენტრიზმის შესაძლო ბრალდების წინააღმდეგ

ასეთი გაწყობის შემოთავაზების შემოხვევაში, პირველი, რაც მოუვა გამოცდილ კრიტიკოსს თავში, არის ამ სქემის ევროპოცენტრულობაში დადანაშაულება, იმდენად, რამდენადაც ეს სქემა იმეორებს დასავლური ცივილიზაციის ისტორიას და ა.შ.

მაგრამ, ასეთი მიდგომა არ არის მართებული, რადგანაც, ჯერ ერთი, ჩემს მიერ შემოთავაზებული ინსტიტუტის ცნება უნივერსალურია³², და ახასიათებს ყველა საზოგადოებას და ცივილიზაციას. ინსტიტუტების მაკრო და მიკრო ტიპებიც უნივერსალური დახასიათებაა. რაც შეეხება მეზონინსტიტუტებს, მათი მონახეაც ყველა საზოგადოებაში შეიძლება, ძლიერი თუ სუსტი ფორმით.

სხვა საქმეა, რამდენადაც ასე დანახული ცვლილება უნივერსალური, და ხომ არ არის მოსალოდნელი რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც განვითარება წავა სხვა მიმართულებით.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბჭოთა კავშირის დროსაც კი, როდესაც ფაქტიურად არ არსებობდა მეზო დონე, ხდებოდა მეზო დონის ინსტიტუტების იმიტაცია. რაც შეეხება მიმართულებას მეზოდომინანტური სისტემებისაკენ, ეს უკვე თავად სისტემების საკითხია, და პრობლემა უღერს შემდეგნაირად: არის თუ არა სისტემა შინაგანად მიმართული თვითრეგულაციისაკენ, თუ უფრო სხვა სისტემით რეგულირებისაკენ?

მაგრამ, ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, რაც განვიხილავთ ინსტიტუციური ცვლილებების საკითხებს.

ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია — ორი განზომილება

იმისათვის რომ აღვწეროთ ინსტიტუციური ცვლილებები, ინსტიტუტების ტიპების და ისტორიაში მათი მონაცვლეობის სქემა არ გა-

³² ანუ, ეს თეორია არ ასახელებს არც ერთ კონკრეტულ ინსტიტუტს, როგორც აუცილებელს, არამედ ყურადღება გადააქვს ინსტიტუტებისადმი მონაწილეობის მიდგომებზე, დამოკიდებულებებზე, და ინსტიტუტებში როლების განაწილებაზე. ამ მხრივ, მნიშვნელობა აქვს მონაწილეობის როლებს და პოზიციებს ინსტიტუტებისადმი. შესაბამისად, შესაძლებელია მოვიხაზოთ საზოგადოება, სადაც ძალაუფლება/პოლიტიკა ისევე ხასიათდება აგენტის, პასიური მონაწილის და დამკვირვებლის მიდგომებით (იდეალისტი, კონცეპტუალისტი, რეალისტი) როგორც ჩვენს ცივილიზაციაში “ოჯახი”, და ა.შ.

მოგვადგება. ეს სქემა სქემად დარჩება, და მიუხედავად იმისა, რომ ის პროდუქტიულია საერთო განვითარების სუერათის დასანახავად, თავად კონკრეტული ცვლილების პროცესზე ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგვცემს.

მაგრამ, ინსტიტუტების ტიპების და ინსტიტუციური კომპლექსების ცნებები სასარგებლოა არსებული ვითარების აღსაწერად: ინსტიტუციური კომპლექსების დადგენა შეიძლება კვლევით (როგორც კანონმდებლობის სოციოლოგიური კუთხით ანალიზით, ასევე ჩადრმავებული და რაოდენობრივი გამოკითხვით). როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოს თუ საზოგადოების გარეგნული, იმიტაციური თუ სიმულაციური სახე, ინსტიტუციური კომპლექსების და ამ კომპლექსებში შემავალი ინსტიტუტების ტიპების დადგენა უეჭველად მიუთითებს, თუ რა ტიპის სოციალურ სისტემასთან გვაქვს საქმე³³.

³³ ინსტიტუციური ცვლილებები შეიძლება გაიზომოს ინსტიტუციონალური კომპლექსების ცვლილებით, როგორც საკანონმდებლო, ასევე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის დონეზე. მაგალითად, თუკი კანონის მიხედვით ტრადიციულ ეკლესიას ჩამოერთმევა პრივილეგიები, ის გახდება მენონინსტიტუტი. მაგრამ შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, რომ ლეგალურად, ანუ, ნორმატიული აქტების მიხედვით ეკლესიას არ ჰქონდეს პრივილეგიები, მაგრამ გარკვეული პირობების გამო ის მაინც მაკროინსტიტუტი იყოს და ძალაუფლება/პოლიტიკასთან ინსტიტუციონალურ კომპლექსს ქმნიდეს. ამის კონკრეტულ მაგალითია საქართველოში დღევანდელი ვითარება მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში მიღებულია მართლმადიდებლური ეკლესიის აღწერა, როგორც საუკუნეების განმავლობაში მაკროფენომენის. რამდენად მისაღებია ეს ფაქტი – მით უმეტეს რომ გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ახალ დრომდე საქართველო დაყოფილი იყო რამდენიმე სახელმწიფოდ, ისტორიული მეცნიერების ამოცანაა. ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა წყობილების დამყარების მერე, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მართლმადიდებლური ეკლესია გახდა მაკროინსტიტუტი. ანუ, ინსტიტუტი, რომელსაც წინასწარ კი არ ჰქონდა მოცემული ქცევის და აკრძალვების წესები, არამედ მის შიგნით ხდებოდა ამ წესების და აკრძალვების კონსტრუირება, საჭიერებისდა მიხედვით ანუ, ის კონტროლდებოდა და იმართებოდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან. ეს ჩარევა საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა მას მერე, რაც ცხადი გახდა, რომ ეკლესიის განადგურება შეუძლებელია, იმდენად რამდენადაც, ჯერ ერთი, საზღვარგარეთ არსებობდა ანალოგიური ეკლესიები, რომლებიც ყოველთვის დარწმუნდნენ ორიენტირებად, და მეორეც, რამდენიმე სასულიერო პირის დახვერტამ დაანახა საბჭოთა მთავრობას, რომ მოსახლეობას ეს მხოლოდ აღიზიანებს და განაწყობს მის საპირისპიროდ. მაგრამ მაკროდ ქცევის პროცესი არ იყო ერთმნიშვნელოვანი: ამავე დროს ერთის მხრივ სახელმწიფო, ხოლო მეორე მხრივ თვითონ ეკლესია შეეცადა, რომ არ დაეკარგა მედიაციურობის ნიშნები,

ანუ, არ დაეკარგა მრეწლის მოზიდვის მომხიბველულობა. ეს იქნა მიღწეული, ერთის მხრივ საქართველოს კულტურის ძირითად მონაპოვრად საეკლესიო ხელწოდების (არქიტექტურა, საგალობლები, საეკლესიო მხატვრობა) გამოცხადება-კულტივირებით, და მეორე მხრივ – ამჟღად საფუძველზე ქართული ნაციონალიზმის ფაქტიური დაშვებით და ნაციონალისტობის “ჩუმი” უფლების მიცემით ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ თითქოს ცხადი იყო, რომ ეკლესიას სახელმწიფო აკონტროლებდა, მეორე მხრივ ეკლესია “საიდუმლო თავშეყრის” ადგილად გადაიქცა, სადაც მორწმუნე-პატრიოტები ერთმანეთს ხედებოდნენ. ბუნებრივია, ეს თავშეყრის ადგილებიც ისევე კონტროლდებოდა (ან ვერ კონტროლდებოდა – ქვემოთ ჩვენ ვნახეთ, რა მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციური ცვლილებებისათვის ასეთ მოქმედებებს სახელწიფოს მხრიდან), როგორც პატრიარქების დანიშვნა და მღვდლად კურთხევა. მაგრამ ეს პროცედურები, თავისი ბუნების მიხედვით არ იყო ცხადი, და საესებით შესაძლებელი იყო ვინმე “გამძვრალიყო”, დასხლტომოდა მათ ასე რომ საბოლოო ჯამში, მაინც გაურკვეველი იყო, ეკლესია მთლიანად კონტროლის ქვეშ იყო, თუ შეიძლებოდა რამდენიმე “პიროვნება-ოაზისის” მონახვა. ასეთვე ვითარება იყო პატრიოტ-მორწმუნეების მიმართაც, რომლებიც ეკლესიაში იკრიბებოდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა ეკლესია მაქსიმალურად ცდილობდა ტოლერანტული ყოფილიყო: საქართველოს მართლმადიდებლობის მთავარ ტაძარში გარკვეული პერიოდულობით სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები ერთად ლოცულობდნენ.

მოკლედ, ამ პირობებში ეკლესიას არ აკლდა არც მრეწლი, არც სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება, და არც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი. მაგრამ, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ლეგიტიმური ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ახალ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებები მიუთითებდნენ ეკლესიისაგან მაქსიმალურ დაშორებისკენ და ყველა კონფესიის თანაბრად გამოცხადებისკენ. თუმცა იმდენად, რამდენადაც ხელისუფლებაში მაინც ძირითადად ყოფილი პარტიული ბოსები და საეკლესიო პატრიტიზმზე აღზრდილი ხალხი იყო, კონსტიტუციაში მაინც ჩაწერეს, რომ “მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში”. ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა მოგვიანებით აღმოჩნდა ის მოსაჭიდი წერტილი, რომლისგანც დაიწყო მოძრაობა რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა, ანუ, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნამ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს მთავრობაში დღით დღე ძლიერდება ყოფილი პარტიული ბოსების პოზიციები, გასაგები უნდა იყოს, რომ ეკლესიისათვის ძველი სახის დაბრუნება მათ უნდა აწყობდეთ, როგორც საზოგადოების კონტროლის გამოცდილი საშუალება (მაგრამ, როგორც შემდეგ, “ინსტიტუციონალიზაციის” თავში ვნახეთ, სწორედ ასეთი კონტროლის საშუალებაა, რაც ერთის მხრივ ამყარებს, მაგრამ მეორე მხრივ შლის ტოტალიტარულ სახელმწიფოს). თანაც ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ლეგიტიმურად საბჭოთა დროს ეკლესია არ იყო სახელმწიფოს ნაწილი. დღეს ბიუჯეტური მეტ-ნაკლები გამჭვირვალობის პირობებში თანდათან შეუძლებელი ხდება ეკლესიის ფარულად დაფინანსება. ამიტომ, ეკლესია სულ უფრო და უფრო აქტიურად მოითხოვს სახელმწიფოებრივი

მაგრამ ეს ყველაფერი ეჭვა სტატიკურ აღწერას, ანუ, არსებული მდგომარეობის დაფიქსირებას და განსაზღვრებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი აღწერა არაფერს არ გვაძლევს ინსტიტუციური ცვლილებების ახსნისათვის; ანუ, ასეთმა აღწერამ შეიძლება გვითხრას, თუ რა მდგომარებაშია საზოგადოებრივი სისტემები, რომ არსებობს ტენდენცია – მეზოდომინანტურობისაკენ თუ მაკროდომინანტურობისაკენ. მაგრამ ვერ გვეტყვის რატომ იცვლება კონკრეტულად ესა თუ ის ინსტიტუტი და რა არის ამის საფუძველი.

იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგიაზე, უნდა მივმართოთ ინსტიტუტების აღწერის სხვა განზომილებას: როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით სოციალური

სტატუსის მინიჭებას. ანუ, ის ცდილობს მოიპოვოს იგივე მაკრო სტატუსი, რომელიც კქონდა საბჭოთა წყობილების დროს. მაგრამ “იმ” სტატუსის მოპოვება დღეს შეუძლებელია, რადგანაც ლეგიტიმაციის გარეშე (ანუ, კონსტიტუციური შესწორების, ოფიციალური დაფინანსების და სხვა) შეუძლებელია იმ ვითარების ნიშნები შეიძინო, ხოლო თავისთავად ლეგიტიმაცია, ანუ, მაკროინსტიტუტად ქცევა გამოირიცხავს საზოგადოებრივი კონტროლის იმ მექანიზმის აღდგენას. ამიტომ, დღეს საქართველოში ეკლესიამ შეიძლება ითქვას, მიაღწია მაკროინსტიტუტის მდგომარეობას: შევიდა შესწორება კონსტიტუციაში, საუბრობდნენ საკონსტიტუციო ხელშეკრულებაზე და ა.შ. პრეზიდენტი მონათლა, სახელმწიფო მოხელეებიც თავს ვალდებულად თელიან შეიღებო მონათლონ და ეკლესიისადმი კუთვნილების აფიშირება მოაწყონ. ასევე, ეკლესიის აშენება იქცა ერთგვარ მოდელად, და ამავე დროს თავის დატყდა, კორუფციაში ჩართული ხალხის მხრიდან. თუმცა, ეკლესია ლეგიტიმაციის დონეზე მაინც არ არის ბოლომდე მაკროინსტიტუტი, მისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება და მის მიერ საკუთარი თავის აღქმა მთლიანად მაკროინსტიტუტს შეეფერება. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს წარმომადგენლები დღეს ცდილობენ ეკლესიას მიაწერონ მედიაციური ფუნქცია: ეს მათ იმ ძველი, საზოგადოების კონტროლის მექანიზმის ასამუშაებლად სჭირდება.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ თუ ეკლესია მედიაციური ფუნქციას ასრულებდა შუა საუკუნეებში სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, მაშინ რატომ იყო მაკროინსტიტუტი? საქმე ისაა, რომ “მედიაცია” არ ნიშნავს “მეზონსტიტუციურ ტიპს”: მედიაცია შესაძლებელია მაკროინსტიტუციონალურ დონეს ეკუთვნოდეს, როგორც ეს იყო ეკლესიის შემთხვევაში შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში. ანდა, პრესის და ტელევიზიის ძირითადი ნაწილი დღეს რუსეთში და საქართველოში (ალბათ სხვა ქვეყნებშიც) – ასრულებენ მაკრო დონის შეკვეთებს და გვევლინებიან მაკროინსტიტუტებად. სხვა საქმეა, რომ ეს მაკრო დონე რამდენიმე, შეიძლება ურთიერთდაპირისპირებული ნაწილებისაგან შედგება. ანუ, “მედიაციურობა” არ ნიშნავს მეზონსტიტუციონალური დონისადმი კუთვნილებას. შეიძლება, პირიქით, საპირისპიროსაც კი აღვნიშნუდეს: ანუ, მედიაციური ფუნქცია შეიძლება საერთოდ არ იყოს მეზო დონის თვისება.

ინსტიტუტების ფორმებზე, აღეწერთ ინსტიტუტების სამნაირი გაგების შესაძლებლობა, როდესაც თითოეული ეს გაგება დამოკიდებულია პიროვნული სისტემის სამ სხვადასხვა ნაწილზე, რომელსაც შეხება აქვთ სოციალურ ინსტიტუტებთან. ანუ: აგენტი - სოციალური ინსტიტუტის "მამოძრავებელი", "აქტიური წევრი", დამკვირვებელი - "დისიდენტი" "კანონშემოქმედი", "მეცნიერი", და პასიური წევრი, მონაწილე, ინსტიტუტის აქტივობის ცალმხრივი მიმდებ, ის ვინც მხოლოდ იღებს სიკეთებს და გზავნილებს - ანუ ის, ვინც ინსტიტუტის ფარგლებში არსებობს, მაგრამ არ არის აქტიური, მასზე არ არის დამოკიდებული ინსტიტუტის კონკრეტული სახე და ინსტიტუტში მიმდინარე კონკრეტული პროცესები.

კონკრეტული ინსტიტუციური ცვლილება დამყარებულია აგენტებზე. ანუ, იმ სუბიექტებზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ, ჩართულნი არიან და წარმართავენ ინსტიტუტების მუშაობას. თუორიულად ინსტიტუციური ცვლილება ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება წავიდეს. მაგრამ სანამ ინსტიტუციური ცვლილებების მიმართულებებზე დავიწყებთ ლაპარაკს, უნდა აღეწერთ ინსტიტუციური ცვლილებების ტიპები; სოციალური ინსტიტუტი ორნაირად შეიძლება შეიცვალოს.

ეს ორი ცვლილებაა 1) დიფერენციაცია და დე-დიფერენციაცია, და 2) რე-ინსტიტუციონალიზაცია.

თავი IV. ინსტიტუციური ცვლილებები

1. დიფერენციაცია და დედიფერენციაცია

შესაძლებელია ერთ სოციალურ ინსტიტუტს გამოეყოფოს ერთი ან რამდენიმე სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეინარჩუნებს როგორც "წინაპარი" ინსტიტუტის ტიპს, ასევე ინსტიტუტის ფორმას.

მაგალითი: XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში სასკოლო განათლების ინსტიტუტიდან გამოიყო დაწყებითი განათლების ინსტიტუტი, რომელსაც უკვე აქვს საკუთარი შერჩევის, მოქმედების წესები და ღირებულებები. ასეთივე ტიპის მაგალითია პოლიციის და არასის დიფერენციაცია.

როდესაც ამ ტიპის ცვლილებაზე ვლაპარაკობს, საქმე გვაქვს დიფერენციაციასთან. თუმცა, შესაძლებელია უკუპროცესიც, ანუ, ინსტიტუტების სინთეზი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ინსტიტუტის ჩამოყალიბების პროცესი, რომელმაც თავის თავში გააერთიანა დისიდენტური, აუნგარდული და სხვა არსებული ინსტიტუტები³⁴. ასეთივე დიფერენციაციის მაგალითია შუა საუკუნეებში ევროპაში “მოქალაქეობის” (ზოგიერთ ინტერპრეტაციაში “ქალაქის”) ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც თავის თავში რამდენიმე არსებულ ინსტიტუტს აერთიანებდა.

ასეთი დიფერენციაცია და რედიფერენციაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც შრომის დანაწილების პროცესი, ასევე გარე იმპულსი, ასევე, აგენტებში წარმოშობილი კონსოლიდაციის სურვილი, როდესაც ისინი (ანუ, ცალ-ცალკე ინსტიტუტები) ვერ უმკლავდებიან პრობლემებს, ანდა როდესაც პრობლემები საერთოა და ა.შ. ამ მიზეზებზე ბევრი შეიძლება დაიწეროს და შესაძლებელია მიზეზების მთელი განსხვავებული სისტემები აიგოს, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისეთივე განსხვავებულები იქნება, როგორც სოციალური ინსტიტუტების განსაზღვრებები, რომლებიც როგორც ენახეთ, განმსაზღვრელის პოზიციაზეა დამოკიდებული და ემთხვევა მას.

ინსტიტუტების ერთ დონეზე დიფერენციაცია/რედიფერენციაციის მიზეზები შესაძლებელია სულაც არ იყოს ამ დონეზე წარმოშობილი საჭიროებები და იყოს მაკრო დონიდან ნაკარნახევი, კანონმდებლობის შეცვლის ან სხვა ნორმატიული აქტის გამოცემის გზით³⁵. ამიტომ, ამ სახის ცვლილებების კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა შესაძლებელია, მაგრამ ყოველ საზოგადოებაში და მიკროსაზოგადოებაში სხვადასხვა შეიძლება იყოს. ასე რომ მათზე დაყრდნობით რაიმე ზოგადი წესის გამოყვანა რაც შესაძლებელია, მაგრამ ხელოვნური იქნება. სხვა საქმეა, როდესაც ლაპარაკია ერთი ინსტიტუციური ფორმიდან მეორე ინსტიტუციურ ფორმაში გადასვლის შესახებ.

³⁴ თუმცა, შემდეგ მოხდა ამ გაერთიანების დანაწევრება და პოლიტიკური მოძრაობების გამოყოფა. თუმცა, დღეს საქართველოში ე.წ. წარუმატებელი, ან ტალღოვანი წარმატების მქონე პარტიები კიდევ რჩება (ნაწილობრივ მაინც) სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში.

³⁵ ასევე, წინა მაგალითზე დაყრდნობით რომ ვთქვათ, ეს გაერთიანება შეიქმნა შესაძლებელი მას შემდეგ, რაც დასავლური ორგანიზაციების კონტაქტის პრიორიტეტი გახდა ზოგადათ “სამოქალაქო საზოგადოება”. ანუ ამ შემთხვევაში მოხდა გარედან მოსული იმპულსის მიხედვით რედიფერენციაცია.

2. რეინსტიტუციონალიზაცია

ინსტიტუციური ცვლილება, როდესაც ერთი ინსტიტუტი იცვლის ფორმას (და ტიპსაც) და გადადის სხვა ინსტიტუციონალურ ფორმაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინსტიტუტის ტიპის განმსაზღვრელი არის არა ის, თუ რამდენ ადამიანს მოიცავს, არამედ ის, თუ კონტროლის, მოქმედების და რეპრესიის რა და რა სიძლიერის წყსებია მასში ლეგიტიმირებული³⁶.

შესაბამისად, რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა, იმდენად, რამდენადაც რაოდენობა ყოველთვის ფარდობითია, და ვერასოდეს ვერ იტყვი, რა რიცხვი რას გამოხატავს. ამიტომაც, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი გვექნება ინსტიტუტების ტიპებზე, (მიკრო, მაკრო, მეზო) გამოიყენებთ არა რაოდენობრივ განსაზღვრებას, არამედ შინაარსობრივს ღირებულებების, შეზღუდვების და ნორმების ტიპების აზრით³⁷.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალურ ინსტიტუტებში მთავარი მოქმედი პირები არიან აგენტები, რომლებიც ზოგიერთი ინსტიტუტის შემთხვევაში აღგენენ ღირებულებებს და შეზღუდვებს, ზოგიერთ შემთხვევაში ასრულებენ და ახორციელებენ არსებულ ნორმებს. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ აგენტებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველა აგენტები არიან, უხდებათ არსებობა არათანაბარ პირობებში. ანუ, მარტოვად რომ ვთქვათ, იქ, სადაც შეზღუდვები და რეპრესიები ნაკლებია, აგენტები მით უკეთესად გრძნობენ თავს და მით უფრო მიისწრაფიან ამ მდგომარეობისაკენ³⁸.

³⁶ ლეგიტიმაცია აქ გამოიყენება ყველაზე ფართო აზრით დადგენის, გაზიარების, თვისთადაც ცხადობის მნიშვნელობით.

³⁷ თუმცა, ისიც ცხადია, რომ თუ სოციალურ ინსტიტუტს ახასიათებს მკაცრი შეზღუდვები და სუსტი რეპრესიის/კონტროლის იარაღი, მაშინ მისი კონკრეტული ფორმა უფრო ნაკლები სუბიექტების და აგენტების მომცველი იქნება, ვიდრე იმ სოციალური ინსტიტუტის კონკრეტული ფორმა, რომელსაც აქვს ნაკლები ღირებულებითი შეზღუდვა და შესაბამისად, რეპრესიის ნაკლები ფაქტიური, ნორმატიული მოთხოვნა.

³⁸ ასე, შუა საუკუნეების შემთხვევაში, მართალია მეზოინსტიტუტები არსებობდა, მაგრამ არსებული სამართლებრივი სიერცის და ძალაუფლების გამო, მაკროინსტიტუტებში უფრო მეტი თვითდადგენის და თვითკონსტრუირების საშუალება იყო, ვიდრე მეზოდ დარჩენაში, ანდა საერთოდ მიკრო დონეზე გადასვლაში. ამ უკანასკნელ დონეებში მხოლოდ აგენტებს გააჩნდათ განუსაზღვრელი ძალაუფლება, სხვა აბლოსუტურად უუფლებო იყო. მაშინ როდესაც მაკრო დონეს შეეძლო ნებისმიერისათვის "შინეჩებინა" აგენტობა - ბრძანებით ამიტომ ამ პერიოდში, გარდა იმისა, რომ მაკრო დონეზე ნაკლები შეზღუდვაა, მაკრო დონე ყველაზე უფრო მეტად უწყობს ხელს თვითდადგენ და თვითგანმსაზღვრელ (რა თქმა უნდა გარკვეულ, მკაცრად დადგენილ ფარგლებში) ინსტიტუტებს.

ზემოთ აღწერილი სოციალური ინსტიტუტების ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეზოდომინანტურ დროში ყველაზე ნაკლები შეზღუდვები და რეპრესიები არსებობს კონცეპტუალისტი აგენტების სამყაროში, ანუ, მეზოინსტიტუტების დონეზე. ნაკლები არა იმ აზრით, რომ ამ დონეზე კანონი არ არსებობს და ყველაფერი დაშვებულია. ნაკლები იმ აზრით, რომ კანონები, ღირებულებები, ტენდენციები და ქცევის მიმართულებები დგინდება თვითონ აგენტებს შორის ურთიერთობით და ფაქტიურად, მათვე შემოქმედებაა. ანუ, ამ ინსტიტუციურ ფორმაში და ინსტიტუციურ ტიპში ღირებულებები და ნორმები დადგენილია აგენტების მოქმედებების გენერალიზაციით, აბსტრაქციით. რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუ საკმარისად ბევრი აგენტი შეიცვლის ქცევას რაიმე მიმართულებით, შეიცვლება არა მარტო ასეთი ქცევის მიღებული წესი, არამედ ღირებულებაც და ნორმაც.

ასეთი რამე წარმოდგენელია დანარჩენი ორი ტიპის და ფორმის შემთხვევაში: წარმოდგენელია რეალისტური ფორმის და მაკრო ტიპის შემთხვევაში, რადგანაც აქ ძალაუფლების ორგანიზაცია საზღვრავს ინსტიტუციონალურ ფორმას, ანუ, ქცევის წესს და რეპრესიას და არა პირიქით. ასევე წარმოდგენელია იდეალისტური ფორმის და მიკრო ტიპის შემთხვევაში, რადგანაც აქ ღირებულება არის ხელშეუხებელი, ზვეით მდგომი, რეალური იდეალური ტიპი.

ამჯერად მიუახლოვდით ინსტიტუციონალური ცვლილების აღწერას: აგენტის შინაგანი სურვილი თვითონ დაადგინოს საკუთარი მოქმედების საზღვრები (ანუ, საკუთარი ინსტიტუტის კონკრეტული გამოხატულების) და წესები უბიძგებს მას შეცვალოს ინსტიტუტის რიგიდული ფორმა უფრო მოქნილისაყენ და გადანიცელოს როგორც აგენტმა მეზო ტიპში, ანუ, კონცეპტუალისტურ ფორმაში. ასეთი გაწყობა ხსნის იმ სურათს, რომელიც სქემაზეა გამოსახული, ანუ, რატომ ხდება მაკროდომინანტური სისტემებიდან მეზოდომინანტურ სისტემებზე გადასვლა³⁹.

მაგრამ, თუ ეს სქემა მუშაობს, მუშაობს ასევე ისიც, რომ არასოდეს არ მოხდება აბსოლუტური მეზოდომინანტური სისტემის მიღწევა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ცვლილებების გამტარებლები აგენტები არიან და ყოველთვის იქნება საკუთარი ღირებულებების, ნორმების და შეზღუდვების დაწესების ექსტრემალური სურვილები, რაც დამწესებელს,

³⁹ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა აგენტი მაინცდამაინც თავისუფლებისმოყვარეობით არის შეპყრობილი. მონობის სურვილიც მეზო დონეზე უფრო ადვილად განხორციელდება, ვიდრე სხვა დონეზე. ისევე, როგორც ყველა სხვა დევიაციური ქცევა.

წარმატების შემთხვევაში, ჩააყენებს (ან დააბრუნებს) მიკრო ან მაკრო ტიპის სოციალურ სისტემაში⁴⁰.

გარდა ამისა, ეს მოძრაობა არ არის ერთმნიშვნელოვანი. დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული პოლიტიკური პირობების გამო მიმდინარეობს უკუპროცესი. ანუ, მეზო (კონცეპტუალისტური) ინსტიტუტების მაკრო-ინსტიტუტებად ქცევა. შესაძლებელია აღწერო მიკროინსტიტუტებად ქცევის შემთხვევებიც. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საბოლოო წარმატებით ეს მცდელობები ჯერჯერობით არსად არ დამთავრებულა. ალბათ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ მიზანმიმართულ პროცესებს თან სდევს მეზოდომინანტური სისტემების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თანდათან ტოტალური და ყველაფრის გამჭოლი ხდება. ასე რომ იქ, სადაც მიმდინარეობს გა-მაკრო-ობის შეგნებული მცდელობები, ყოველთვის არსებობს მეზოდომინანტური პროცესის ხელშემწყობი სააგენტო⁴¹.

ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნებისმიერი “დევინტური” ქცევა საკუთარი კონტროლის დაწესების მცდელობაა. როდესაც ამ მცდელობას დიდი წინამძღვრობა აქვს, მაშინ ის შესაძლებელია უკიდურეს ფორმებში გადაიზარდოს, რევოლუციის ჩათვლით⁴². თუ ეს წინამძღვრობა არ არის ძლიერი, ანუ, თუ ინსტიტუციონალური კომპლექსები მთლიანად არ მსჭვალავს და კრავს სოციალურ სისტემას, შედარებით უმტკივნეულოდ ხდება მეზოდომინანტური პროცესის განხორციელება. ამის ყველაზე კარგი მაგალითია თანამედროვე ოჯახის მიკრო ტიპიდან თანდათან გადაქცევა მეზო ტიპად: პომოსექსუალისტური წყვილების დაკანონება, საქორწინო კონტრაქტი, ეკონომიკური სისტემების მიერ ოჯახის განმსჭვალვა, ინტიმურობის განდევნა

⁴⁰ ანუ, კიდევ უფრო რომ განემარტოთ, შეუძლებელია აღწერო ისეთი სოციალური ვითარება, სადაც ყველა სოციალური ინსტიტუტი მეზოა. ანუ, ამის ჩვენება შეუძლებელია: მეზო დონის მრავალფეროვნება თავის თავში შეიცავს ამ მრავალფეროვნებებს შორის მიკრო-დონის ტრადიციული ინსტიტუტების (მაგალითად, ტრადიციული ოჯახის) არსებობასაც. ეს კი ნიშნავს, რომ იმის აღწერა (დამტკიცება) რომ ყველა ინსტიტუტი გახდა მეზო – შეუძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას მაკრო დონის ინსტიტუტების მიმართაც.

⁴¹ ამ შემთხვევაში იგულისხმება მეზო ფენის აქტიური მხარდამჭერები ბიზნეს-მენების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების და რელიგიური უმცირესობების სახით.

⁴² თუ გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამ დევინტებში დაიჭერს საერთოს და იმ მიმართულებით წავა, რა მიმართულებითაც მას დევინტები გაჰყვებიან.

ოჯახიდან, როგორც სოციალური ინსტიტუტიდან და ა.შ. თანდათან ოჯახს აქცევს მეზო, ანუ, კონცეპტუალისტურ წარმონაქმნად⁴.

ასევე, როგორც უკვე აღვნიშნეთ უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ მეზოდომინანტური პროცესის, იქნება ეს არჩევითობა და დეცენტრალიზაცია, რაც აშკარად მიუთითებს იმას, რომ მაკროინსტიტუტები იღებს კონცეპტუალისტურ ფორმას. ეს პროცესიც, (ანუ, მაკროინსტიტუტების გა-მეზო-ების) ისეთივე უსასრულო უნდა იყოს, როგორც კონკრეტულად ოჯახის შემთხვევაში აღვწერეთ.

ამდენად, “დევიანტური” საქციელი არის ინსტიტუციური ცვლილების საფუძველი. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ “დევიანტური” ქცევა უნდა ახასიათებდეს აგენტს. იმ შემთხვევაში თუ დევიანტური ქცევა ახასიათებს ან პასიურ წევრს, ან დამკვირვებელს, მის მოქმედებას როგორც წესი არ მოქვს შედეგი და ამ შემთხვევაში რეპრესიული აპარატი იწყებს თავის არსენალში არსებული საშუალებების გამოყენებას.

თუმცა, შესაძლებელია პასიური წევრი გადაიქცეს აგენტად, თუკი მათ შეექმნებათ შესაბამისი პირობები. როგორც ეს ენახეთ შუა საუკუნეების ბოლონიის უნივერსიტეტის მაგალითის განხილვისას.

გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოს, რომ ასეთი თვალთახედვით “დევიაცია” არის არა მარტო ინსტიტუციური ცვლილების, არამედ სოციალური ინსტიტუტების არსებობის საფუძველიც: “დევიანტის” ქცევა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ინსტიტუტის გამამყარებელიც კი აღმოჩნდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ინსტიტუტი იცვლის ტიპს და ფორმას, მაგრამ მისი რეალური/ფაქტიური შემადგენლობა, რიტუალები, რეკვიზიტები და სხვა იგივე რჩება. ანუ ასეთი ინსტიტუციური ცვლილება საზოგადოების სიმყარის შემანარჩუნებელია, იმდენად, რამდენადაც ინარჩუნებს როლებს და ადგილებს. ის რომ ამ როლების და ადგილების შინაარსი ასეთ შემთხვევებში თავიდან იწერება, თავად სტაბილურობისათვის არა აქვს მნიშვნელობა. მაგალითისათვის ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი თანამედროვე ოჯახის ინსტიტუტიც გამოდგება.

ინსტიტუციონალური ცვლილებების ამ ინტერპრეტაციაში ის კი არ არის მთავარი, თუ როგორი ტენდენციებია დღეს, არამედ ის, რომ

⁴ ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიაში მხოლოდ მეზო დომინანტურ პროცესებს კქონდათ ადგილი. მაგალითად, შუა საუკუნეებში უნივერსიტეტი გილდიის კონცეპტუალისტური ფორმიდან გამოვიდა და გახდა მაკრო, რეალისტური ფორმის ინსტიტუტი. მართალია, ის დღეს ბრუნდება მეზო ფორმაში, მაგრამ ეს არ აუქმებს შუა საუკუნეების ფაქტს.

ინსტიტუციური ცვლილებების (ანუ, მეზოდომინანტური) მიმართულება ეყრდნობა შესაძლებლობის ფარგლებში ყოველი აგენტის მიერ მაქსიმალური თვითგანსაზღვრის მდგომარეობის მიღწევის სურვილს. მე არ ვიყენებ სიტყვა თავისუფლებას, რადგანაც, შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში 'თავისუფლება' იყოს კონკრეტული თვითგანსაზღვრულობის საწინააღმდეგო.

ინსტიტუციონალიზაცია

ინსტიტუტების ფორმების და ტიპების თვალთახედვით ინსტიტუციონალიზაცია ღირებულებების და რეპრესიული აპარატის ლეგიტიმაციის პროცესია, რომელიც წარიმართება პოტენციური, ან აქტუალური აგენტების მიერ ან კონკრეტული ინსტიტუტუციური ფორმისკენ და ტიპისკენ, ან მომდინარეობს კონკრეტული ინსტიტუციური ფორმიდან და ტიპიდან.

“წარიმართებაკენ, მომდინარეობსდან” ნიშნავს აგენტის მიერ პასიური მიმდებების და დამკვირვებლების ძიებას. რომდესაც ეს საშიროლი (აგენტი, პასიური მიმდები და დამკვირვებელი) შეგროვდება ღირებულებების და აკრძალვების აპარატის გარშემო, ინსტიტუციონალიზაციის პროცესი დამთავრებულია. თუმცა, ეს მხოლოდ პროცესის დასაწყისია. ლეგიტიმაციის პროცესი არის უწყვეტი და ინსტიტუტის კონკრეტული ფორმების არსებობის თანამდევ პროცესია.

აღწერა I — მეზოდომინანტურობის პარამეტრები:

ინსტიტუტად ქცევის, ანუ, ინსტიტუტციონალიზაციის მიზეზად ძირითადად ორი ფაქტორია დასახელებული: 1. რომ ინსტიტუტი ადამიანის ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვისაა შექმნილი (პარსონსი); 2. ინსტიტუტი დაზმარებაა, შეებაა ადამიანებისათვის და ამჟღად დროს, რაც აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არის ცარიელი ფორმა, რომელიც ფაქტიურად თავისუფალია შინაარსისათვის (გელენი). ანუ ამ მდგომის თანახმად, შესაძლებელია, ინსტიტუტი მართლაც იქმნებოდეს სადღაც ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ მას შემდეგ რაც ინსტიტუტი ობიექტივირებულია, სტრუქტურირებულია,

აუტონომიურია, ის უფრო ანთავისუფლებს ადამიანებს მათი პირველადი საჭიროებებიდან და საშუალებას იძლევა მათ უფრო “მაღალი”, სხვა განზომილების მიზნები დაისახონ⁴⁴.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც საქმე ისევეა, როგორც ინსტიტუტების სამნაირი განსაზღვრების შემთხვევაში: ინსტიტუტები არიან ერთსა და იმავე დროს როგორც ბაზისური, ძირითადი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლები, ასევე, ცარიელი ფორმები, რომლებიც უნდა ამოესოს კონკრეტული შინაარსით. ინსტიტუტების ასეთი რაგვარობა დამოკიდებულია პოზიციებზე, რომლებიც ზემოთ აღვწერეთ ანუ, კითხვა უნდა დაისვას არა “რას აკმაყოფილებს ინსტიტუტი?” არამედ, “რომელი როლისთვის რა ფუნქციას ასრულებს ინსტიტუტი?”

ასე დასმული კითხვის პასუხად მივიღებთ, რომ ინსტიტუტები ძირითად, ბაზისურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს პასიური წევრებისათვის. ანუ, იმათთვის, ვინც იღებს ინსტიტუტების მუშაობის შედეგს და გზავნილს და თვითონ არ/ვერ ახდენს მათზე ზემოქმედებას. აგენტებისათვის ინსტიტუტი, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებს საწყის და ბაზისურ⁴⁵ მოთხოვნებს, ამავე დროს ინსტიტუტი მათთვის ცარიელი ფორმაა, რომელსაც ისინი ავსებენ საკუთარი სურვილის და არჩეული მიმართულების მიხედვით⁴⁶. ამ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა პოზიციების აგენტებზე ვლაპარაკობთ, ამ ფორმების სიმკაცრე-სიფიქროვე-სიხისტე იქნება გადამწყვეტი მეზოდომინანტური მიმართულების არჩევაში.

⁴⁴ ამ განსაზღვრების საილუსტრაციოდ შემდეგი მაგალითი გამოდგება: ოფიციალური სადილის მიზანი არ არის ჭამის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. და არც შიმშილის ჩაქრობა. ის არის, ფაქტიურად, ცარიელი ფორმა, რომელიც შეიძლება ათსოს სხვა მიზნებით და მოტივებით, როგორცაა ურთიერთობა, ფლირტი, პოლიტიკური კომპომილების გამყარება, მაფიოზური ჯგუფის შექერა და ა.შ. (იხ. Ziderveld, Anton C. *The Institutional Imperative. The Interface of Institutions and Networks*. 2000. Amsterdam University Press. p. 33-42).

⁴⁵ “ბაზისური” მოთხოვნილების ცნება საკმაოდ ფართოა, და დღეისდღეობით, შეიცავს ისეთ მომენტებს, რომელიც წინა საუკუნის დასაწყისში არ ითვლებოდა ასეთად. ბაზისური მოთხოვნებია სოციალური დაცვა, სამუშაო, ჯანდაცვა, უსაფრთხოება, ასევე, კომუნიკაცია და ა.შ.

ანუ, ოჯახის აგენტისათვის “ოჯახის” ინსტიტუტი არის ცარიელი ფორმა, რომელიც მან უნდა შეესოს საკუთარი შინაარსით მაგრამ, აქ დგება ამ ფორმის სიფიქროვის საკითხი, ანუ, რამდენად ფართოა ესა თუ ის ინსტიტუტი იმისათვის, რომ აგენტი არ შეიზღუდოს თავის მოლოდინებში. “ოჯახის” (უკვე კონკრეტულის) პასიური წევრისათვის ოჯახი ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმაა. ასევე, დამკვირვებლისთვისაც, თუ ის ოჯახში ცხოვრობს, ოჯახი ასეთად გვეჩვენება.

ასე რომ, შესაძლებელია, რომ ინსტიტუტი შეიქმნა როგორც ძირითადი და ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება. თუმცა, აქ შესაქმნელიც არაფერი იყო, იმდენად, რამდენადაც თუკი მაგალითად, შეუადარებთ ადამიანს და მაღალგანვითარებულ ცხოველს, რომელიც ჯგუფურად ცხოვრობს, მათი ბაზისური ინსტიტუტები ერთი და იგივე იქნება, მმართველობის ფორმის ჩათვლით. ეს შედარება ძალიან შორს წაგვიყვანს, და აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამ დონეზე მიკრო და მაკრო გადახლართულია ერთმანეთში და ემთხვევა ერთმანეთს: დიდი ოჯახის თაკაკი და ჯგუფის უფროსი ერთი და იგივეა⁴⁷. ამ შემთხვევაში მისი ფარგლები იქნებოდა ძალიან ვიწრო, მაგრამ შემდეგ იწყება დიფერენციაციის და რე-ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ანუ, ინსტიტუტის ფარგლების გაფართოება და მაქსიმალური დაცარიელება. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტიური ინსტიტუციონალიზაცია იწყება რეინსტიტუციონალიზაციასთან ერთად, ანუ, როდესაც ჩნდება არაძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი.

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ცხადი ხდება ინსტიტუციური ცვლილების საფუძველი: ვიწრო ფარგლები და შეესებულებული სფერო, რომელიც აქვს პირველად ინსტიტუტებს, არ აკმაყოფილებს აგენტებს, და ისინი ცდილობენ გააფართონ ინსტიტუტის ფარგლები, ისე, რომ არ შეაუსონ ისინი. ამით შეიძლება აიხსნას ინსტიტუციური განვითარების ორიენტაცია ჯერ მაკროდომინანტურ, და შემდეგ, როდესაც მაკროდომინანტურმა მიმართულებამ ამოწურა თავისი თავი – მეზოდომინანტურზე გადასვლა.

მაკროდომინანტურმა მიმართულებამ ამოწურა თავისი თავი მოდერნისტულ დროში, როდესაც უკვე შეუძლებელი გახდა სახელმწიფოს ორგანიზაციული ფარგლების გაფართოება. ეს ცხადი გახდა, როდესაც ასეთი გაფართოების პრაქტიკული განხორციელება – რუსეთის რეოლუცია – იყო წინამოდერნულ, და ლამის წინაისტორიულ პერიოდში დაბრუნება. ასეთივე გაფართოების პრაქტიკული განხორციელება იყო ფაშისტური რეჟიმები, რომლებიც ასევე, წინაისტორიულ დიქტატურებად გადაკეთდა.

ასე რომ, რუსეთის რეოლუციას და ფაშისტების პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ მაკროდომინანტურობის პიკი და დასასრული. რატომ არის ეს პიკი და თავის ამოწურვა, შეიძლება ასე ავხსნათ

⁴⁷ თუმცა, ერთმნიშვნელოვნად არც იმის თქმა არ შეიძლება, რომ მაღალგანვითარებული ცხოველის სოციალურ ექსტრემალურად ტოტალიტარულია (იხ. ფარლი მოუტი "ნუ იყვირებ: მგელი, მგელი!" თბილისი. 1985. Farley Mowat "Don't Cry: the Wolf!").

თავისთავად აგენტის (ამ პოტენციური აგენტის) მაკროდომინანტურობაზე მიმართება მეტი თვითგანსაზღვრულობის გარანტიად გვევლინება, იმდენად, რამდენადაც მაკრო დონეზე საზღვრები გარკვეულია და მკაცრი: არსებობს გარკვეული აუცილებელი მოთხოვნები, რომელიც აგენტმა უნდა შეასრულოს, ხოლო ის "რაც არ არის აკრძალული, დაშვებულია". ამიტომ, აგენტი, ბუნებრივია, ეცდება დააღწიოს თავი მიკრო დონის მკაცრ, გაურკვეველ და მთლიანად აძოვსებულ ინსტიტუტებს და ისეთ დონეებზე გადაინაცვლოს, რომლებიც უფრო მეტი თვითგანსაზღვრული მოქმედებების საშუალებას მისცემენ. წინამოდერნულ ისტორიაში ამ მხრივ შეიძლება ორიმხრივი მიმართულება დავინახოთ:

1. მაკროდომინანტურობისაკენ, რომელიც უშუალოდ მოსდევს მიკროდომინანტურობას, და ამ მხრივ, არის სამართალის და იურიდიურობის წარმოშობის საფუძველი - ანუ, მიმართულება მაკრო საზღვრების მკაცრი და ნათელი ფორმულირებისაკენ, რაც აგენტს საშუალებას აძლევს ზუსტად იცოდეს არსებული შეზღუდვები და ფარგლები.
2. მეზოდომინანტურობისაკენ, რომელიც ახალ დრომდე შედარებით სუსტია, მაგრამ მაინც რჩება მიკროდომინანტურობისაკენ თავის დაღწევის ერთ-ერთ გზად: ამდროინდელი მეზომიმართულება, მართალია, თვითდადგენილ ფარგლებში მოქმედებს (მაგ. გილდიები), მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო სამართალი, მაკრო დონე აქტიურად ერევა მის საქმიანობაში, რაც ბუნებრივია შეზღუდავს მის თვითგანსაზღვრულობას.

იმის გამო, რომ მეზო დონე სუსტადაა განვითარებული, და ძირითადი ყურადღება მაკრო დონეზე და მაკროდომინანტურ პროცესებზეა გადატანილი, წარმოიშობა მცდელობები მაკრო დონის ფარგლები მაქსიმალურად გაფართოვდეს, ანუ მაკრო დონე გახდეს თვითგანსაზღვრული მოქმედებების სფერო. ამის შედეგი არის საფრანგეთის რევოლუცია, რომლის ისტორიაც კარგად აჩვენებს, თუ როგორ სივით-საზღვრადნენ მოვლენებს და შემდეგ სხვების მიერ თვითსაზღვრებოდნენ რევოლუციის დიქტატორები (აგენტები).

მაგრამ ეს იყო მაკროდომინანტობის პირველი კრახი⁴⁸. ამის შემდეგ ცოტათი უფრო გაძლიერდა მეზოდომინანტობაზე ორიენტირება,

⁴⁸ მაგრამ მეორე მხრივ, დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც თანამედროვე, ასევე რომის პერიოდის, არის მაკროდომინანტური მიმართულების (ანუ, მოქმედების საზღვრების მაქსიმალური ლეგიტიმური გაფართოების) შედეგი. მართალია, შემდეგ ამ გზას ჩიხამდე დიქტატურის და ტოტალიტარიზმის შექმნამდე მიეყვართ, მაგრამ ეს სხვაზე არაფერზე მიუთითებს, გარდა იმისა, რომ შესაძლებელია ისტორიის ციკლურობის/წრულობის დაძლევა და გადალახვა.

სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების, თვისუფალი ბაზარის, საბოლოოდ კაპიტალიზმის გაჩენით, მაგრამ, როგორც თეორიულ, პიროვნულ და ასევე გლობალურ-პოლიტიკურ დონეზე, მაკროდომინანტობა (ანუ, უფრო ცხადად რომ ვთქვათ, ბედნიერი და არა რუპრესიული სახელმწიფო წყობის მიღწევა) ჯერ კიდევ აღიქმებოდა, როგორც შესაძლებელი მომავალი.

მაკრო დონის ფარგლების გაფართოება, რომელის გამოც ბოლშევიკები და ფაშისტები ხელისუფლებაში მოვიდნენ (ორივე შემთხვევაში მმართველების მხრიდან იყო “ხალხის არჩენისადმი” ანუ, სიტუაციური აგენტებისადმი დამორჩილება: განსაკუთრებით ბოლშევიკების შემთხვევაში, როდესაც დროებითმა მთავრობამ ფაქტიურად წინამდებეობა არ გაუწია მოჯანყებს. ასევე, ფაშისტების შემთხვევაში, როდესაც პიტლერი გაათავისუფლეს (ციხიდან). ამ მაკროდომინანტობის აბსოლუტური განხორციელების ეს ბოლო მცდელობებიც კრაზით დამთავრდა. ანუ, შედეგად მივიღეთ აბსოლუტური თვითგანმსახდერელი სამყარო, სადაც ძალიან ცოტა იყო აგენტი, და ძირითადი საზოგადოება – პასიური მიმდები და დამკვირვებელი⁴⁹. ანუ, ფაქტიურად, ეს იყო ნაბიჯი მიკროდომინანტურობისაკენ და მიკროაბსოლუტიზმისაკენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მაკროდომინანტურობის დამღუპველობა და უშედეგობა გამოვლინდა, აშკარაა მეზოდომინანტურობა, არა მარტო ემპირიულ სურვილების/მოლოდინების, არამედ თეორიულ დონეზეც. ასევე აშკარაა მეზოდომინანტურობის ხელშეწყობა გლობალური პოლიტიკა-ძალაუფლების მხრიდან.

რა თქმა უნდა, მეზოდომინანტურობასაც აქვს საფრთხეები. მაგრამ, ამჟვე დროს არსებობს ამ საფრთხეების დარეგულირების საშუალება: ის კანონები, რომელიც მაკრო დონეზეა დადგენილი, და რომლებიც უსაზღვრავენ მეზო დონეს მოქმედების ზოგად ჩარჩოებს. დემოკრატიული (პოსტ-კაპიტალისტური) სახელმწიფოს ერთადერთი მიზანი, როგორც ჩანს, არის ამ ჩარჩოებისთვის მაქსიმალური სიცხადის მიცემა და რუპრესიის ისეთი იარაღის შემუშავება, რომელზეც შეუძლებელი იქნება დამრღვევის მიერ წინამდებეობის გაწევა. ამ შემთხვევაში შეუცვლელი იარაღებია სასამართლო და მედია⁵⁰.

⁴⁹ თუმცა, რიგ შემთხვევებში ხდებოდა სპონტანური, სიტუაციური აგენტების წარმოშობა და გაქრობა (სახალხო დასჯის, სასამართლოში წათრევის ინსპირატორები და ა.შ.). ეს ხდებოდა ყველა რევოლუციის დროს (მათ შორის რუსეთშიც) და წარმოადგენდა მაკროინსტიტუტების საზღვრების წაშლამდე და გაქრობამდე გაფართოების შედეგს.

⁵⁰ მაგალითად ბილ გეითისადმი წაყენებული ანტიმინოპოლიური კანონის დარღვევის ბრალდება გამოდგება.

მაგრამ ეს წინასწრობა, რომელსაც საბოლოო ჯამში მეზოდომინანტური მიმართულება გეთაჯობს, არის ძვირფასი წინასწრობა, რომელიც შეიძლება ადვილად დაირღვეს, და არანაირად არ არის ანოშიისაგან და გაუცხოებისაგან გათავისუფლების საშუალება, როგორც ზოგიერთ ავტორს მიაჩნია⁵¹. ანომია და გაუცხოება გაუქმდებოდა, თუკი ყველას ექნებოდა აქტუალური საშუალება გამხდარიყო აგენტი. მაგრამ მეზოდომინანტურობის გაძლიერებასთან ერთად ჩვენ მოვადგებით ანომიის და გაუცხოების ადვილად დაძლევის ეტაპს, როდესაც ანოშირებულსაც და გაუცხოებულსაც ექმნება საშუალება შექმნას თავისი ღირებულებების და აკრძალვების ფორმა, რომელშიც აგენტად მოგვევლინება⁵².

აღწერა II — ადამიანი, როგორც სააგენტო:

თუმცა, ზემოთ აღწერილი მიმართულების უფრო დაზუსტებული და აგენტებზე ორიენტირებული აღწერაც არის შესაძლებელი: ზემოთ აღწერილი პროცესი ისტორიულ განვითარებაზეა ორიენტირებული, და აღწერს სტატიკურად მკრო და მეზო დომინანტურ პროცესებს, როგორ ანაცვლებენ ისინი ერთმანეთს და ამბობს, თუ რატომ არის თანამედროვე სამყაროში მეზოდომინანტურობა წამყვანი.

აგენტებზე ორიენტირებული აღწერის ამოსავალი უნდა გახდეს შედარებით უფრო ნაკლებმასშტაბიანი პროცესი, ვიდრე ეს იყო ზემოთ მოცემული. ანუ ამ შემთხვევაში ჩვენი ორიენტირი იქნება რეოლუციური ვითარება, და ის პირობები, რის გამოც ქვეყანაში იქმნება რეოლუციური ვითარება:

ტოტალიტარულ ქვეყნებში მკრო დონე, როგორც წინა აღწერაში აღვნიშნე, არის მკაცრი და შევსებული კანონებით, აკრძალვებით, რეპრესიული აპარატით და ა.შ. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პოტენციური აგენტები მიმართულები არიან მკრო დონეზე ადგილების დაკავებისაკენ. მკრო დონეზე აგენტების ადგილების რაოდენობა, მართალია, უფრო მეტია, ვიდრე მიკრო დონეზე, მაგრამ მაინც შეზღუდულია, და მოსურნეთა დიდი ნაწილის დაკმაყოფილება არ ხდება. მკრო დონისაკენ მიმართულობა პოტენციურ აგენტებში არა მარტო კარიერის გამო არის გამოწვეული: აქ შეიძლება ბევრი მიზეზი

⁵¹ Ziderveld, Anton C. *The Institutional Imperative. The Interface of Institutions and Networks*. 2000. Amsterdam University Press. p. 198-201.

⁵² ამ შემთხვევაში მოვადევით ზღვარს, რომლის იქითაც შესაძლებელია ახალი ეთიკის შესახებ ლაპარაკი. ამიტომ ეს ამ წიგნის თემა ადარ არის.

იყოს, დაწყებული ეკონომიკური პირობებით, დამთავრებული საზოგადოებრივი აქტიურობის სურვილით.

როდესაც პოტენციური აგენტები ვერ აღწევნენ მაკრო დონეზე აგენტობას, ბუნებრივია, ისინი იცვლიან მიმართულებას მეზოდონისაკენ. მაგრამ, სწორედ იმის გამო, რომ მაკრო დონის ინსტიტუციური ფარგლები შეესებულა აკრძალვებით და შეზღუდვებით, მეზო დონე ფაქტიურად არ არსებობს, ან თუ არსებობს, არსებობს მაკრო დონის ძლიერი კონტროლის ქვეშ. პოტენციურ აგენტს არ აკმაყოფილებს მაკრო დონის შედამხედველობის ქვეშ ყოფნა, რადგან მას ამ შემთხვევაში პასიურ მიმდებად გარდაქმნა ემუქრება. საუკეთესო შემთხვევაში კი დამკვირვებლად.

ამიტომ, როგორც გამოსაუალი ამ მდგომარეობიდან, პოტენციური აგენტები იწყებენ საიდუმლო ორგანიზაციების შექმნას, რომელთაგან, შესაძლებელია, არც ერთი არ იყოს დასაწყისიდანვე რადიკალური, არამედ, უბრალოდ, კლუბების სახე ჰქონდეთ. მაკრო დონიდან ამის საპასუხო ნაბიჯია საიდუმლო პოლიციის შექმნა⁵³, რადგანაც მაკრო დონეს არსებული პრინციპიდან გამომდინარე, მან მეზო დონე მთლიანად უნდა დაიქვემდებაროს და გააკონტროლოს.

საიდუმლო პოლიციის, როგორც დამატებითი რეპრესიის აპარატის წარმოქმნა იწყებს მეზოორგანიზაციების შესაბამებას პოლიციის მიზნებისადმი, და ისინი რეალურ, ანტისახელმწიფოებრივ საიდუმლო ორგანიზაციებად გარდაიქმნება, რაშიც დიდი წილი, ემპირიულ დომენზეც კი საიდუმლო პოლიციას, ანუ, თავად მაკრო დონეს მიუძღვის⁵⁴.

ეს თითქოსდა დაზღვევის და გარანტიების აღების პროცესი უკვე თავის თავში შეიცავს მაკრო დონის დაშლის და გადაწყობის მარცვლებს: იმ ხალხის სოციალური როლები (ანუ, მაკრო დონის მიერ დაწესებული ამოცანები და ვალდებულებები), რომელთაც აკისრიათ მაკრო დონის უსაფრთხოება, კარგავს განსაზღვრულობას, იდდაბნება, ხდება გაურკვეველი: ანუ, ეს ადამიანები იწყებენ მრავალროლიან ცხოვრებას,

⁵³ ამასთან დაკავშირებით იხილეთ: Kreutz, Henrik. "Gutgemeint ist das Gegenteil von ist gelungen". in: Materials of the Conference: "Organisierte Kriminaliteat oder 'Invisible Hands'?" Universitaet Erlangen-Nurnbeg. 20.07.-21.07. Nurnberg. 2001. ამ ნაშრომში განხილულია რევოლუციის წინ რუსეთში მიმდინარე მოვლენები და ნაცადია იმდროინდელი ცენტრალური სოციალური როლების რეკონსტრუირება.

⁵⁴ თუკი გადავხედავთ ნებისმიერი ქვეყნის რევოლუციის წინა პერიოდის ისტორიას, ვნახეთ, რომ ვითარება ამ მხრივ ყველგან ერთნაირია: პოლიციის საიდუმლო თანამშრომლები ერთვებიან საიდუმლო ორგანიზაციების მუშაობაში, ხანდახან თვითონ ქმნიან მას. იწყებენ ხალხის მოზიდვას და მათი, როგორც პოლიციის, ასევე ორგანიზაციის საქმიანობაში ჩაბმას. ჩნდებიან ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი აგენტები.

და ეს როლები როგორც წესი, ერთმანეთს ეწინააღმდეგება⁵⁵. ანუ, ეს ხალხი ერთსა და იმავე დროს ასრულებს აგენტის როლს რამდენიმე განზომილებაში, რამდენიმე დონეზე. ანუ აგენტები ერთსა და იმავე დროს არიან რეალისტები, კონცეპტუალისტები და იდეალისტები.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია მოსთხოვოს თავის მოხელეს ცხადი ქცევა: არაცხადი ქცევის წესები მათი მუშაობის წესია. თანაც, ზოგჯერ ხდებოდა ამ ფუნქციების მიცემა იმათთვის, ვისაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ევალებოდათ პოლიციისათვის (მაგ. რუსეთში, საფრანგეთში), რაც კიდევ უფრო აბნელებდა ვითარებას და გაურკვეველს ხდიდა⁵⁶.

როგორც ჩანს, რევოლუციური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია აგენტების როლების სიმრავლესთან. უფრო ზუსტად კი, ერთი ინდივიდის/სისტემის ფარგლებში არსებულ აგენტების როლების მრავალფეროვნებასთან. ე.ი. რევოლუციის წინა პერიოდში ქვეყანაში იზრდება ინდივიდების მიერ სხვადასხვა აგენტების როლების შესრულება. ანუ ერთი და იგივე პიროვნება მონაწილეობს რამდენიმე ინსტიტუტში როგორც აგენტი. ამ შემთხვევაში, მეზო დონეზე ქსელი იწყებს არსებობას, მაგრამ ეს არის არა ინსტიტუტების და ორგანიზაციების ქსელი, არამედ, ეს არის ადამიანი, პიროვნება, ინდივიდი როგორც ქსელი (Kreutz). ანუ ადამიანი ბევრი მთავარი როლით, ადამიანი, როგორც სააგენტო.

ის, თუ ასეთი ვითარების შემდეგ რა არის კონკრეტული რევოლუციის მიზეზი, ემპირიული ისტორიის საკითხია და თეორიულად მისი გადაჭრა არ შეიძლება: კონკრეტული რევოლუციის მიზეზი, ანუ ზემოთ აღწერილი ვითარების გამოყენების საფუძველი შეიძლება იყოს გარე (მაგ. როგორც რუსეთის შემთხვევაში - ლენინის შემოგზავნა ჯაჟმოსანი მატარებლით), შეიძლება შიდა (საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია), და ასევე სხვა ბევრი. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ რევოლუციის მიზეზი აქ სოციალურ დონეზეა - მეზოდომინანტობა და ადამიანები, როგორც სააგენტოები.

⁵⁵ Kreutz, Henrik. *ibid.* რომან მალინოუსკის მაგალითი: ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ყოფილიყო დუმის წევრი, ოხრანკის აგენტი, რევოლუციური ჯგუფის აქტივისტი და ა.შ.

⁵⁶ იმიტომ, რომ იყო სრულიად გაურკვეველი, რატომ აქონდათ პოლიციელებს და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს (მათი ნაწილი რევოლუციურ დაჯალებებსაც ასრულებდა) ურთიერთობა. თანაც ეს ურთიერთობა იყო საქმიანი, პარტნიორული და ხშირ შემთხვევებში სარგებლის მომტანი. ეს კიდევ უფრო ძაბავდა სახელმწიფოში ვითარებას, და ბიძგს აძლევდა მეტ ხალხს გაწვერიანებულიყვნენ, ან თავი ვერძნოთ საიდუმლო ორგანიზაციების წევრებად. შემდეგ ისინი ხდებოდნენ ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი აგენტები და ა.შ.

ამ თავის ბოლოში შეიძლება გაკეთდეს ერთი დასკვნა, რომელსაც შესაძლებელია პრაქტიკული მნიშვნელობა ქონდეს სოციოლოგიური კვლევებისათვის: როგორც ზემოთ მოცემული აღწერა მიუთითებს, რაც უფრო მეტი აგენტის როლი აქვს ერთ პიროვნულ სისტემას, მით უფრო ტოტალიტარულია სახელმწიფო. შესაბამისად, რაც უფრო მეტია ამ როლების მატარებლების რაოდენობა, მით უფრო რევოლუციურ მდგომარეობაშია სახელმწიფო.

შესაბამისად, ასევე, შეიძლება ვთქვათ, რომ დემოკრატიული და ღია სახელმწიფო უნდა იყოს მიმართული ერთი ადამიანი/რამდენიმე აგენტი მიმართების შემცირებისაკენ, და საბოლოოდ, სტაბილურობის და დემოკრატიის იდეალი უნდა იყოს ერთი პიროვნული სისტემა—ერთი აგენტი⁵⁷. ეს დღესაც მეტ-ნაკლებად ხორციელდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ამის საპირისპიროდ, განვითარებად და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მულტიაგენტური სისტემები ჯერ კიდევ არსებობს, რაც ბუნებრივია, გარეგნული ანტურაჟის მიუხედავად, სახელმწიფოსთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. მაგრამ ამავე დროს, მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ საფრთხის დაძლევა მხოლოდ რეალური დემოკრატიზაციით და ეკონომიკის ლიბერალიზაციით არის შესაძლებელი, და არა იმ სიმულაციური ფორმებით, რომლებითაც დღეს უშეტეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იარაღდებიან.

ერთი პიროვნული სისტემა—ერთი აგენტი ამავე დროს ქვეყნის კეთილდღეობასაც მიუთითებს: ეს სისტემა აჩვენებს იმას, რომ შესაძლებელია ერთი აგენტის როლის შესრულებით სრულყოფილი ცხოვრება, რაც დღეს განვითარებად ქვეყნებში წარმოუდგენელია.

ის, თუ რა სისტემები და მოქმედებები უზრუნველყოფს ამ მდგომარეობას და, შესაბამისად, განვითარებადი ქვეყნებისათვის არსებული საფრთხის დაძლევა, არის თანამედროვე სამყაროში მაკრო და მეზო დონეების ურთიერთმიმართების საკითხი.

⁵⁷ ასეთი სისტემა იწვევს აგენტების როლების მეტ-ნაკლებ თანაბარ გადანაწილებას, და ალბათ, მომავალში, ასეთ სისტემებში შეუძლებელი იქნება ნახო ადამიანი, რომელსაც საერთოდ, არც ერთ ინსტიტუციურ ფორმაში არ ჰქონდეს აგენტის როლი.

მაკრო-მეზო და მეზო-მიკრო ინსტიტუციონალური კომპლექსები თანამედროვე (გვიან-, წინწასულ- ანდა, გნებავთ პოსტ- მოდერნულ) სოციალურ სისტემებში

ვითარება, რომელიც მეზოდომინანტურ მიმართულებას შეესაბამება, მიგვიოთითებს, რომ ინსტიტუციური ცვლილება მიდის სოციალურ სისტემების ორ ძირითად ინსტიტუციონალურ კომპლექსად ჩამოყალიბებამდე: მაკრო-მეზო და მეზო-მიკრო:

მიუხედავად იმისა, რომ კანონები იქმნება და მიიღება მაკრო დონეზე, მიკროინსტიტუტებამდე ეს კანონები (ანუ ახალი აკრძალვები და/ან ახალი ქცევის წესები) სულ უფრო და უფრო ხშირად აღწევს მეზო დონის გაუღიჯ ანუ, მაგალითად, ახალი კანონი ოჯახის შესახებ თანამედროვე ყოფაში ხდება ცნობილი ა) მედიის, ბ) მცირე საზოგადოების გ) ადვოკატების გაუღიჯთ. თანდათან მოედოვართ ისეთ ვითარებამდე, რომ სხვა გზა მაკროდან მიკრომდე უბრალოდ აღარ არსებობს. ყველა შემთხვევაში ხდება მაკრო ინფორმაციის თარგმნა მეზო დონეზე და თარგმნილის გადაცემა. სხვა საქმეა, რომ მიკრო დონეს შემცირების ტენდენცია აქვს და სულ უფრო და უფრო ცოტა რაოდენობის ხალხის მომცველი ხდება.

პოლიცია, რომელიც თითქოს მაკრო დონის პირდაპირი წარმომადგენელია, თანდათან, არჩევითობის, მუნიციპალურ დონეზე მიბმის და სხვა ფაქტორების გამო კარგავს აბსოლუტური მაკრო დონის თვისებებს და ხდება მეზო-მაკრო ინსტიტუციონალური კომპლექსის წარმომადგენელი.

ინსტიტუციონალური კომპლექსის ცნება მე განესაზღვრე, როგორც ინსტიტუციონალური თანაობა, ანუ როდესაც ერთი დონის ინსტიტუტის არსებობა აუცილებლად მიუთითებს სხვა დონის ინსტიტუტის არსებობაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ ერთი ინსტიტუტი, რომელიც ისტორიულად და ამოცანების მიხედვით არ არის შეჭიდული მეორე დონის ინსტიტუტთან ხდება მისი აუცილებელი მოკაეშირე ინსტიტუციურ კომპლექსში. იმის გამო, რომ ინსტიტუციური კომპლექსი ასრულებს და ახორციელებს იმ ამოცანას, რომლის გადაჭრაც ცალკე არც ერთ ინსტიტუციონალურ ტიპს არ შეუძლია.

ეს ახალი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბალანსთან, წონასწორობასთან მეზო დონეზე: მეზო დონე მიისწრაფის ტოტალიზაციისაკენ. მეზო დონე არის თვითრეგულირებადი და თვითკონსტრუირებადი: ანუ, არა აქვს არანაირი შინაგანი საზღვრები. შინაგანი საზღვრების არ ქონა ნიშნავს, რომ ის მხოლოდ აგენტების სურვილზეა დამყარებული. ამით ისაზღვრება მეზო დონის პრინციპული მრავალ-

ფეროვნება და დაუსრულებლობა, მაგრამ ამითვე იქმნება საფროხე, რომ მეზო დონე დაიწყებს ისეთი ვგუფების წარმოებას, რომლის აგენტებიც ძალაუფლების მოპოებაზე იქნებიან ორიენტირებული⁵⁸, და საზღვრის არქონის გამო, კელვ ტოტალიტარულ სისტემაში მოხდება ჩაჯარდნა. ამიტომ, იმისათვის რომ სისტემა მსგავს უწონობის მდგომარეობაში არ მოექცეს, არსებობს ინსტიტუციონალურ-კომპლექსური მექანიზმების მთელი რიგი, რომელიც აპირობებს მეზო დონის თვით-კონტროლს.

